The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC19022024

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N2-3, 2024, VOL 19, ISSUE 2

Economy is the basis of everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)

ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N2-3 (73-74), 2024, VOL.19, ISSUE 2.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Phasis..

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA (Acting President of the National Bank of Georgia); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA (Prezident of the Academy of Phasis); MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part); VASIL KIKUTADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (Academician of Georgian Academy of Agriculture); The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA; LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Academician of Georgian National Academy of Science; Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); AVTANDIL SILAGADZE (Academician of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI; NIKO CHIKHLADZE; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Chancellor of Sukhumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Academician of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2-3 (73-74), 2024, ტ. 19, გამოც.2

ლოიდ ქარჩავა - **მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის აკადემიის წევრი.**

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ გაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზედენტის მოვალეობის შემსრულებელი); ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გია კვაშილავა (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი); ვასილ კიკუტაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი); ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-გაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); ეკატერინე ლომია; რევაზ ლორთქიფანიძე; ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა; ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი; ნიკო ჩიხლაძე; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2024წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 15 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SCIENCE

Lasha Mgeladze
Competition in the fuel market myth or reality – Part II ---------- 7

Gia Kvashilava
on The Development of Economic relations and Origin
of Graphic Signs (According to Archaeological Materials
Dated Back to 3.3 million – 10,000 years ago) ---------- 15

David Vekua, Aleksandre Taliashvili
About the necessity of legal regulation
of the economy of Georgia ---------- 26

Lasha Tabatadze
Problems of the Service Quality in Georgia ---------- 32

Nino Sumbadze
Social partnership and its role
in economic growth in EU countries ---------- 35

Shota Veshapidze, Giorgi Megreladze
Prospects for the development
of Georgia's trade with the European Union ---------- 39

Davit Basiashvili, Slava Fetelava
Legal and Practical Aspects of Cartel Detection and Prevent ---------- 48

Vaja Shubitidze
Niko Nikoladze about the problems
and principles of state management ---------- 57

Levan Shubitidze
PPLY OF LABOR RESOURCES IN THE DEFENSE
FORCES UNDER THE INFLUENCE OF THE CONCEPT OF TOTAL DEFENSE ---------- 64

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მეცნიერება

ლაშა მგელაძე
კონკურენცია საწვავის ბაზარზე მითი თუ რეალობა - ნაწილი II ---------- 7

გია კვაშილავა
ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და გრაფიკული ნიშნების წარმოშობის შესახებ (3,3 მლნ. – 10 000 წწ.-ის წინანდელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით) ---------- 15

დავით ვეკუა, ალექსანდრე ტალიაშვილი
საქართველოში ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების საჭიროების შესახებ ---------- 26

ЛАША ТАБАТАДЗЕ
Проблемы качества обслуживания в Грузии ---------- 32

ნინო სუმბაძე
სოციალური პარტნიორობა და მისი როლი ეკონომიკურ ზრდაში ევროკავშირის ქვეყნებში ---------- 35

შოთა ვეშაპიძე, გიორგი მეგრელაძე
საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები ---------- 39

დავით ბასიაშვილი, სლავა ფეტელავა
კარტელის გამოვლენის და აღკვეთის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები ---------- 48

ვაჟა შუბითიძე
ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფო მართვის პრობლემებისა და პრინციპების შესახებ ---------- 57

ლევან შუბითიძე
თავდაცვის ძალებში შრომითი რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდება ტოტალური თავდაცვის კონცეფციის გავლენით ---------- 64

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

COMPETITION IN THE FUEL MARKET MYTH OR REALITY – PART II

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 17, 2024
Published: June 12, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-7

Lasha Mgeladze
PHD, economics
Assistant-Professor
Georgian Technical University
https://orcid.org/0000-0003-4608-7255
E-mail: lmgeladze@gmail.com
Cell: (+995) 577229889

ABSTRACT

The study represents a continuation of research of current situation in the fuel market - Part II, which is one of the trending topics of the country. It specifies conclusions and recommendations prepared by the author in Part I, based on review of studies conducted by competition regulatory authority.

Besides, the study discusses an issue of effectiveness of operation of competition regulatory numbers in practice, which is widely established / approved in international practice and accordingly reflected / harmonized in Georgian legal system. The study summarizes the segment of state procurement market in terms of current situation in the fuel market.

The final part includes the author`s conclusions and proposals regarding challenges, the fuel market currently faces and offers solutions to overcome.

Key words - *Competition, fuel market, state regulation, concentration, State procurement, Consolidated tender.*

REFERENCES:

1. Georgian Competition and Consumer Agency - CASE III of oil commodity 2023.08.17
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpa0YwRM.pdf
2. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring – 2023.12.29
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpKJMTzX.pdf
3. Georgian Competition and Consumer Agency - CASE II of oil commodity 2018.05.15
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf
4. Georgian Competition and Consumer Agency - CASE I of oil commodity 2015.05.10
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/12ecff74000a47a3bbbbb755d78a7983.pdf
5. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring, 2019
6. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring, 2020
7. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring 2021
8. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring 2022
9. Mgeladze Lasha - Competition in The Fuel Market Myth or Reality - Journal The New Economist, 2022 #2-4. 23-45

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

https://neweconomist.com.ge/journal/archive/28/

10. https://bm.ge/news/ratom-akrdzala-rusetma-satsvavis-eqsporti-da-ras-gamoitsvevs-es-saqartveloshi ; https://formulanews.ge/News/97883

11. Karchava, L. Veshapidze, S., & Chiabrishvili K. Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. The New Economist Journal, 18 (3), 1-2

12. Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. Sciences of Europe. VOL 4, No 13 (13)

13. Veshapidze, S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.

14. Veshapidze, S. (2023). About the dangers of academic competition. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

15. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4)

16. Veshapidze, S., & Mgeladze, L. (2023). Some aspects of protection of labor freedom in higher education institution. The New Economist 18 (1)

17. Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023). International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. "Ekonomisti" #1, 58–69

18. 26. Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. Sciences of Europe. VOL 4, No 13 (13)

19. Veshapidze, S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.

20. Veshapidze, S. (2023). About the dangers of academic competition. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

21. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).

22. Veshapidze, S., & Mgeladze, L. (2023). Some aspects of protection of labor freedom in higher education institution. The New Economist 18 (1)

23. Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023). International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. "Ekonomisti" #1, 58–69.

24. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. The New Economist, 16(2), 1–1. DOI: https://doi.org/10.36962/NEC6102202133 33. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5. Kyiv – CUL. https://doi.org/10.5281/ zenodo.5807500

25. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. 37. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10 (2), 22-32 DOI: 10.37708/ep.swu.v10i2.2 38. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. Cambridge Scholars Publishing. P. 125

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კონკურენცია საწვავის ბაზარზე მითი თუ რეალობა - ნაწილი II

ლაშა მგელაძე,
ეკონომიკის დოქტო რი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ელ. ფოსტა: lmgeladze@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ერთ-ერთი აქტუალური თემის, საწვავის ბაზარზე არსებული მდგომარეობის კვლევის გაგრძელებას - II ნაწილს. ის აზუსტებს ავტორის მიერ პირველ ნაწილში ასახულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, კონკურენციის მარეგულირებელი უწყების მიერ განხორციელებული კვლევების მიმოხილვის საფუძველზე.

ამასთან, ნაშრომში განხილულია, საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ დანერგილი/აპრობირებული და საქართველოს სამართლებრივ ბაზაში შესაბამისად ასახული/გადმოღებული, კონკურენციის მარეგულირებელი ნომრების პრაქტიკაში მოქმედების, ეფექტიანობის საკითხი. მიმოხილულია სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის სეგმენტი, საწვავის ბაზარზე არსებული სიტუაციასთან მიმართებაში.

ბოლოს წარმოდგენილია ავტორისეული დასკვნები და წინადადებები საწვავის ბაზარზე ბაზარზე არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები *- კონკურენცია, საწვავის ბაზარი, სახელმწიფო რეგულირება, კონცენტრაცია, სახელმწიფო შესყიდვები, კონსოლიდირებული ტენდერი.*

შესავალი

საწვავის ბაზარის თემატიკა ბოლო 20 წელია აქტუალობას არ კარგავს საქართველოში. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ პროდუქტის ფასი უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ისე თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ყოფაზე.

მისი აქტუალობიდან გამომდინარე, საწვავის ბაზარი, მათ შორის, პოლიტიკური განხილვის/დაპირისპირების საგანიც ხშირად ხდება. აღნიშნული ბაზრის დიდი ფინანსური ბრუნვის/მიმზიდველობის გამო, დიდია ბაზარზე არასაბაზრო ინსტიტუტების ლობირების, საბაზრო ობიექტებს შორის „არაკონკურენტული გარიგებების" (მეტი მოგების მიღების მიზნით), არასამართლიანი პოლიტიკური თამაშების სტიმულირების ალბათობა/ცდუნება.

თემის აქტუალობიდან და ზემოაღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ 2022 წელს გადავწყვიტეთ საწვავის ბაზარზე არსებული სიტუაციის კვლევა და გამოვაქვეყნეთ შესაბამისი ნაშრომი [9], სადაც ბაზრის ანალიზთან და წარმოდგენილ რეკომენდაციებთან ერთად აღვნიშნეთ, რომ ჩვენი პოზიციების გადამოწმებისა და დაზუსტების მიზნით ველოდებოდით კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოს მიერ საწვავის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს კვლევის დასრულებას. შემდეგ კი დამატებით წარმოვადგენდით, საწვავის ბაზარზე არსებული სიტუაციის გაუმჯობესების ჩვენს მიერ დაზუსტებულ რეკომენდაციებსა თუ ანალიზს.

მაშ ასე:

საწვავის ბაზარი

თავდაპირველად მოკლედ შევეხოთ ნაშრომის პირველ ნაწილში ასახულ აქტუალურ გარემოებებს და შემდგომ მოვახდინოთ მათი გაანალიზება კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ კვლევასთან მიმართებაში. ნაშრომის პირველ ნაწილში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

- სახელმწიფომ ჩანასახშივე/თავშივე დასვა საკითხი არამართებული კუთხით - საწვავზე არსებული მაღალი ფასი ბაზარზე მოქმედი კომპანიების ბრალი ხომ არ არის, და არ გაამახვილა ყურადღება ბაზრის სახელმწიფოს მხრიდან არსებული რეგუ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლაციების ეფექტიანობაზე (თვითონ სახელმწიფო პოლიტიკა/არსებული რეგულაციები ხომ არ არის პრობლემის გამომწვევი მიზეზი).

- 2014 წლის მერე, კონკურენციის შესაბამისი მაკონტროლებელი უწყების არცერთი კვლევა არ ამახვილებს ყურადღებას არასაბაზრო ინსტიტუტების როლზე საწვავის ბაზარზე - არის თუ არა ჩართული რომელიმე არასაბაზრო ინსტიტუტი/ჩინოვნიკი პროცესში; აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა ხელს უშლის რეალური სურათის იდენტიფიცირებას შესაბამის ბაზარზე.
- კონკურენციის მარეგულირებელი უწყება, ბაზრის მონიტორინგისას, ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ ფასების კონტროლითა და კონკურენციის დონის განსაზღვრით რაც არასაკმარისი ფაქტორია რეალური სურათის დასანახად - (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საშულებით ბაზრის მონიტორინგი არაეფექტიანია).
- სახელმწიფოს შეუძლია ზედმეტი კვლევების გარეშეც განახორციელოს რეფორმები/ღონისძიებები ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების მიზნით; რიგ შემთხვევებში საერთოდ არ არის საჭირო დამატებითი „ჩაღრმავებული“ კვლევები პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი მოგვარებისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმისათვის
- ხაზი გავუსვით საკითხს რომ ბაზარზე 2014 წლის შემდეგ არსობრივად არ შეცვლილა სიტუაცია (უფრო გაუარესდა ვიდრე გაუმჯობესდა) - კონკურენცია საწვავის ბაზარზე უფრო მითია ვიდრე რეალობა და აღვნიშნეთ, რომ დაველოდებოდით კონკურენციის სააგენტოს დაანონსებულ მორიგ კვლევას ჩვენი მოსაზრებების/დასკვნების გადამოწმების მიზნით და ა.შ.[1]

გამომდინარე იქიდან, რომ კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოს თავის 2023 წლის კვლევაში [1] (კვლევა) დაფიქსირებული აქვს კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებული ქმედება საწვავის ბაზარზე; თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ პირველ ნაწილში გაკეთებული დასკვნა - „კონკურენცია საწვავის ბაზარზე უფრო მითია ვიდრე რეალობა“ გამართლდა.

თუ კვლევას დავეყრდნობით, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ საწვავის ბაზარზე ადგილი აქვს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებას მსხვილი ეკონომიკური აგენტების მიერ. ეს კი ცალსახად მიანიშნებს, რომ მსგავსი შეთანხმებული ქმედება დღეს არ წარმოქმნილა და კვლევაში მითითებულ მსხვილ კომპანიებს დიდი ხანია მჭიდრო „თანამშრომლობა“ აქვთ ბაზარზე კონკურენციის კანონმდებლობის დებულებების მოთხოვნების დარღვევით, უფრო მეტიც, შეიძლება 2012 წლის შემდგომ არც კი გაუწყვეტიათ ურთიერთობები, რომელიც არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას - ამ ფონზე შესაბამისი მარეგულირებელი უწყების მონიტორინგის დოკუმენტები წლების განმავლობაში გვამცნობდა, რომ ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობაა და 2012 წლის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა [5,6,7]. უფრო მეტიც, ახლად გამოქვეყნებული, ზემოაღნიშნული, კვლევა საერთოდ არ ითვალისწინებს გასული წლებში არსებული მდგომარეობის ანალიზს მაშინ როცა 2014 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში წინა 10 წლიანი პერიოდი აქვთ განხილული, ახალ კვლევაში კითხვაც არ არის დასმული ქონდა თუ არა ადგილი ნავთობის ბაზარზე, წინა წლებში შეთანხმებულ ქმედებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, როგორც არსებული მარეგულირებელი ნორმების ეფექტიანობის ისე თვითონ კონკურენციის მარეგულირებელი უწყების ნაყოფიერების/საჭიროების საკითხი. ასევე, დასაზუსტებელია კონკურენციის ხელის შემწყობია თუ უფრო შემაფერხებელი დღეს არსებული ნორმები. ფაქტია, კითხვა/პრობლემა, რომელიც საწვავის ბაზარზე 2012 წელს არსებობდა აქტუალურია 2024 წელსაც. უფრო მეტიც, პრობლემის მოგვარების მიმართულებით არსობრივად არაფერი არ არის შეცვლილი - სულ სამი „ღრმა“ კვლევა ჩატარდა ამ ხნის მანძილზე და სამივეჯერ ბაზარზე შეთანხმებული ქმედება დადგინდა. აღნიშნულ საკითხს ჩვენ ვერ დავაბრალებთ არაკვალიფიციურობას, პირიქით კვლევის დოკუმენტებს თუ წავიკითხავთ ისინი კანონმდებლობის ნორმების დაცვითა და კვალიფიციურად არის შედგენილი. პრობლემა უფრო არსებული ნორმების არაეფექტიანობით და საკითხში არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართულობის გამო უფროა შექმნილი ვიდრე არაკვალიფიციურობის გამო - აქვე აღვნიშნავთ რომ არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართულობაზე კვლევაში არაფერია ნათქვამი მაშინ, როცა 2014 წლის კვლევაში მათ შორის აღნიშნულ საკითხზეცაა გამახვილებული ყურადღება.

აქ შეიძლებოდა დაგვემთავრებინა ჩვენი ნაშრომი, რადგან ძირითად კითხვას უკვე გაეცა

1 დეტალურად ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე, სტატიის პირველ ნაწილზე შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალ New Economist-ის 2022 წლის #2-4 გამოცემაში, გვ. 23-45

პასუხი, მაგრამ საინტერესოა, ახალი კვლევის მიმოხილვა ჩვენს მიერ პირველ ნაწილში დასმული საკითხებთან მიმართებაში - რამდენადაა გათვალისწინებული ის საკითხები ახალ კვლევაში რაზეც პირველ ნაწილში ვსაუბრობდით, კერძოდ:

1. *არის თუ არა ბაზრის მსხვილ მოთამაშეებს შორის კარტელური გარიგება ბაზრის იმ სეგმენტზე რომელ სეგმენტსაც ეს კომპანიები იკავებენ (ბაზრის 58%)* - შესაბამისი ორგანოს კვლევით დადგინდა რომ ბაზარზე ადგილი აქვს შეთანხმებულ ქმედებას ბაზარზე მოთამაშე 5 მსხვილ კომპანიას შორის. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მდგომარეობა ერთჯერადი ან დროებითი ხასიათის ვერ იქნებოდა და მთელი წინა წლების მანძილზე გასამახვილებელი იყო ყურადღება ამ მიმართულებით, რაც არ ხდებოდა.

2. *იქნებ ბაზარზე გაჩენილი წვრილი კომპანიები მსხვილი მოთამაშეების მიერ არის შექმნილი - მათი არაოფიციალური ქუდის ქვეშ ფუნქციონირებენ (ალღო აუღეს კონკურენციის კანონს და წვრილი კომპანიებიც დაარეგისტრირეს რომლებსაც განსხვავებული ფასები აქვს)* - ახალ კვლევაში არც ამ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება

3. არც კომპანიების ფასდაკლების ბარათებზეა საუბარი კვლევის დოკუმენტში (იქნებ ფასდაკლების ბარათების შეღავათებს თუ გავითვალისწინებთ ბაზარზე მოთამაშეებს ერთი და იგივე, ერთმანეთთან ძლიან ახლო ნიშნულზე მდგომი ფასი უფიქსირდებათ საწვავზე) - უბრალოდ ხაზგასმულია რომ ეს საკითხი კვლევის მიზნებთან მიმართებაში არ არის აქტუალური

4. ბოლო კვლევაში ვერ ვხვდებით ასევე ინფორმაციას ფასებს შორის სხვაობა ხომ არ არის გამოწვეული საწვავის ჩასხმის არასათანადო სიზუსტით (ლიტრაჟის დაკლებით დაბალი ფასის სანაცვლოდ)

5. კვლევაში ვერ ნახავთ ინფორმაციას საწვავის ექსპორტ იმპორტის სარკისებურ შედარებასთან დაკავშირებით - იქნებ საწვავის ნაწილი კონტრაბანდით შემოდის და ამიტომაც ღირს შედარებით იაფი.

6. არსადაა ნახსენები მარკის ადეკვატურობა, იქნებ ერთი და იგივე მარკის ბენზინი ერთ გასამართ სადგურს ბევრად ხარისხიანი აქვს (გამდიდრებული დანამატებით) ვიდრე მეორეს ან პირიქით, არასტანდარტული საწვავის რეალიზაციას ეწევა როგორც სტანდარტულის.

<u>ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თვითონ კვლევის საფუძველზე, რომელიც შეეხება საკვლევ პერიოდში, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, რუსეთისგან იმპორტირებული საწვავის მკვეთრად გაიაფების მიუხედავად საქართველოში საწვავის ფასის იგივე ნიშნულზე დარჩენას (არ გაიაფებას), რამაც გამოიწვია კითხვები და მოხდა ბაზრის შესწავლა.</u> შესწავლის შედეგადაც დადგინდა კონკურენციული ნორმების დარღვევა ეკონომიკური აგენტების მიერ.

აღნიშნულ/მსგავს საკითხთან მიმართებაში, გარკვეულწილად, ვისაუბრეთ ნაშრომის პირველ ნაწილშიც და ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ გარემოებებზე:

ეკონომისტებისთვის ცნობილია, რომ ეკონომიკის ერთ-ერთი კანონია - ადამიანები რეაგირებენ სტიმულებზე. ჰოდა ვნახოთ რა სტიმულები შეიძლება უძღოდეს წინ რუსულ ნავთობზე ფასის „შეუმცირებლობას", მიუხედავად მისი გაიაფებისა. 1. რუსულ ნავთობის ფასის შემცირება გამოიწვია რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებამ, რუსეთის უკრაინასთან ომის გამო. ბევრი ქვეყანა საერთოდ უარს ამბობს რუსული ნავთობის/საწვავის იმპორტზე. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ბიზნესისთვის, განსაკუთრებით იმათთვის ვინც საწვავის რუსეთიდან იმპორტს ეწევა, გაუგებარი სიტუაციაა. ფაქტიურად შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო/გაითვალისწინო რისი მოლოდინი (უკეთეს შემთხვევაში არავინ იცის) შეიძლება გქონდეს, რა მოხდება ბაზარზე. ან რა ბედი ეწევა რუსეთიდან საწვავის იმპორტს (ხომ არ აიკრძალება საერთოდ), გაძვირდება თუ არა რუსული საწვავი და ა.შ[1]. 2. ამას ემატება გაუგებრობა შიდა ბაზარზე ლარის კურსთან, სახელმწიფო პოლიტიკასა და მოსახლეობის განწყობებთან მიმართებაში. 3. ასევე, მძიმე გეოპოლიტიკური მდგომარეობა, საკვლევ პერიოდში რუსეთ უკრაინის ომი და დღეს უკვე მსოფლიო მასშტაბით გაზრდილი კონფლიქტების/საომარი ვითარებების რაოდენობა ქმნის გაუგებრობას, ართულებს პროგნოზირებას საქონლის ექსპორტ-იმპორტის მომავალ ლოჯისტიკურ ურთიერთობებთან/გამართულობასთან დაკავშირებით; ანუ, ბიზნესის დაგეგმვისა და მომავალი განვითარებისათვის ბუნდოვანი გარემოებაა. შესაბამისად, საიმპორტო ფასის შემცირების მიუხედავად ბაზარზე ფასის შეუმცირებლობა, უფრო მეტად, შეიძლება გამოწვეული იყოს მაღალი რისკებით - „შექმნილ სტიმულებზე რეაგირებით".

1 უნდა აღნიშნოს, რომ რუსეთმა 2023 წლის 21 სექტემბრიდან მოულოდნელად აკრძალა, შეზღუდა საავტომობილო ტრანსპორტის ბენზინისა და დიზელის საწვავის ექსპორტი - https://bm.ge/news/ratom-akrdzala-rusetma-satsvavis-eqsporti-da-ras-gamoitsvevs-es-saqartveloshi; https://formulanews.ge/News/97883

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ზემოაღნიშნულ საკითხზე არ არის ყურადღება გამახვილებული ბოლო კვლევის დოკუმენტში რაც, გარკვეულწილად, ბუნდოვანს ხდის რუსული საწვავის ფასის გამო მოკვლევის დაწყების გადაწყვეტილების მიღებას.

მეორეს მხრივ (როგორც უკვე აღვნიშნეთ) თუ კარტელურ გარიგებაშია (ბაზარზე ადგილი აქვს კონკურენციის შემზღუდავ შეთანხმებული ქმედებას) ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიები, რასაც შესაბამისი პასუხისმგებელი დაწესებულების ბოლო კვლევაც ადასტურებს, ეს ვერ მოხდებოდა ბოლო დღეებში, ან თვეებში. ეს ნიშნავს, რომ კომპანიები დიდი ხანია (შესაძლებელია 2013 წლიდანაც) კარტელურ გარიგებაში არიან (შეიძლება არც შეუწყვეტიათ თანამშრომლობა/გარიგება არასდროს) და გამომდინარე იქიდან, რომ ბაზრის მონიტორინგისას მხოლოდ ფასზე და ჰირშმანის ინდექსზე ვიყავით ორიენტირებული, ვერ დავინახეთ რეალური სურათი, გამოგვრჩა/გამოგვეპარა რეალობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასაზუსტებელია, რატომ არ დაიწყო ბაზრის კვლევა და პრობლემების იდენტიფიცირება შესაბამის ბაზარზე განვლილ წლებში არსებულ მდგომარეობაზე.

ასევე სტატიის პირველ ნაწილში ჩვენ განხილული გვქონდა სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საწვავის ბაზართან მიმართებაში - კონსოლიდირებული ტენდერების ჭრილში. საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ კუთხით 2022-2023 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელის 5 დეკემბერს გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში როგორც რეგულარის ისე პრემიუმისა და სუპერის მარკის საწვავზე, ბაზარზე არსებულ საცალო ფასსა და შესაბამისი ორგანოს გამოცხადებულ ფასს (ხაზს ვუსვამთ, გამოცხადებულ და არა ბაზრის მოკვლევის ან ვაჭრობის შედეგად დადგენილ) შორის ფიქსირდება 65, 80 და 94 თეთრის სხვაობა. ხოლო 2022 წელს გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერებში რეგულარის მარკის საწვავზე 18, პრემიუმის მარკის საწვავზე 36, ხოლო სუპერის მარკის საწვავზე 57 თეთრის სხვაობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ერთის გარდა, ყველა ტენდერში მონაწილეობას იღებს და იმარჯვებს მხოლოდ ერთი კომპანია. ასევე იმარჯვებს, არც მეტი არც ნაკლები, ზუსტად გამოცხადებული ფასით (იხ. დანართი).

ზემოაღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება წინა წლებშიც, ნაშრომის პირველ ნაწილში ამ თემაზე ვრცლად ვისაუბრეთ. შესაბამისად, ამ ეტაპზე, უბრალოდ, ყურადღებას მოკლედ გავამახვილებთ შემდეგზე: დასაზუსტებელია, რა კრიტერიუმების საფუძველზე დაადგინა სახელმწიფო დაწესებულებამ სატენდერო ფასი? რომელიც 2023 წელს სულ მცირე საცალო ბაარზე არსებულ ფასთან შედარებით 65 თეთრით ნაკლებია. ეს იმ ფონზე, როდესაც კონკურენციის სააგენტო ბაზარზე ფასთა შორის დიდი განსხვავების გამო კვლევას იწყებს და ბაზარზე მოთამაშე 5 მსხვილ ეკონომიკურ აგენტს შეთანხმებულ ქმედებაში ამხელს. ისმის კითხვა - სახელმწიფოც ამ შეთანხმების (ბაზარზე არსებული შეთანხმებული ქმედების) ნაწილია? წინააღმდეგ შეთხვევაში გაუგებარია 65-96 თეთრიანი ფასთა სხვაობით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის „ფასის დასმის“ შინაარსი (მითუმეტეს იმ ფონზე, როცა მხოლოდ ერთ კომპანია იღებს ტენდერში მონაწილეობას და გამოცხადებული ფასის შეთავაზებით იმარჯვებს). ასევე, რატომ არ ინტერესდება შესყიდვების ბაზრის მონიტორინგით კონკურენციის მარეგულირებელი შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა 10 წელია ეს ბაზარი მსგავსი ტენდენციით ხასიათდება და როცა ასობით ათასი, რიგ შემთხვევაში მილიონობით, ლიტრი საწვავის ერთი პირისგან (პირისგან რომელიც მხილებულია ბაზარზე შეთანხმებულ ქმედებაში) შესყიდვაზეა საუბარი... არის თუ არა კონკურენციის მარეგულირებელი უწყების საწვავის ბაზრის ბოლო კვლევა რელევანტური მაშინ, როცა საერთოდ განხილული არ არის კორუფციული ელემენტი (კორუფციული ალბათობები ბაზარზე), ან, თუნდაც სექტორში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ადეკვატურობა.

დასკვნა

ჩვენ არ განვმეორდებით და აღარ გავამახვილებთ ყურადღებას ნაშრომის პირველ ნაწილში წამოჭრილ პრობლემებზე ტენდენციებსა თუ რეკომენდაციებზე, მითუმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასში ასახული საკითხების უმრავლესობა გამართლდა (დადასტურდა კონკურენციის მარეგულირებელი შესაბამისი უწყების ბოლო კვლევით). უბრალოდ გვინდა აღვნიშნოთ და განსჯისთვის შევთავაზოთ მკითხველს შემდეგი საკითხი: არის თუ არა კონკურენციის მარეგულირებელი თანამედროვე, ფართოდ დანერგილი, აღიარებული ნორმები ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნების ეფექტიანი მექანიზმი? ხომ არ არის იგი უფრო ბაზრის განვითარების ხელის შემშლელი ვიდრე ხელის შემწყობი? ან ოდესმე რეგულირების ეს მექანიზმი იყო ბაზრის განვითარების ხელის

შემწყობი? ჩვენი პასუხია, რომ არა, ის უფრო ხელისშემშლელი მექანიზმია ვიდრე ხელისშემწყობი. ამას ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითიც ცხადყოფს - ბოლო ათი წელია საწვავის ბაზარზე, ბაზარზე მოთამაშე მსხვილი კომპანიების მხრიდან, ადგილი აქვს შეთანხმებულ ქმედებას - კონკურენციის მარეგულირებელი ნორმების მიხედვით კონკურენციის დარღვევას და პრობლემა არ აღმოფხვრილა. მათ შორის ერთხელ არ დასმულა კითხვა, ამ ათი წლის მანძილზე, საწვავის ბაზარზე არსებული არასახარბიელო მდგომარეობა ხომ არ არის არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის ბრალი - ყველაფერი ბაზარზე მოთამაშე ეკონომიკურ აგენტებს ბრალდება.

საერთოდ საკითხავია, შეთანხმებული ქმედება რატომ არის კონკურენციის დარღვევა ან რატომ უშლის ხელს ბაზრის განვითარებას (თუ არ შეუთანხმდი, გაურიგდი - გათვალე ვის გაურიგდე და ვის არა, ითამაშე ფასებით და ა.შ. როგორ უნდა განვითარდე და გაძლიერდე ბაზარზე გაუგებარია, ან სხვა რა არის კონკურენცია, თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები - მაქსიმალურად დაბალი ფასი მაქსიმალურად მაღალი ხარისხის სანაცვლოდ, სწორედ ზემოაღნიშნული ქმედებების, კონკურენციაში გამარჯვებისთვის ბრძოლის შედეგია). თუმცა ეს საკითხები სცდება ჩვენი კვლევის თემას და სხვა პრიზმაში გადაჰყავს მსჯელობა.

ჩვენი ორი ნაშრომის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ***1. კონკურენცია საწვავის ბაზარზე მითია და არა რეალობა 2. თანამედროვე კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები უფრო ხელს უშლიან ბაზრის განვითარებას ვიდრე ხელს უწყობენ მას*** - აქ შეიძლება ოპონენტებმა თქვან, რომ ერთი მაგალითის განხილვით ასეთი დასკვნის გამოტანა არარელევანტურია. თუმცა, ამ ერთი მაგალითიდან კარგად ჩანს რეგულირების მოქმედებისა და მისი ეფექტიანობის ტენდენციები. ხშირად არ ჭირდება არანაირი „ჩაღრმავებული“ კვლევები იმას, რომ დაინახო, იდენტიფიკაცია მოახდინო და შეაფასო პრობლემა რომელიც „ცხვირწინ გიდევს“ და იმდენად მარტივია რომ „შეუიარაღებელი თვალითაც“ ცხადად ჩანს მისი არსი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დამატებითმა კვლევამ, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გაამყარა ჩვენს მიერ ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციები:

1. უნდა მოხდეს საფუძვლიანი კვლევა და არასაბაზრო ინსტიტუტების „ჩახსნა“ (მათი არსებობის შემთხვევაში) პროცესიდან/რეგულირებიდან/არაფორმალური კოორდინაციიდან.

1.1 აქვე, რეკომენდაციად შეიძლება ჩაითვალოს - კონკურენციის სააგენტოს არასაბაზრო/სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლის მიმართულებით უფლებამოსილების/კომპეტენციის გაზრდა.

1.2 მოწოდების წყაროების (იმპორტის) წერტილებიდან ექსკლუზივის, დომინანტი შუამავლების, ხელის არ შეწყობა. 2014 წლის შემდგომ კვლევებში ამ მიმართულებით რა ხდება არ არის ასახული

2. სექტორზე საგადასახადო წნეხის/განაკვეთების და ადმინისტრირების/რეგულაციების მაქსიმალური შემცირება. მათ შორის აქციზის შემცირება (რომელიც 2017 წლის 2 იანვრიდან გაიზარდა).

3.. მაქსიმალური ძალისხმევის წარმართვა პიარისა და ბაზარზე სხვადასხვა ტრანსნაციონალური/ძლიერი კომპანიების მოზიდვის მიზნით (არა კოორდინაცია და პროცესში ჩართვა, არამედ მხოლოდ დაინტერესების/გაცნობის კუთხით მუშაობა).

4. უნდა მოხდეს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების მაკოორდინირებელი უწყების ინსტიტუციური გაერთიანება.

5. უნდა გაუქმდეს საწვავის კონსოლიდირებული წესით შესყიდვის პრაქტიკა.

ზოგადად, ჩვენი აზრით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონკურენციის მარეგულირებელი უწყების ფუნქციების მაქსიმალურად შემცირება ბაზარზე ეკონომიკური აგენტების საქმიანობის კვლევის მიმართულებით, ხოლო ფუნქციებს მაქსიმალურად გაზრდა არასაბაზრო ინსტიტუტების საქმიანობის მონიტორინგის მიმართულებით და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს უწყების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. თუმცა ეს საკითხი სცდება ჩვენ საკვლევ თემას და სხვა პრიზმაში გადაჰყავს მსჯელობა.[1]

P.S. საინტერესოა რა დასკვნას გამოიტანს სასამართლო - კონკურენციის მარეგულირებელი უწყების ზემოაღნიშნული დასკვნა გასაჩივრებულია სასამართლოში. ჩვენ ვაკვირდებით პროცესს და ხელშესახები საკითხების წარმოჩენის შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ კვლევის მესამე ნაწილიც შევთავაზოთ მკითხველს.

1 რეკომენდაციებთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაცია (არგუმენტები რის გამოც იქნა რეკომენდაციები წარმოდგენილი) შეგიძლიათ იხილოთ ნაშრომის პირველ ნაწილში [9] https://neweconomist.com.ge/journal/archive/28/

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დანართი

სახელმწიფო ტენდერი საწვავის შესყიდვაზე 2022-2023 წწ.										
მონაცემები / საწვავის ტიპი	**განცხადების #**	**რაოდენობა ლიტრი**	**გამოცხადების თარიღი**	**მონაწილეთა რაოდენობა**	**გამარჯვებული კომპანია**	**გამოცხადებული ფასი (ლარი)**	**გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი[4]**	**გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი**	**გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს**	**ყველაზე დაბალი ფასი გამოცხადების დღეს**
2023										
ბენზინი ევრო რეგულარი	CON230000465[5]	1 000 000	05.12.2023	1	სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი	2,52	3.17	2.52	3.17	3.13 ლუკოილი
ბენზინი პრემიუმი	CON230000462[6]	30 700 000	05.12.2023	2	რომპეტროლ საქართველო	2.54	3.34	2.54		3.30 ლუკოილი
ბენზინი სუპერი	CON230000464[7]	200 000	05.12.2023	1	გალფი სან პეტროლიუმ ჯორჯია	2.84	3.78	2.84	3.78	3.74 ვისოლი
2022										
ბენზინი ევრო რეგულარი	CON220000549[8]	1 000 000	05.12.2022	1	სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი	2.85	3.03	2.85	3.3	3.04 ლუკოილი
ბენზინი პრემიუმი	CON220000550[9]	31 000 000	05.12.2022	1	რომპეტროლ საქართველო	2.87	3.23	2.87		3.19 გალფი, ლუკოილი
ბენზინი სუპერი	CON220000545[10]	200 000	05.12.2022	1	ვისოლ პეტროლუმ ჯორჯია	3.17	3.74	3.17	3.74	3.69 გალფი

4 ფასი დაანგარიშებულია 4 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (გალფი) და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. ინფორმაცია მოძიებულია აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან: https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=; https://sgp.ge/ge/price?start_date=2022-11-11&end_date=2022-12-30; http://www.lukoil.ge/prices-history ; https://my.wissol.ge/public/fuelprices

5 საწვავის, ვრო რეგულარის კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023 წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

6 საწვავის, პრემიუმის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023 წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

7 საწვავის, სუპერის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

8 საწვავის, ევრო რეგულარის კოსოლიდირებული ტენდერის ბმული 2022წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

9 საწვავის, პრემიუმის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2022 წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

10 საწვავის, სუპერის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023წწ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

"All the labour of man is for his mouth"
(Bible, Ecclesiastes 6:7)

ON THE DEVELOPMENT OF ECONOMIC RELATIONS AND ORIGIN OF GRAPHIC SIGNS (ACCORDING TO ARCHAEOLOGICAL MATERIALS DATED BACK TO 3.3 MILLION – 10,000 YEARS AGO)

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 19, 2024
Published: June 12, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-15

Gia Kvashilava
PhD in Economics
Caucasus International University
ORCID ID: 0000-0002-8511-0203
E-mail: gia.kvashilava@tsu.ge

ABSTRACT

In this paper, the issues of economic relations, origin and development of graphic signs are discussed. In this regard, socio-economic eras and "Upper Paleolithic Revolution" are covered, which show how a person is formed in the process of obtaining livelihood.

The Paleolithic Age – the period when people followed "natural farming" is researched. The development of productive forces expanded the knowledge of nature, especially about the useful properties of natural resources. These qualities were manifested through the means of labor in affecting the objects of labor in the process of production, which contributed to the association of men and the division of labor in order to obtain, by common action, the objects of labor. This process arised and developed languages, abstraction, conventional graphic signs, etc.

Keywords: *economic relations, socio-economic eras, Paleolithic Age, Upper Paleolithic Revolution, graphic signs*

REFERENCES:

1. Bar-Yosef, O. 2002, The Upper Paleolithic Revolution, *Annual Review of Anthropology*, Vol. 31, Issue 1, pp. 363-393.

2. Bar-Yosef, O., et al. 2011, Bar-Yosef, O., Belfer-Cohen, A., Mesheviliani, T., Jakeli, N., Bar-Oz, G., Boaretto, E., Goldberg, P., Kvavadze E., and Matskevich, Z., Dzudzuana: an Upper Palaeolithic Cave Site in the Caucasus Foothills (Georgia), *Antiquity*, Vol. 85, pp. 331-349.

3. Biraben, J.-N. 1979, Essai sur l'évolution du nombre des hommes, *Population*, 34e année, №1, pp. 13–25.

4. Bourrillon, R., et al. 2018, Bourrillon, R., White, R., Tartar, E., Chiotti, L., Mensan, R., Clark, A., et al., A new Aurignacian engraving from Abri Blanchard,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Implications for understanding Aurignacian graphic expression in Western and Central Europe. *Quaternary International*, Vol. 491, 20 October, pp. 46–64.

5. Cunliffe, B. (Ed.). 1994, *The Oxford Illustrated Prehistory of Europe,* Oxford: Oxford University Press.

6. De Lumleya, M.-A., and Lordkipanidze, D. 2006, Paléontologie humaine et Préhistoire, L'Homme de Dmanissi (Homo georgicus), il y a 1 810 000 ans, *Comptes Rendus Palevol,* Vol. 5, Issues 1–2, January–February, pp. 273–281.

7. Gelabert, P., et al. 2021, Genome-scale Sequencing and Analysis of Human, Wolf, and Bison DNA from 25,000-year-old Sediment, *Current Biology*, Vol. 31, pp. 1-11.

8. Gilead, I. 1991, The Upper Paleolithic Period in the Levant, *Journal of World Prehistory*, Vol. 5, Issue 2, pp. 105–154.

9. Harmand, S., et al. 2015, Harmand, S., Lewis, J. E., Feibel, C. S., Lepre, C. J., Prat, S., Roche H., et al., 3.3-million-year-old Stone Tools from Lomekwi 3, West Turkana, Kenya, *Nature,* Vol. 521, pp. 310–315.

10. Jones, E. R., et al. 2015, Jones, E. R., Gonzalez-Fortes, G., Connell, S., Siska, V., et al., Upper Palaeolithic Genomes Reveal Deep Roots of Modern Eurasians, *Nature Communications*, pp. 1–8.

11. Kvashilava, G. and Sekhniashvili D. 2022, Economy in Prehistoric Times, Business-Engineering, N3, 230-234 (in Georgian).

12. Leakey, M. G., et al. 2001, Leakey, M. G., Spoor, F., Brown, F. H., Gathogo, P. N., Kiarie, C., Leakey, L. N., and McDougall, I., New hominin genus from eastern Africa shows diverse middle Pliocene lineages, *Nature*, Vol. 410, pp. 433–440.

13. Lortkipanidze, O. (Ed.) 1991, *Archeology of Georgia in eight volumes*, Vol. I, Tbilisi: Science (in Georgian).

14. Macdonald, D. A., et al. 2018, Macdonald, D. A., Allentuck, A., and Maher, L. A., Technological Change and Economy in the Epipalaeolithic: Assessing the Shift from Early to Middle Epipalaeolithic at Kharaneh IV, *Journal of Field Archaeology*, Vol. 43, Issue 6, 11 Sep., pp. 437–456.

15. Moncel, M.-H., et al. 2015, Moncel, M.-H., Pleurdeau, D., Pinhasi, R., et al. The Middle Palaeolithic Record of Georgia: A Synthesis of the Technological, Economic and Paleoanthropological Aspects, Special Issue: Pleistocene Hunter-Gatherers of Central and Eastern Europe, *Anthropologie*, Vol. 53, Issue 1–2, Papers in Memory of Karel Valoch, pp. 93–125.

16. Perreault, C., and Mathew, S. 2012, Dating the Origin of Language Using Phonemic Diversity. *PLOS One*, Ed. by M.D. Petraglia, Vol. 7, Issue 4, e35289, pp. 1–8.

17. Pinhasi, R., et al. 2014, Satsurblia: New Insights of Human Response and Survival across the Last Glacial Maximum in the Southern Caucasus, *PLOS One*, Vol. 9, Issue 10, e111271, pp. 1–16.

18. Semaw, S., et al. 2020, Semaw, S., Rogers, M. J., Simpson, S. W., Levin, N. E., et al., Co-occurrence of Acheulian and Oldowan artifacts with Homo Erectus Cranial Fossils from Gona, Afar, Ethiopia, *Science Advances*, Vol. 6, Issue 10, pp. 1–10.

19. Tushabramishvili, N. 2003, The Levallois-Dominated industries of Georgia, *Academy, Journal of Human Sciences*, No. 4, p. 25–36 (in Georgian).

20. Tushabramishvili, N. 2010, The Upper Paleolithic of Western Georgia and Economical Activities of Anatomically Modern Humans, Bulletin of the National Museum of Georgia, Vol. I, 46-B, p. 19–37 (in Georgian).

21. Tushabramishvili, N. 2020, New Finds in Ortvalas Klde, Innovative Vision of the the Paleolithic and New Objectives of Research, *The journal of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia 'South Caucasus – Archaeological Context'*, №1, pp. 43-71 (in Georgian).

22. Tushabramishvili, N., Gabekhadze, B. and Mamiashvili, V. 2017, Explanatory Dictionary of the Prehistoric Terminology, Tbilisi (in Georgian).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

„ადამიანის ყოველი შრომა პირისთვისაა...“
(ბიბლია, ეკლესიასტე 6:7)

ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და გრაფიკული ნიშნების წარმოშობის შესახებ (3,3 მლნ. – 10 000 წწ.-ის წინანდელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

გია კვაშილავა
ეკონომიკის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ORCID ID: 0000-0002-8511-0203
ელფოსტა: gia.kvashilava@tsu.ge

აბსტრაქტი

შრომაში შესწავლილია ეკონომიკური ურთიერთობების, გრაფიკული ნიშნების წარმოშობისა და განვითარების საკითხები. გაშუქებულია სოციალურ-ეკონომიკური ეპოქები და „ზედა პალეოლითური რევოლუცია“, რომლებიც აჩვენებენ, თუ როგორ ყალიბდება თავად ადამიანი საარსებო საშუალებების მოპოვების პროცესში.

განხილულია პალეოლითის ხანა, როდესაც ადამიანები „ნატურალურ მეურნეობას“ მისდევდნენ. საწარმოო ძალთა განვითარებამ გააფართოვა ბუნების შემეცნების საზღვრები, განსაკუთრებით, ადამიანთა ცოდნა ბუნებრივი რესურსების სასარგებლო თვისებების შესახებ. ეს თვისებები ვლიდებოდა მატერიალური წარმოების პროცესში, რამაც ხელი შეუწყო ადამიანთა შეკავშირებას და, მათ შორის, შრომის დანაწილებას, რათა საერთო მოქმედებით მოეპოვებინათ საარსებო საშუალებები. აღნიშნულმა პროცესმა წარმოშვა და განავითარა ენები, პრიმიტიული აბსტრაქტული აზროვნება, პირობითი გრაფიკული ნიშნები და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ურთიერთობები, სოციალურ-ეკონომიკური ეპოქები, პალეოლითის ხანა, ზედა პალეოლითური რევოლუცია, გრაფიკული ნიშნები.*

შესავალი

უძველესი ადამიანების წინაპრებმა (ლათ. Hominini), რომლებიც შინაგანი უნარებისა და მოთხოვნილებების მატარებლები იყვნენ, თავიანთი წარმოშობის, ცვლილებისა და განვითარების გარიჟრაჟზე, დაახლოებით 3,3 მლნ. წ.-ის წინ აღიქვეს და განსაზღვრეს გარესამყაროზე, საგნებზე, კლიმატური პირობების ცვლილებსა და მოვლენებზე დამოკიდებულება (Leakey, et al., 2001, 433, 436). მათ დაამყარეს ბუნებასთან სათანადო ურთიერთობები თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, შეიძინეს აქტივობის იმპულსები და დაიწყეს „ეკონომიკური ქცევები“ (ინგლ. economic behaviors), პირველი გაცნობიერებული და კონტროლირებადი მოქმედებები გარკვეული ზომისა და წონის ქვის იარაღების ასარჩევად, მოახერხეს ხელისა და თვალის ისეთი კოორდინაცია, რომელმაც ქვების დახრის კუთხეების სწორი კომბინაციით და ერთიმეორეზე გარკვეული ძალით დარტყმის შედეგად შესაძლებელი გახადა მიეღოთ ბასრი პირის მქონე იარაღები, შრომის საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც შრომის საგნები გარკვეული ზემოქმედებით გარდაქმნეს საჭირო პროდუქტებად თავიანთი საკუთარი, უშუალო მოხმარებისთვის. ამ პერიოდის მტკიცებულებები მათი „ტექნოლოგიური ქცევე-ბისა“ და შრომის საშუალებების ნაშთების შესახებ მეცნიერებმა წარმოადგინეს საველე კვლევების შედეგად, რომლებიც მიმდინარეობდა აფრიკაში, ჩრდილოეთ-კენიაში, ტურკანას ტბის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე ტერიტორიაზე, ლომეკვი III-ში 2011–2014 წწ.-ში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს (Harmand, et al., 2015, 310, 313, 314).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ქვის ნელდეულის ტიპოლოგიის, გაპობის ტექნიკის, მზა ნაწარმად დამუშავების მეთოდებისა და საშუალებების ხარისხის მიხედვით, პირობითად გამოიყოფა სოციალურ-ეკონომიკური ეპოქები. ეს პერიოდებია:

- ქვედა პალეოლითის / ქვედა ძველი ქვის ხანა (დაახლოებით 2,6 მლნ.–300 000 წწ.-ის წინ);
- შუა პალეოლითის ხანა / შუა ძველი ქვის ხანა (დაახლოებით 300 000–40 000 წწ.-ის წინ);
- ზედა პალეოლითის ხანა / ზედა ძველი ქვის ხანა (დაახლოებით 40 000–12 000 წწ.-ის წინ); აგრეთვე ეპიპალეოლითის / პალეოლითის ბოლო ხანა (დაახლოებით 24 000–12 000 წწ.-ის წინ);
- მეზოლითის / შუა ქვის ხანა (დაახლოებით 12 000–10 000 წწ.-ის წინ; ევროპაში დაახლოებით 12 000–5 000 წწ.-ის წინ);
- ნეოლითის / ახალი ქვის ხანა (დაახლოებით 10 000–5 000 წწ.-ის წინ).

ადრე ქვედა პალეოლითის პერიოდის (დაახლოებით 2,6–1,5 მლნ. წწ.-ის წინ) უძველესი ადამიანები [ლათ. Homo habilis (?) და მოგვიანებით ლათ. Homo erectus] საარსებო რესურსების (საკვების) მოპოვება-მითვისებისა და თავდაცვის მიზნით ამზადებენ, მაგ., ცალმხრივად, პრიმიტიულად დამუშავებული რიყის ქვის საჩეხ იარაღებს – „ჩოპერებს“ (ინგლ. chopper), რომელთა ნაშთები აღმოჩენილია 1992–1994 წწ.-ში აფრიკაში, კერძოდ, ეთიოპიაში, აფარის რეგიონში, გონაში (Semaw, et al., 2020, 1).

ზოგიერთი მეცნიერის კვლევის მიხედვით, ამ პერიოდის შემდეგ (დაახლოებით 1,8–1,7 მლნ. წწ.-ის წინ) უძველეს ადამიანთა (ლათ. Homo erectus / Homo georgicus) მცირე ჯგუფებმა, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, დაიწყეს გადაადგილება აფრიკის სამხრეთ ნაწილიდან ჩრდილოეთის მიმართულებით და ლევანტის (პალესტინის, ისრაელის, იორდანიის, ლიბანისა და სირიის) მიწების გავლით დაიკავეს ახალი საცხოვრებელი ადგილები სამხრეთ-კავკასიის ტერიტორიაზე, კერძოდ, დმანისის ღია ტიპის სადგომში (De Lumleya and Lordkipanidze, 2006, 274), სადაც გაავრცელეს ქვის დამუშავების თავიანთი „ტექნოლოგია“ და რიყის ქვის საჩეხი და დასანაყი იარაღების – „ჩოპერების ინდუსტრია“ (Tushabramishvili et al., 2017, 14, 20). მიგრირებადი მონადირე-შემგროვებლების სოციალური ჯგუფები სავარაუდოდ გზადაგზა მოიხმარდნენ ბუნების პროდუქტებს, როგორიცაა: ცხოველები და მცენარეები, მისი წევრები ცეცხლის გამოყენებით ერთად ნადირობდნენ ცხოველებზე და მიყვებოდნენ ცხოველთა ჯოგების მოძრაობას, მდინარეთა, ანდა ზღვის ნაპირებს და „ჩოპერების ინდუსტრიას“ ავრცელებდნენ ევროპასა და აზიაშიც (Tushabramishvili et al., 2017, 14, 36).

ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლებში ასახულია სამეურნეო საქმიანობები, მაგ., ნადირობა, შემგროვებლობა და ქვის იარაღის დამზადება. გამოიყოფა ნუკლეუსების (კაჟის ან სხვა ქანის ნატეხის) დამამზადებელი სახელოსნოები, საიარაღო ნამზადების სახელოსნოები და სახელოსნოები „მთლიანი საწარმოო ციკლით“. ამ ადგილებში აღმოჩენილია ნუკლეუსები, ანატკეცები და წარმოების ნარჩენები. მონადირეთა ბანაკებში გვხვდება სანადირო და ცხოველის დასაჭრელ-დასანაწილებელი იარაღები, ხანგრძლივ სადგომებზე კი – მრავალნაირი ნივთები და ზოგჯერ კერის ნაშთები (Lortkipanidze (Ed.), 1991, 77).

ქვედა პალეოლითის გვიან ეტაპზე (დაახლოებით 500 000–300 000 წწ.-ის წინ) უძველეს ადამიანთა (ლათ. Homo heidelbergensis) მცირე ჯგუფებმა ქვის იარაღები (ორმხრივადდამუშავებული საჩეხი, ხელცული და სხვა) უფრო დახვეწეს (Tushabramishvili et al., 2017, 12). ისინი ნედლეულის, ანუ წინანდელი შრომით გარდაქმნილი საგნის – შრომის პროდუქტის მოსაპოვებლად ევროპის ტერიტორიაზე 10–15 კმ მანძილზე გადაადგილდებოდნენ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება 100 კმ დისტანციაზე მოძრაობა (Cunliffe (Ed.), 1994, 26).

ადრე შუა პალეოლითის პერიოდში (დაახლოებით 200 000–120 000 წწ.-ის წინ) უძველეს ადამიანთა (ლათ. Homo neanderthalensis) მცირე ჯგუფები, განსხვავებული ადგილების გარემო პირობების, მათი წარმოებისა და ცხოვრების წესების მიხედვით, სხვადასხვა საწარმოო საშუალებებს პოულობენ. ისინი ბუნებრივად ინაწილებენ შრომასა და ამზადებენ განსხვავებულ პროდუქტებს, რომლებსაც ერთი ჯგუფისთვის უშუალო სახმარი ღირებულება აქვს და მეორისთვის საცვლელი ღირებულებაა. ამიტომ ეს პროდუქტები მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ერთიმეორეზე გაიცვალა და თანდათანობით გაცვლის პროდუქტად, ანუ საქონლად იქცა. გაცვლის ფორმები პრიმიტიული წარმოების წესით განისაზღვრა. არსებობს არქეოლოგიური მასალები, რომელთა მიხედვით ჩანს, რომ ამ პერიოდში ადამიანებმა საქონელი გადაიტანეს 80–300 კმ-იანი დიაპაზონით. ადრე ზედა პალეოლითის ხანაში (დაახლოებით 40 000–35 000 წწ.-ის წინ) ძველმა ადამიანებმა მოლუსკები უფრო შორ მანძილზეც წაიღეს (Cunliffe (Ed.), 1994, 26, 27).

ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გვიანი შუა პალეოლითის ხანაში (დაახლოებით 100 000–70 000 წწ.-ის წინ) იყო ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომლებშიც შესაძლებელი გახდა ბგერითი ენის (ურთიერთობის, აზრთა გაცვლისა და ურთიერთგაგების საშუალების) წარმოშობა და განვითარება (Perreault and Mathew, 2012, 1, 5). აგრეთვე ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდში ან მოგვიანებით ადამიანებმა ძაღლი მოიშინაურეს (Tushabramishvili et al., 2017, 17).

არქეოლოგიური კვლევების მიხედვით, შუა პალეოლითის ხანაში უძველესი ადამიანები (ლათ. Homo neanderthalensis) სწავლობენ კლიმატს, სეზონების ცვალებადობას, ბუნების საამისოდ ცვლას აწესრიგებენ და აკონტროლებენ საკვები პროდუქტების მითვისების ფორმებს (Kvashilava and Sekhniashvili, 2022, 231). ისინი ქვებს ამუშავებენ წინასწარ განსაზღვრული ფორმისა და ზომის მიხედვით, ავლენენ პრიმიტიული აბსტრაქტული აზროვნების უნარებს (საგანთა ან მოვლენათა არსებითი ნიშნების განზოგადებას), ასრულებენ გარკვეული საყოფაცხოვრებო, სამონადირეო და დაკრძალვის რიტუალებს იშვიათი მინერალებით შემკობილი საგნების გამოყენებით. ამ პროცესის დროს ისინი დაეუფლნენ ოსტატობის სხვადასხვა ხერხსა თუ მეთოდს, ოქრით ტატუირებას, ხაზოვან ხატვას, აკეთებენ სიმბოლურ ნაკაწრებს, ქანდაკებებს, სამკაულებსა და ფლეიტას, ამზადებენ საჭმელს, ალღობენ გაყინულ საკვებს (ხორცს) და ინახავენ პროდუქტებს (Tushabramishvili et al., 2017, 17).

ზოგიერთ არქეოლოგს მიაჩნია, რომ შუა პალეოლითიდან ზედა პალეოლითზე გარდამავალ პერიოდში (დაახლოებით 40 000–34 000 წწ.-ის წინ) საქართველოს ტერიტორიაზე, ორთვალა კლდის მღვიმეში, რომელიც მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე, მდ. ჭერულის მარჯვენა ნაპირზე, ადამიანთა ორი სახეობის (ლათ. Homo neanderthalensis, Homo sapiens sapiens) მცირე ჯგუფები თანაარსებობდნენ, ერთნაირად ნადირობდნენ ჯიხვებზე. ისინი ამზადებდნენ ქვასა და ძვალს, წარმოების საშუალებებს ძირითადად ერთნაირი მეთოდებით (Tushabramishvili, 2020, 43, 45, 51–62).

ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითადი მომძლავრება შუა პალეოლითის ხანის დასასრულს დაიწყო. როგორც ცნობილია, ამ დროს ადამიანები (ლათ. Homo sapiens sapiens) მისდევენ ნატურალურ მეურნეობას (მითვისებით მეურნეობას / შეგროვებით მეურნეობას) – საკვებად ვარგისი და გამოსადეგი ველისა და ტყის ბინადართა (ფრინველებზე, ჯიხვზე, გარეულ ცხვარზე, თხაზე, ღორზე, ხარსა და სხვა ცხოველზე) ნადირობას, მეთევზეობასა (თევზის, კიბორჩხალისა და მოლუსკების ჭერას) და შემგროვებლობას (კენკრის, ხილის, თხილის, ფოთლის, ქერქის, ფესვისა და ბოლქვის შეგროვებას) და სხვას. მეურნეობის ამ ფორმციისას „მწარმოებელი ჯგუფები“ ქმნიან გარკვეული შრომის საშუალებებს (ტყავს, ძვალს, რქას, ქვას, კაჟს, კვარცს, ობსიდიანს, მშვილდისარს, შუბისპირს, საფხეკს, საჭრისსა და სხვა ნივთებს), რომლებსაც მისი წევრები ინაწილებენ და იყენებენ გაუცვლელად უშუალოდ მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელად, წმინდა სამომხმარებლო დანიშნულებით.

ქვედა და ზედა პალეოლითის და მეზოლითის ხანაში ადამიანებმა ძვლის მასალებზე ამოკვეთეს ორნამენტული შტრიხები, წერტილოვანი ნიშნები, სწორი ან კლაკნილი ხაზების მიმდევრობები, რომლებიც, როგორც ირკვევა, მონადირე-შემგროვებელთა საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ისინი აღმოაჩინეს ევროპაში, მაგ., საფრანგეთსა და გერმანიაში (Bourrillon, et al., 2018, 59). ა. მარშაკის მიხედვით, ერთ-ერთი ძვლის ფირფიტაზე გამოსახულ ნიშანთა მიმდევრობა, რომელიც აღმოაჩინეს დორდონის რეგიონში, აბრი ბლანშარის კლდის თავშესაფარში, ამოცნობილია, როგორც „მთვარის კალენდარი“ – მთვარის სხვადასხვა ფაზის აღრიცხვის სისტემა (იხ. დანართში სურ. 1). ეს ინტერპრეტაცია შეიძლება მიუთითებდეს წელიწადის ციკლის, ნადირობის სეზონისა და შეგროვებითი მეურნეობის სამუშაოებისა და გარკვეულ მცენარეთა ნაყოფის სიმწიფის დროის წინასწარ განსაზღვრაზე.

სამყაროს ეკონომიკური შეცნობის დროს ადამიანებმა გამოაქანდაკეს, მაგ., ქალის, ბიზონის, ცხენის, ლომისა და სხვა ცოცხალი არსების, მცენარის აბსტრაქტული და რეალისტური ფიგურები, შექმნეს გეომეტრიული ორნამენტით მორთული იარაღები, პეტროგლიფები (ლოდებზე, კლდეებზე თუ მღვიმის კედლებზე ამოკვეთილი ან ამოკაწრული ნიშნები), ტექტიფორმები (ინგლ. tectiforms) (იხ. დანართში სურ. 2) და ნატიფი ნახატები, ფერწერის შედევრები, რომლებიც წერტილების, სწორი, მრუდე თუ ტეხილი ხაზების საშუალებითაა შექმნილი (Cunliffe (Ed.), 1994, 50, 68, 69; Lortkipanidze (Ed.), 1991, 79, 139, 224, 225). ამ მასალებზე ძირითადად წარმოდგენილია ადათ-წესების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და „სამეურნეო

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქმიანობების“ ასპექტები, ხორცისა და ტყავის მომცემ ცხოველებზე ნადირობის სცენები, რომლებიც მიუთითებენ ისტორიამდელი ჯგუფების მოქმედებაზე, სოციალურ-ეკონომიკური ქცევისა და კულტურულ-ტექნოლოგიური დონის განვითარებაზე, სიმბოლური კომუნიკაციის სტილისა და გარკვეული ინფორმაციის გადაცემის საშუალებების არსებობაზე.

ეკონომიკური და არქეოლოგიური კვლევების მიხედვით ჩანს, რომ ადამიანებმა თანდათანობით ისწავლეს ფორმაცვლილი ძვლის, ირმის რქისა და ქვის გახვრეტა და ხის ტარის მიმაგრება (ინგლ. hafting), რითაც საჭრელი, სასროლი, საწნეხი, სახეხი (ხმალი, დანა, ისარი, შუბი, ძვლის ნემსი, სადგისი და ანკესი) და სხვა ახალი დახვეწილი იარაღები დაამზადეს. ამ ინსტრუმენტებით აღჭურვილმა ადამიანთა ჯგუფებმა ცხოველებზე ნადირობა და ხორცის მოხმარება გააუმჯობესეს. ამ დროს თანდათანობით გაფართოვდა პრიმიტიული წარმოებითი ურთიერთობები, რომლებიც დამყარდა მატერიალური დოვლათის წარმოების დროს სოციალურ-ეკონომიკურ სუბიექტებს – ორ ადამიანს ან მცირე ჯგუფს – მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, რადგან რაიმე სახის სახმარი ღირებულების წარმოების პროცესში შრომის საგნები, რომლებმაც განიცადეს ადამიანის ზემოქმედება, გაიცვალა და გადაიქცა საქონლად. მწარმოებლურმა ძალებმა, რომლებიც ეკონომიკის განვითარების საფუძველია, დაიწყეს ცვლილება, რამაც გამოიწვია შესაბამისი გარდაქმნა პირველადი სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის – მცირე ჯგუფების „ეკონომიკურ ბაზისში“. ამ ჯგუფებმა, მათი გარკვეული ინტერესების გამოვლენის შედეგად, პრიმიტიული საქონლის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესის დროს ჩამოაყალიბეს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის კერები ზედა პალეოლითის პერიოდის ნაყოფიერი ნახევარმთვარისა (ეგვიპტის, პალესტინის, ისრაელის, იორდანიის, ლიბანის, სირიის, ერაყის, ქუვეითის) და ევროპის ტერიტორიების გარკვეულ კულტურებში (Cunliffe (Ed.), 1994, 44–46, 56–59, 64–69, 73–78; Tushabramishvili et al., 2017, 35). ამ პერიოდში ლევანტის მიწებში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც იყვნენ საკვების მომპოვებელთა მოძრავი მცირე ჯგუფები, გახდნენ სოციალურ-ეკონომიკურად კოორდინირებულნი, რასაც ხელს უწყობდა მეტყველება, აზრთა განსჯა-შეპირისპირება, პრიმიტიული აბსტრაქტული აზროვნება, ძერწვა და ხატვა. მათი მნიშვნელოვანი საარსებო საშუალებები იყო ზოგიერთი ძუძუმწოვარი ცხოველის (გარეული ხარის, ღორისა და ცხვრის) ხორცი და მცენარეული საკვები (Gilead, 1991, 105).

რიგი კვლევების მიხედვით ირკვევა, რომ პალეოლითის ხანაში სამხრეთ-კავკასიის რეგიონებში, რომლებიც გამოირჩევა ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, ბუნებრივი თავშესაფრისა (მღვიმეების) და შრომის საგნების სიმრავლით, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით, მონადირე-შემგროვებელმა ადამიანებმა გაავრცელეს გაუმჯობესებული ქვის იარაღების „ინდუსტრია“. ისინი, ვინც ერთმანეთს სისხლით ენათესავებოდნენ, მცირე ჯგუფებად ჩერდებოდნენ ამ ტერიტორიების ღია სადგომებში, თბილ და ტენიან ადგილებში, ხოლო ცივი კლიმატის დროს კი – მღვიმეებში, რომლებშიც აღმოჩნდა მათი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამონადირეო საქმიანობების ნაშთები (Tushabramishvili, 2010, 19–37; Bar-Yosef, et al., 2011; Moncel, et al., 2015; Tushabramishvili, 2020, 43–45, 51–54).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია 500-ზე მეტი პალეოლითის ხანის სამეურნეო სადგომი თუ პუნქტი, რომელთაგან რამდენიმე მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია (Tushabramishvili et al., 2017, 20, 21). როგორც ჩანს, ეს რეგიონი მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მწარმოებლური საქმიანობების (ქვის, ძვლისა და ტყავის მასალების დამუშავების, ჯიხვის ბეწვის, ველური სელისა და შალის ძაფის ქსოვისა და ღებვის, გრაფიკული ნიშნების ამოკვეთის) წარმოშობისა და განვითარების მიმართულებით. ამ მხრივ ქვემოთ წარმოდგენილია ნივთიერი მასალები, რომლებიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს საქართველოში, კერძოდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტსა და მის მიმდებარე რეგიონებში.

უძველესი შრომის საშუალებები, მაგ., ქვის ხელცულები, საჩეხი იარაღი, სახოკსაჭრელები და სხვა აღმოაჩინეს წონას მღვიმეში, მონადირეთა დროებით სადგომში, რომელიც შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ჯავის რაიონში, ერწოს ტბის ახლოს, მდ. ყვირილას სათავეებთან მდებარეობს. მათ შორისაა შრომის საგანი, ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში – არგილიტის (ქვის მსგავსი თიხის ქანის) ფილა ჯვრის გამოსახულებით (იხ. დანართში სურ. 3). ამ საგნის შესახებ მკვლევრები წერენ:

„ჯვრის ოთხი მიმართულების ღარიდან სამი ხაზი [უძველესი] ადამიანის [ლათ. Homo neanderthalensis] მიერ ამოკვეთილია ხელოვნურად,

ხოლო ერთი – ბუნებრივია. შესაძლებელია, ჯვარი თავიდან მკრთალად, ბუნებრივად იყო გამოსახული ქვის ფილაზე, ხოლო შემდგომ ადამიანმა ის ამოკვეთა და ხაზები გაუღრმავა. ჯვრის შესახებ [არქეოლოგი ა. კალანდაძის მიერ] გამოთქმულია აზრი, რომ შესაძლოა ჯვარი გამოსახავდეს კოცონის დასანთებად გამზადებულ გადაჯვარედინებულ ხის ტოტებს (Tushabramishvili et al., 2017, 24).

274 000–130 000 წწ.-ის წინანდელი ჯრუჭულის მღვიმეში, რომელიც მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოდის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილას აუზში, მდ. ჯრუჭულის ხეობაში, აღმოჩნდა შრომის საგნები, იშვიათი სინატიფითა და დახვეწილობით შესრულებული ხელოვნების ნიმუშები – მცირე ზომის ქანდაკებები (იხ. დანართში სურ. 4). „[ერთ-ერთ] ქანდაკებაზე ნახვრეტის კეთება დაწყებულია წყლის (წვეთის) მოქმედებით, ხოლო ადამიანმა ის გააფართოვა და დასრულებული სახე მისცა“ (Tushabramishvili, 2003, 32).

ბონდის მღვიმეში, რომელიც მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. წირქვალის ტერიტორიაზე, თაბაგრების ღელის მარჯვენა ნაპირზე, აღმოაჩინეს ზედა პალეოლითის ხანის შრომის საშუალება – ძვლის ნემსი და სადგისი; შრომის საგნის – ველური სელისა და გრეხილი, შეღებილი ძაფის ნაშთები, ბოჭკოები (იხ. დანართში სურ. 5, 6), რომლებიც წინანდელი შრომითაა დაწმენდილი. ეს ბოჭკო მსოფლიოში ყველაზე ადრეულია, დაახლოებით 35000–30000 წწ.-ის წინანდელი (Tushabramishvili, 2010, 25). ველური სელის დაგრეხილი ბოჭკოები და ნაქსოვი ზონარები მრავალრიცხოვანი კვანძებით აგრეთვე ნაპოვნია ბონდის მღვიმიდან 4 კმ მანძილით დაშორებულ ზედა პალეოლითის ხანის ძუძუანას მღვიმეშიც, რომელიც მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის, მდ. ნეკრისის მარჯვენა ნაპირზე (Tushabramishvili et al., 2017, 27; Bar-Yosef, et al., 2011, 344, 345). არქეოლოგები ძუძუანასა და ბონდის მღვიმეების ფენებში აღმოჩენილი დაწნული, შეღებილი და კვანძოვანი ველური სელის ბოჭკოების შესახებ მიუთითებენ იმაზე, რომ ისტორიამდელი პერიოდის მონადირე-შემგროვებლებმა იცოდნენ სელისა და ჯიხვის ბეწვის წარმოება და მოხმარება, კალათების, სამოსის თუ თოკის ქსოვა და ღებვა. მკვლევრები ასახელებენ საღებავ ფერებსაც: ყვითელს, წითელს, იისფერს, შავს, ყავისფერს, მწვანესა და ხაკისფერს. ამ დროს ძუძუანას მღვიმეში ადამიანი შალის ძაფსაც და ტყავსაც ამუშავებდა. აქვე ნაპოვნია ძვლის ნემსი (Tushabramishvili, 2010, 28). ძუძუანას მღვიმეში აგრეთვე აღმოაჩინეს დაახლოებით 22 000–21 000 წწ.-ის წინანდელი შრომის საგანი, ცხოველის ნეკნისგან დამზადებული ორნამენტირებული საკიდი (იხ. დანართში სურ. 7).

გვარჯილის კლდის მღვიმეში, რომელიც მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. რგანის მიდამოებში, მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის ჭერულის ხეობაში, აღმოაჩინეს შრომის საგანი, „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტი, რომელიც დამზადებულია მსხვილფეხა საქონლის ნეკნის ძვლისგან. მის ორივე ზედაპირზე ამოჭრილია ისრისებური თუ ორმხრივი შუბისპირისებური შვიდ-შვიდი ნიშანი, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თითქმის პარალელურად არიან განლაგებულნი (იხ. დანართში სურ. 8) (Lortkipanidze (Ed.), 1991, 185).

საწურბლიას მღვიმეში, რომელიც მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყუმისთავში, მდ. სემის მარცხენა ნაპირზე, ნიადაგიდან ამოიღეს 25 400–24 500 წწ.-ის წინ მცხოვრები ქალისა და ორი ცხოველის გენეტიკური მასალა (Gelabert, et al., 2021, 2). აქ აღმოჩნდა ოთხი საცხოვრებელი: იატაკი, საწარმოო კუთხე, ცეცხლის კერა, კაჟის, რიყის ქვის, ძვლისა და ობსიდიანის იარაღები, ქვის, ნიჟარისა და ცხოველის კბილისგან დამზადებული საკიდები და მძივები, ძვლის ოთხი ცალი ნემსი და ცხრა ცალი სახვრეტი და სხვა. აღსანიშნავია, რომ საწურბლიას მღვიმეში დასტურდება ნადირობა-შეგროვებიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე ნაწილობრივი გადასვლა, მაგ., ველური მარცვლეულის გადამუშავება. აგრეთვე აღმოჩენილია ველური სელის ხელოვნურად დაგრეხილის ნაშთები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ისინი გამოცდილი მონადირეები იყვნენ და შეთანხმებულად ნადირობდნენ ტახზე, წითელ ირემსა და ზოგიერთ გარეულ თხაზე (Pinhasi, et al., 2014, 1, 5, 9, 14, 15).

მკვლევრებმა შეადარეს გვიანი ზედა პალეოლითის ხანის (დაახლოებით 13 380–13 132 წწ.-ის წინანდელი) საწურბლიას მღვიმისა და გვიანი მეზოლითის ხანის (დაახლოებით 9 895–9 529 წწ.-ის წინანდელი) კოტიას კლდის მღვიმის (ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. სვერის ტერიტორიაზე, მდ. საძალიხევის აუზში) მაცხოვრებელი მამაკაცებისა და გვიანი ზედა პალეოლითის ხანის (დაახლოებით 13 770–13 560 წწ.-ის წინანდელი) შვეიცარიის ტერიტორიაზე, ბიშონის მღვიმეში აღმოჩენილი ახალგაზრდა მამაკაცის გენომები. აღმოჩნდა, რომ ბოლო გამყინვარების შემდგომი პერიოდის „ადრე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ული ევროპელი ფერმერები", რომლებმაც სათავე დაუდეს მწარმოებლურ მეურნეობას ნეოლითის ხანის ევროპაში, წარმოიშვნენ სამხრეთკავკასიური მონადირე-შემგროვებლების მემკვიდრეებისაგან. აგრეთვე ირკვევა, რომ სამხრეთკავკასიური მონადირე-შემგროვებლები ყოფილან აფრიკიდან დაახლოებით 45 000–25 000 წწ.-ის წინ მიგრირებულ კოლონისტთა შთამომავლები (ლათ. Homo sapiens sapiens), რომლებიც შეჩერდნენ კავკასიისა და ლევანტის სამხრეთ რეგიონებში და შემდეგ გავრცელდნენ ევროპის, აზიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში (Jones, et al., 2015, 2, 5).

ეპიპალეოლითის ხანის მონადირე-შემგროვებელთა ჯგუფები ეკონომიკურ ურთიერთობებს ავითარებენ სამხრეთ ლევანტში და ახდენენ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ქმნიან და იყენებენ ახალ ინსტრუმენტებს (Macdonald, et al., 2018). შრომის იარაღების დამუშავებამ (იხ. დანართში სურ. 9), გრავიურამ, მხატვრობამ, ენების თანდათანობითმა განვითარებამ და სოციალურმა ცვლილებებმა აამაღლა წარმოებისა და კულტურული დონე. ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებამ, სასარგებლო საზრდოს რაოდენობისა და თავდაცვის უნარის მომატებამ 35 000–12 000 წწ.-ის წინ დედამიწაზე მათი რაოდენობა 500 ათასიდან დაახლოებით 5–8 მლნ.-მდე გაზარდა (Biraben, 1979, 23; Kvashilava and Sekhniashvili, 2022, 231).

ზემოაღნიშნული არქეოლოგიური კვლევების მიხედვით ჩანს, რომ მატერიალური წარმოების პროცესის საფუძველმა – შრომამ, რომელიც არის სამუშაო ძალის მოხმარება და რომელიც შრომის საგნებს „გამოაცალკევებს დედამიწასთან უშუალო დაკავშირებიდან", ფუნდამენტურად შეცვალა ადამიანთა ბუნება და გარესამყარო. პრიმიტიულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა და საკვები რაციონის გაზრდამ განავითარა ადამიანთა სულიერი, ფიზიკური თუ გონებრივი უნარები, შესაძლებლობები, ქცევები, საყოფაცხოვრებო და სამონადირეო საქმიანობები, საწესჩვეულებო რიტუალები, შემეცნება, მეტყველება, ტექნოლოგიური, კულტურული და რელიგიური ვარიაციები, რომლებითაც შესაძლებელი გახადა საგნების ახალი თვისებების მიგნება, პრიმიტიული აბსტრაქცია და ა.შ. სოციალურ-ეკონომიკური პირობების განვითარებამ გამოიწვია სოციალური ჯგუფების გეოგრაფიულ გარემოში გაფართოება და ახალი მიწების ათვისება, რომელმაც მოცემულ ისტორიულ ეტაპზე აამოქმედა საკვების მოპოვების, ახალი თავშესაფრების მოძებნისა და შექმნის პროცესი. განსხვავებულმა წარმოების ფორმებმა ნელ-ნელა გამოავლინა სოციალური იერარქიების გარკვეული ზრდა და ასპარეზზე გამოიყვანა ადამიანთა ახალი, უფრო მძლავრი მცირე ჯგუფები – ახალი მწარმოებლური ძალები, რომლებმაც შრომის დანაწილების განვითარებით გამოიყენეს საწარმოო საშუალებანი მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში და ამით შექმნეს პირობები სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი სრულყოფისა და განვითრებისთვის. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გვაროვნული წყობილების წარმოშობას, რომლის ძირითადი ეკონომიკური უჯრედი გახდა გვარი – მონათესავე ოჯახების გაერთიანება. ამ ფორმაციას უწოდებენ „ზედა პალეოლითურ რევოლუციას", ანდა ზოგ შემთხვევაში – „შემოქმედებით აფეთქებას" (Bar-Yosef, 2002; Kvashilava and Sekhniashvili, 2022, 231).

დასკვნა

ამდენად, ქვის ხანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, თუ როგორ იწვრთნება ადამიანი ეკონომიკური ურთიერთობების, ინსტიტუტებისა და კულტურების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში და როგორ ამზადებს იგი პირობებს გრაფიკული ნიშნების: წერტილების, ხაზების, ჯვრებისა და სხვა რთული ფორმებისა და სიმბოლური ნაკაწრების გამოსახვას წერითი სისტემის წარმოშობისთვის.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დანართი



სურ. 1. „მთვარის კალენდარი“, ძვლის ფირფიტა, აბრი ბლანშარის კლდის თავშესაფარი, სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთი, ძვ.წ. 34 000–32 000 წწ. Cunliffe (Ed.), 1994, p. 71-ის მიხედვით



სურ. 2. ორინიაკული კულტურის ნიშნები, ზედა პალეოლითი, საფრანგეთი და გერმანია
Dutkiewicz, et al., 2020, p. 5, Fig. 3-ის მიხედვით



სურ. 3. არგილიტის ფილა ჯვრის გამოსახულებით, წონას მღვიმე, შუა პალეოლითის ხანა (?) თუშაბრამიშვილი, 2003, გვ. 29-ის მიხედვით

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სურ. 4. მცირე ზომის ფიგურები, ჯრუჭულის მღვიმე, შუა პალეოლითის ხანა. თუშაბრამიშვილი, და სხვ., 2017, გვ. 25-ის მიხედვით

ა.

ბ.

სურ. 5. ნემსი (ა.) და სადგისი (ბ.), ბონდის მღვიმე, ზედა პალეოლითის ხანა. Bar-Yosef, et al., 2011, p. 342, 6.2, 6.5-ის მიხედვით



სურ. 6. სელის ბოჭკო (ა.) და გრეხილი, შეღებილი ძაფის ნაშთი (ბ.), ბონდის მღვიმე, ზედა პალეოლითის ხანა. თუშაბრამიშვილი, 2010, გვ. 31, 37-ის მიხედვით

სურ. 7. ორნამენტირებული საკიდი, ცხოველის ნეკნი, ძუძუანას მღვიმე, ზედა პალეოლითის ხანა. Bar-Yosef, et al., 2011, p. 342-ის მიხედვით

სურ. 8. „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტი, ცხოველის ნეკნი, გვარჯილას კლდე, ზედა პალეოლითის ხანა. კოტი, 2019, გვ. 88, 91-ის მიხედვით. თათა აღაპიშვილის ფოტო



სურ. 9. შრომის იარაღები Braidwood, 1948, p. 64, 66, 68, 69-ის მიხედვით

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ABOUT THE NECESSITY OF LEGAL REGULATION OF THE ECONOMY OF GEORGIA

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 27, 2024
Published: June 16, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-26

David Vekua
Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian International University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-3933-7746
E - mail: David.vekua@yahoo.com

Aleksandre Taliashvili
Professor of the Faculty of Law and International Relations of the Technical University of Georgia
ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-5518-5683
E-mail: al.taliashvili@gmail.com

ABSTRACT

The use of mechanisms and tools of legal regulation of inclusive economy in Georgia should significantly reduce the discord between some undesirable trends of globalisation and social justice, and support sustainable development of the Georgian economy.

At the current stage of development, the Government of Georgia has to deal with two hardest challenges in economy. These are the adaptation to economic regulations of the EU and the maintenance of the country's economic security. The simultaneous solution to the problems is possible only if the intercompatibility of social justice and inclusivity of economy is achieved.

The current academic work analyses the existing socio-economic challenges in the country, based on the data generated by the National Statistics Office of Georgia.

The research shows that despite a number of some positive steps taken in the direction of inclusiveness, a number of significant problems remain in the field of fair distribution of public resources as well as in the rational management of natural and human resources.

Only through legal regulation of inclusive economy it is possible to improve the living environment, promote innovative entrepreneurship, enhance social security and medical services, reduce poverty, create jobs, etc.

Key words: *inclusive economy, legal regulation, public good, property, employment and unemployment, social security.*

REFERENCES:

1. S. Khizanishvili I. Gabisonia A. Taliashvili. Justice, philosophical-legal aspects. "Universal" Publishing House, Vol. 2019 p. 5;

2. Gabisonia, A. Taliashvili, S. Khizanishvili. Social justice and market economy. "Meridian" publishing house, tb. 2021. p. 9;

3. Davit Vekua, Archil Tsertsvadze Some aspects of overcoming property inequality in Georgia under the conditions of an inclusive economy.,,New Economist'' N1, 2024;

4. Davit Vekua, problems of distribution, efficiency and justice of public government in Georgia. Collection of scientific works of Gtun. N12 2022;

5. David Vekua, Some Current Issues of Economic Policy in the Conditions of the COVID 19 Pandemic,

International scientific conference dedicated to the 100th anniversary of the establishment of Javakhishvili Tbilisi State University and the Faculty of Business, COVID 19 and the economy. 2022;

6. Khizanishvili, "Ethical Economy" publishing house, "Lio" Tbilisi, 2016. p. 70;

7. David Vekua, Archil Tsertsvadze RISK MANAGEMENT TOOLS FOR SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES IN GEORGIA. VII International Scientific and Practical Conference "New problems of science and ways of their solution", September 26-27, 2023, Paris. France. 48 p;

8. David Vekua, Archil Tsertsvadze THE WAYS TO REDUCE RISKS OF SMALL BUSINESS IN GEORGIA VII International Scientific and Practical Conference "Questions. hypotheses. answers: science XXI century" March 26-27, 2024 Toronto. Canada;

9. Rolz Dzh. Theory of justice/science. ed. V. V. Tselishchev [trans. with English V.V. Telishchev with the participation of V.N. Karpovich and A.A. Shevchenko]. Novosibirsk: Novosibirsk University Publishing House, 1995;

10. Kovzanadze Irakli, Lessons from the World Economic Crisis and the Formation of a New Model of Development, Tbilisi 2016. P.92;

11. S. Papalashvili, "Ratings of the country according to GDP per capita" https://forbes.ge/qveqhnebis-reitingi-erth-sul-mosakhleze-mshp-is-mikhedvith/;

12. Eka Darchiashvili https://www.bpn.ge/article/121066-indoeti-msoplios-qvelaze-scrapad-mzardi-ekonomika;

13. Mussky I. A. A hundred great thinkers. Moscow. "VECHE" – 2000;

14. https://www.radiotavisupleba.ge/a/32920797.html;

15. https://www.bpn.ge/article/123662-ramdenia-sashualo-xelpasi-sakartvelosa-da-mezobel-kveqnebshi;

16. Which are the world's 10 countries with the largest economy - 2023 ranking;

https://www.bpn.ge/article/118219-romelia-msoplios-10-kveqana-qvelaze-msxvili-ekonomikit-2023-clis-reitingi/

17. geostat.

საქართველოში ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების საჭიროების შესახებ

დავით ვეკუა
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს საერთაშორისო
უნივერსტეტ „ჯიუს“ ასოცირებული
პროფესორი
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-3933-7746
ელ.ფოსტა: David.vekua@yahoo.com

ალექსანდრე ტალიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლის და საერთაშორისო
ურთიერთობების
ფაკულტეტის პროფესორი
ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-5518-5683
ელ.ფოსტა: al.taliashvili@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებამ, მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს გლობალიზაციის ზოგიერთ არასასურველ ტენდენციასა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული წინააღმდეგობა და ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს მთავრობას, ეკონომიკის ორი ურთულეს გამოწვევასთან უხდება გამკლავება. ეს არის ადაპტაცია ევროკავშირის ეკონომიკაში არსებულ რეგულა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ციებთან და ქვეყნაში ეკონომიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ პრობლემების მოგვარება კი მხოლოდ სოციალური სამართლიანობის და ინკლუზიური ეკონომიკის ურთიერთთავსებადობის მიღწევითაა შესაძლებელი.

ნაშრომში, გაანალიზირებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ქვეყანაში არსებული ზოგიერთი სოციალ-ეკონომიკური პრობლემა, რომელთა მოგვარება საქართველოში არის ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე და სტრატეგიული ამოცანა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკასა და სამართალში ინკლუზიურობის მიმართულებით გადადგმული ზოგიერთი პოზიტიური ნაბიჯისა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემებია დაგროვილი საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი განაწილების, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების რაციონალური მართვის საქმეში.

მხოლოდ ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების გამოყენებით არის შესაძლებელი: საარსებო გარემოს სრულყოფა, ინოვაციური მეწარმეობის წახალისება, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, სიღარიბის შემცირება, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *ინკლუზიური ეკონომიკა, სამართლებრივი რეგულირება, საზოგადოებრივი დოვლათი, საკუთრება, დასაქმება და უმუშევრობა, სოციალური უზრუნველყოფა.*

შესავალი

საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებამ, მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს გლობალიზაციის ზოგიერთ არასასურველ ტენდენციასა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული წინააღმდეგობა და უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ,,სამართლიანობის საკითხის გარკვევა განსაკუთრებით აქტუალურია დღესდღეობით, ქართული სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბების პროცესში; ასევე ქვეყნის შიგნით და მის გარეთ არსებული გარემოებების გამო.“[1] ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირება მოწოდებულია, გაზარდოს ეკონომიკისა და სამართლის სფეროში მიმდინარე ცვლილებებისადმი ქვეყნის ადაპტაციის უნარი.

იქამდე, სანამ სიმდიდრის დაგროვების მთავარი წყარო კერძო საკუთრება იქნება, უსამართლობის განცდა საზოგადოებაში სხვადასხვა სიმწვავით მუდმივად იარსებებს. ამ წინააღმდეგობას ღრმა იმანენტური ბუნება აქვს და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თანმხვედრი პროცესია.

დიდი ფრანგი საზოგადო მოღვაწე და ფილოსოფოსი ჟან- ჟაკ რუსო თავის ისტორიულ ტრაქტატში „საზოგადოებრივი ხელშეკრულება ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“(1762წ.) აღნიშვნავს, რომ ადამიანთა ურთიერთგაუცხოების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის კერძო საკუთრება.ის ამავე ნაშრომში დასძენს , რომ კაცობრიობა ბევრ ომს, დანაშაულს და მკვლელობას გადაურჩებოდა, რომ იმ ადამიანისთვის, ვინც პირველმა შემოიფარგლა მიწის ნაკვეთი და თქვა,“ეს ჩემიაო“, ეთქვათ „არა“,რადგან მისი აზრით მიწიდან მიღებული დოვლათი ეკითვნის ყველას, მიწა კი არავის.

ნობელის პრემიის ლაურიატი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ანრი ბერგსონი წერს „ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ საზოგადოების მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარება ვერ უზრუნველყოფს მის ზნეობრივ სრულყოფას, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში დოვლათის ზრდა შეიძლება საშიშიც კი აღმოჩნდეს, თუ ის არ დაეფუძნება განაწილების სფეროში სამართლიანობას“[13]

დღესაც მსოფლიოს უამრავი ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა დგას ისტორიული არჩევანის წინაშე, ეკონომიკის და კერძოდ ბიზნესის სრული დერეგულაციის გზით ეკონომიკის ზდის დაჩქარება და ეკონომიკურ ეფექტურობის უზრუნველყოფა, თუ ქვეყნის რესურსების განაწილებასა და გადანაწილებაში სოციალურ სამართლიანობის უზრუნველყოფა.

ეკონომიკის გლობალიზაციის სწრაფმა ტემპებმა და ტრანსნაციონალური კორპორაციების კაპიტალის დიდი მოცულობებით შემოდინებამ, მათ შორის ევროპაშიც მნიშვნელოვნად დაარღვია მსოფლიოს ისტორიული განვითარების შედეგად

ჩამოყალიბებული სამართლიანობის პარადიგმა. ამ არასასურველი ტენდენციების შეჩერების მიზნით, ევროპასა და არა მარტო ევროპის ქვეყნებში, ბევრი რამ იცვლება, ძლიერდება კონსერვატორთა გავლენები ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკურ სპექტრში, რაზეც მეტყველებს საფრანგეთსა და გერმანიაში ევროპარლამენტის არჩევნებში „ულტრა მემარჯვენე" პოლიტიკური პარტიების გამარჯვება. კონსერვატორთა მთავარი მოთხოვნაა გლობალიზაციის დამანგეველი გავლენებისგან საკუთარი ქვეყნების ეკონომიკური სივრცე დაცვა და ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფა.

დღეს ჰიპერგლობალიზაცია და ომები უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში არსებითად ცვლის გლობალური ეკონომიკის არსებულ პარადიგმას, რაც ნიშნავს ეკონომიკასა და პოლიტიკაში საყოველთაო კეთილდღეობის იდეების, ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებით ჩანაცვლებას. ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნა გლობალიზაციის გამოწვევებზე თავდაცვითი ინსტინქტებია, რაც პირველ რიგში ევროპის ქვეყნების ეკონომიკის სუვერენიზაციაში გამოიხატება. საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი მიმდინარე წლის 25აპრილს სორბონის უნივერსიტეტში თავის საპროგრამო გამოსვლაში „ევროპას მეტი დამოუკიდებლობისკენ მოუწოდა ეს ცხადი უნდა იყოს სხვა რეგიონებისთვისაც განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა"[14]

ძირითადი ნაწილი

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს მთავრობას, ეკონომიკის ორი ურთულეს გამოწვევასთან უხდება გამკლავება. ეს არის ადაპტაცია ევროკავშირის ეკონომიკაში არსებულ რეგულაციებთან და ქვეყნაში ეკონომიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს მოთხოვნები არ არის საქართველოს ევროპულ კანონმდებლობასთან და ევროპულ ბაზრებთან პასიურიდ მექანიკურად მიერთების პროცესი, ადაპტაცია ახალ მოთხოვნებს აჩენს და ეს გამოწვევები პირველ რიგში სოციალური ხასიათისაა.

წარმატებულ ეკონომიკურ პოლიტიკად ჩაითვლება ისეთი საქმიანობა , როდესაც დეკლარირებული შეხედულებები და რეალური ქმედებები არ იქნება ერთმანეთისგან დროსა და სივრცეში აცდენილი და ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები უზრუნველყოფენ საზედამხედველო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას.

საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ადაპტაცია პირველ რიგში კონკურენციის და სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტების ევროპულთან სინქრონიზაციას და დაახლოებას გულისხმობს. საკანონმდებლო რეგულაციამ უნდა მოაწესრიგოს ისეთ საკითხები როგორიცაა: კერძო საკუთრების უფლების დაცვა, კორუფციისგან და სხვა არასამართლებრივი ქმედებებისგან ბაზრის მონაწილეთა დაცვა, ბიუროკრატიის თვითნებობის ალაგმვა, ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემიოს შექმნის მიზნით ეფექტური(და არა ფორმალური) სახელმწიფოს საზედამხედველო სამსახურების ჩამოყალიბება, სამართლიანი დაბეგვრის რეჟიმის ჩამოყალიბება, ბიზნესისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა,ინვესტიციების დაცვა, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში ინქლუზიურობის უზრუნველყოფა და სხვა.

რას ნიშნავს ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირება? როგორა ამ რეგულირების ბუნება? „სამართლიანობის ცნების შინაარსის შემადგენელ ელემენტს მიეკუთვნებიან ფასეულობები და ქმედებები. ზნეობრივ ფასეულობებით ხდება სამართლიანობის გამოხატვა, ხოლო ეკონომიკური ქმედებები ახდენენ მის რეალიზებას, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს სამართლიანობის განხორციელების საციალურ-კულტურულ საშუალებას, რაც ასახვას პოულობს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში. ეკონომიკის სფეროში სამართლიანობა არის ეკონომიკურ ურთიერთობათა შესაბამისობა იმ წარმოდგენებთან, მოთხოვნებთან და ინტერესებთან, რომელიც დომინირებს განსაზღვრულ საზოგადოებაში."[6]

სამართლიანობის და ეკონომიკას ურთიერთთავსებადობა გულისხმობს ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებას, საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი განაწილებას, ბუნებრივი და ადამიანური რესუსების რაციონალური მართვას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი განხორციელდეს საზოგადოების თანამონაწილეობა ისეთ სოციალურ პრობლემების მოგვარებაში როგორიცაა: საარსებო გარემო გაუმჯობესება,სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა.

ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირება ეფუძნება რამოდენიმე პრინციპს, რომლის დაცვა, აყცილებელია იმისათვის, რომ სამართლიანობა იყოს ქვეყნის განვითარების ლოგი-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კის ორგანული ნაწილი „ეს პრინციპები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: პოლიტიკური პოპულიზმისგან თავშეკავება; ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების თანმიმდევრულობა; საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში წესრიგიანობა; რესურსების ხარჯვაში ზომიერება და კეთილგონიერება.“ [4]

დასაქმების ეფექტური და სტაბილური სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი მექანიზნების სრულყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. დასაქმების ეფექტურმა სისტემამ უნდა შექმნას ისეთი ინქლუზიური გარემო, სადაც მინიმალური იქნება უმუშევრობის დონე და სამუშაო ძალის მაღალი კვალიფიკაციის ხარჯზე შესაძლებელი გახდება ბიზნესში ინოვაციური ინციატივების იმპლემენტაცია.

რა მდგომარეობაა დღეს ამ სფეროში საქართველოში? საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: „სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითმა წილმა 2023 წლის მონაცემებით 11.8 % შეადგინა.“[17] თუ ამ ინდიკატორის ბოლო ათი წლის შემცირების დინამიკას განვიხილავთ, ვნახავთ, რომ სახეზეა სერიოზული კლების ტენდენცია. ვინაიდან „2014წ. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი 23,5% შეადგენდა “[17], რაც ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ყველა მეოთხე მოქალაქე საღარიბის ზღვაზე ქვემოთ ცხოვრობდა. საქართველოში, სიღარიბის შემცირების ტენდენცია პოზიტიური მოვლენაა ადამიანური რესურსების მართვასა და ამ სფეროში სამართლიონობის დამკვიდრების საქმეში.

ამავე დროს საგანგაშო მდგომარეობაა 20-34 წლამდე ახალ კურსდამთავრებულთა დასაქმების მიმართულებით. „2022 წლის მონაცემებით დასაქმებული იყო მხოლოდ 48.2 პროცენტი ახალგაზრდებისა“[17], ანუ ნახევარზე მეტი ახალგაზრდა, რომლებსაც აქვთ საშუალო და უმაღლესი განათლება 2022 წლის მონაცემებით დაუსაქმებლები იყო. ბუნებრივია ასეთ პირობებში ახალგაზრდებს უჩნდებათ უპერსპექტივობის განცდა და ისინი ცდილობენ სამუშაოს შოვნის მიზნით წავიდენ ემიგრაციაში.

დაუსაქმებლობის გარდა მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დაბალი ხელფასის ოდენობაც. „მსოფლიოს ყველაზე დიდ სარეიტინგო ბაზის Numbeo-ს 2024წ მონაცემებით 96 ქვეყნებს შორის საქართველო საშუალო ხელფასის ოდენობით 71-ე ადგილზეა. მეზობელ ქვეყნებიდან საქართველო მხოლოდ აზერბეიჯანს და უკრაინას უსწრებს. საქართველოში საშუალო თვიური სუფთა ხელფასი 1300 ლარია, აზერბეიჯანში საშუალო თვიური სუფთა ხელფასი 1 141 ლარია და ქვეყანა 75-ე ადგილზეა, ხოლო უკრაინა1 038 ლარით 79-ე ადგილზე.“[15]

დასქმების და შრომის ანაზღაურების უაღრესად სენსიტიურ სფეროში ინკლუზიური რეგულირების სამართლებრივი მეთოდების და ინსტრუმენტების გამოყენების გზით საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალაზე მოთხოვნილებისა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ეფექტური დაკავშირება. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით ახალგაზრდებთან მიმართებაში მთავრობიდან მოითხოვს დასაქმების პოლიტიკის სერიუზულ გააქტიურებას. მართალია ამ მიმართულებით იდგმება გარკვეული ნაბიჯები(პროფესიული სწავლების სისტემის რეორგანიზაცია, სამინისტროებსა და უწყებებში სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა, მცირე ბეზნესში ახალგაზრდების ინოვაციური პროექტების თანადაფინანსება და სხვა) თუმცა ეს საკმარისი არ არის. ინკლუზიური რეგულირების მექანიზმების გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის მინიმალური მოთხოვნები: საკვებსა და საცხოვრებელზე, ენერგო რესურსებზე, სამედიცინო მომსახურებასა და განათლებაზე.

სოციალური უზრუნველყოფის პრობლემების მოგვარება საქართველოში ასევე არის ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე და სტრატეგიული ამოცანა. აქ სირთულეები განპირობებულია ბევრი ფაქტორით, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ორი განსაკუთრებით აღსანიშნავია: ეს არის არასაკმარისი ეკონომიკური შესაძლებლობები და შრომისუნარიანი მოსახლეობის დაბერების პროცესი.

იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ რა ეკონომიკური და ფინანსური რესურსები აქვს საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების ეფექტურად განხორციელებისათვის, ვნახოთ როგორია მსხვილი ეკონომიკის ქვეყანების ეკონომიკური შესაძლებლობები და რა რესურსებია საქართველოს განკარგულებში: „მთლიანი შიდა პროდუქტით მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე 2023 წ. მონაცემებით ამერიკის შეერთებული შტატებში შეადგინა- 80.41 ათასი დოლარი, გერმანიაში - 52.82 ათასი დოლარი; იაპონიაში კი

- 33.95 ათასი დოლარი;"[16] ამავე პერიოდში „საერთაშორისო მონეტარული ფონდის მონაცემებით, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობა 7.6 ათასს დოლარს უტოლდება, ხოლო რაც შეეხება საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: სომხეთი – 8.01 ათასი დოლარი, აზერბაიჯანი – 6.76 ათასი დოლარი, რუსეთი – 14.4 ათასი დოლარი და თურქეთი – 11.9 ათასი დოლარი" [12].

ცხადია, რომ ასეთი ეკონომიკური უთანაბრობის პირობებში აბსურდია მოვითხოვოდ სოციალური დაცვის მაღალი სტანდარტები, მაგრამ სოციალური უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირების ერთ -ერთი სტატეგიული ამოცანა უნდა გახდეს ეკონომიკური შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი გადანაწელების პროცესის ეფექტური ჰარმონიზაცია .

რაც შეეხება შრომისუნარიანი მოსახლიობის დაბერების პროცესს, ის სამწუხაროდ საქარველოში საკმაოდ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. „თუ პენსიონერთა რაოდენიბა 2017წ. მთლიან მოსახლეობასთან შედარებით შეადგენდა 19.5% 2023წ. ეს მაჩვენებელი გაიზრდა 22.2%.-მდე . ამავე პერიოდში გაზრდილია სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა.15,9 ათასი კაცით და 2023 წლისთვის შეადგინა 181,9 ათასი კაცი."[17]

შრომისუნარიანი მოსახლიობის დაბერების შედეგია ის, რომ „2024 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით შემცირებულია და შეადგინა- 3 694 600 ათასი კაცი. 17]

პენსიონერთა რაოდენობის ზრდის პორობებში, როგორც უთანასწორობის მინიმიზაციის სააშუალება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში არ იზრდება ფინასური რესურსების გამოყოფა სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. მართალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლიდან წლამდე იზრდება პენსიების დაფინანსების აბსოლუტური მაჩვენებელი, მაგრამ არ იზრდება მისი ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. ,,თუ 2020 წელს სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგენდა 10.7 % - ს, 2021 წელს შეადგინა მხოლოდ 10.0 %, ხოლო 2022 წელს შემცირდა 8.2 % - მდე". [17]

ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, „მცირე და საშუალო ბიზნესის წილმა საერთო ბრუნვაში შეადგინა 43,2%'.'[17] მცირე ბიზნესის ასეთი მაღალი ხვედრითი წილი უდავოდ ინქლუზიური განვითარებისათვის პოზიტიური პროცესია, თუმცა მცირე ბიზნესის დარგობრივ სტრუქტურას თუ გავაავალიზებთ, ვნახავთ, რომ ბრუნვის თითქმის ნახევარი ვაჭრობასა და ავტომობილიბის რემონტზე მოდის, რაც საქართველოში ინოვაციური პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების ნაკლებობით და კრეატიული ინციატივების სიმცირით არის განპირობებული.

დასკვნა

საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში სამართლიანობის დამკვიდრება, ბიზნესში ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება, უნდა გახდეს საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

საქართველოში არსებული მაღალი რისკების გამო, ვენჩერული ინვესტორები არ გამოთქვავენ ენთუზიამზმს მცირე ბიზნესში ინოვაციური პროექტების დაფინანსებაზე, რაც აფერხებს ქვეყანაში სამართლიანი კონკურენციის პირობების დამკვიდრებას და დასაქმების ზრდის პერსპექტივას .

სახელმწიფომ, ინოვაციური აქტიურობისთვის მეტი ფინანსური შესაძლებლობა უნდა გამოყოს. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნას: ინვესტიციები და კაპიტალი, რისკების დასაზღვევად საჭირო საბიუჯეტო ასიგნებები, სახელმწიფო გრანტები, მცირე ბიზნესის თანადაფინანსების სისტემა და სხვა. საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებისას, სამართლიანობის დამკვიდრება სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, მოითხოვს სოციალური დაზღვევის მომქმედი სისტემის ფუნდამენტურ რეორგანიზაციას და მის ადაპტაციას ინკლუზიური ეკონომიკის შესაძლებლობებთან.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

PROBLEMS OF THE SERVICE QUALITY IN GEORGIA

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 3, 2024
Published: Jun 17, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-32

Lasha Tabatadze,
PhD in Business Administration,
As. Professor, Ilia State University,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-5059-7536
E.mail: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge
Cell: (+995) 599 237799

ABSTRACT

In the article, the essence and importance of service quality problems in various sectors of Georgia are discussed. Selected and characterized factors that are the main provoking circumstances of the problem. The research results are evaluated, the ways of improvement and improvement of service quality are described in detail, critical conclusions and important recommendations are presented.

***Keywords**: Problems of the service, service Quality.*

REFERENCES:

1. G.A.Cole, ,,Management Theory and Practice", Sixth Edition, North River Press, 2019;
2. James McGrath, Bob Bates, ,,The Little Book of Big Management Theories:...and How to Use them Paperbac", North River Press, 2017;
3. Samuel C. Certo – ,,Modern Management", Ninth Edition 2020;
4. S. Trevis Certo, Samuel C. Certo, ,,Modern Management: Concepts and Skills", 14th Edition, 2017;
5. Eliyahu M. Goldratt, Jeff Cox, ,,The Goal: A Process of Ongoing Improvement", North River Press, 2017;
6. Jack Stack, ,,The Great Game of Business: The Only Sensible Way to Run a Company", Crown Business, 2019;
7. Michael Watkins, ,,The First 90 Days: Critical Success Strategies", Harvard Business Review Press, 2020.
8. V.Kikutadze, L.Tabatadze, ,,Diversification of funding models of higher education service market in Georgia", forum EMF, 2016;
9. L.Tabatadze, ,,Strategic directions of strengthening competition on higher education market of Georgia" European Scientific Journal, 2015.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ПРОБЛЕМЫ КАЧЕСТВА ОБСЛУЖИВАНИЯ В ГРУЗИИ

Лаша Табатадзе
Доктор бизнес администрирования
Ас.Профессор Государственного
университета Ильа
ORCID iD:0000-0001-5059-7536
Э.почта: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge
Моб: (+995) 599 237799

АБСТРАКТ

В статье рассматривается сущность и важность проблем качества услуг в различных секторах Грузии. Выделены и охарактеризованы факторы, которые являются основными провоцирующими обстоятельствами возникновения проблемы. Оценены результаты исследования, подробно описаны пути совершенствования и повышения качества обслуживания, представлены критические выводы и важные рекомендации.

Ключевые слова: *Проблемы сервиса, качество обслуживания.*

ВСТУПЛЕНИЕ

Согласно последним исследованиям, в Грузии высок уровень недовольства потребителей. Такое критическое отношение имеет объективные причины, которые связаны с низким качеством услуг практически во всех сферах. В настоящее время ориентация на качество обслуживания стала частью ПР, а не одной из важных задач, стоящих перед компанией, требующих необходимого решения.

Примером тому является даже тот факт, что многие ведущие грузинские организации имеют визуально очень хорошо оформленные точки обслуживания, но, к сожалению, компетентность, поведение, отношение к клиенту и существующие процедуры обслуживающего персонала не могут вызвать подобного удовлетворения.[1].

* * * *

Обзор удовлетворенности трудом и качества обслуживания В Грузии является одной из самых актуальных тем, которая волнует всех клиентов. В 2023 году исследования, проведенные различными исследовательскими институтами по определению качества обслуживания, показали, что в Грузии 75% клиентов в различных сферах недовольны качеством обслуживания.

Хотя сегодня актуально говорить о качественных услугах как в государственном, так и в частном секторе, к сожалению, почти ничего не делается или, возможно, не предпринимается никаких шагов в правильном направлении для улучшения качества услуг. Мировая практика установила, что в среднем количество недовольных услугой или товаром клиентов, рассказывающих другим людям о своем опыте, в пять раз превышает количество довольных клиентов.

Таким образом, репутация компании существенно падает, если она предоставляет покупателям некачественную продукцию или обеспечивает плохое обслуживание клиентов. В конечном итоге такие повторяющиеся действия приводят к банкротству фирмы. В целом, плохое или некачественное обслуживание, предоставляемое сотрудниками, напрямую контактирующими с клиентами, считается результатом слабого управления, недостаточной подготовки и образования [9].

Существуют различные факторы, влияющие на качество обслуживания, важнейшим из которых является фактор мотивации. Оно оказывает сильное влияние на удовлетворенность работой сотрудников, что обеспечивает повышение производительности труда и увеличение прибыльности компании. Можно предположить, что мотивация является основным фактором, определяющим рост производительности.

Стоит отметить, что в теории исследования удовлетворенности трудом признается взаимосвязь между удовлетворенностью трудом и производительностью труда. Уже в конце девятнадцатого века Фредерик Тейлор (1911) говорил о структуре и характере организации и выступал за детализацию обязанностей служащих и менеджеров с целью повышения производительности труда [8].

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Согласно результатам научных исследований, всегда существует сильная связь между удовлетворенностью работой сотрудников и эффективностью организации. Это определяет особую значимость данного мероприятия для организаций, и всегда в организациях. Большое внимание уделялось достижению желаемого уровня удовлетворенности работой работников [7].

Среди исследований, проводимых на протяжении многих лет для изучения удовлетворенности работой, есть Миннесотский опросник удовлетворенности работой, который был разработан для выявления факторов, определяющих уровень удовлетворенности работой, креативность, независимость, моральные ценности, признание, ответственность, безопасность, условия труда. социальный статус, надзор - человеческие отношения, и т.д. [9].

Все вышеперечисленные факторы, по отдельности или вместе, создают удовлетворенность работой. Как мы видим, современные подходы включают и выходят за рамки мотивационных факторов, исследованных в предыдущие столетия. Как уже упоминалось, многочисленные исследования удовлетворенности работой и производительности труда подтверждают положительную корреляцию между двумя вышеуказанными факторами. Производительность труда – это результат выполнения работником возложенных на него обязанностей и задач.

Известны три основных фактора, определяющих эффективность работы: теоретические знания, практические знания и навыки и мотивация, при этом теоретические знания означают знание того, что делать, а практические знания отвечают на вопрос, как это делать? который включает в себя когнитивные навыки, навыки межличностного общения и многое другое. И третий фактор – мотивация обеспечивает практическое использование вышеперечисленных навыков.

Удовлетворенность/неудовлетворенность работников, помимо финансовой обеспеченности, обусловлена различными факторами. Например, интересная работа или возможность общаться с людьми в процессе работы; Гибкий график работы или напряженный рабочий день; упорядоченный рабочая среда или возможность работать вне здания; частые командировки и постоянное путешествие или работа в одном офисе; Полная автономность в процессе выполнения рабочих задач или чужих полагаться на решения; Разнообразная работа или монотонные задачи и т. д.

Исследование прав трудящихся в Грузии» (2023г.), проведенное Союзом профессиональных союзов Грузии, выявило высокий процент нарушений прав трудящихся. Индикаторы под разными углами. Исследование проводилось как в частном, так и в государственном секторе и включало только те организации, в которых существуют профсоюзы. Исследование не охватило неформальный сектор, который по данным исследования составляет 50-55% экономики Грузии [9]. По мнению исследователей, если исследование проводить на предприятиях, где нет профсоюза, то отрицательные показатели, полученные в результате исследования, скорее всего, еще больше возрастут. Поэтому неудивительно, что в Грузии высок уровень недовольства среди работников различных отраслей, в том числе сферы услуг.

В результате недавнего исследования также было выявлено, что по удовлетворенности трудом и, следовательно, показателям организационной эффективности лидируют частные организации, в которых, по сравнению с общественными организациями, гораздо более четко выявляется (командная) организационная культура. Указанное обстоятельство должно стать ориентиром для организаций, во многом определяющих темпы развития общества и страны в целом. Соответственно, организации должны стараться создать благоприятную рабочую среду для сотрудников.

Необходимо уделять больше внимания человеческому фактору, поскольку человеческий ресурс является движущей силой организации и, следовательно, определяющим фактором эффективного функционирования организации.

ВЫВОДЫ:

Таким образом, как мы видели:

- удовлетворенность работой имеет положительную корреляцию с высокой эффективности организации;
- достижения в плане удовлетворенности трудом вполне можно превратить в надежный рычаг укрепления и развития организации;
- в грузинских реалиях для повышения качества обслуживания важно рассматривать удовлетворенность работой как основной мотивирующий фактор сотрудников, что приведет к повышению уровня удовлетворенности клиентов и само по себе станет обязательным условием для безусловного успеха бизнеса.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SOCIAL PARTNERSHIP AND ITS ROLE IN ECONOMIC GROWTH IN EU COUNTRIES

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 15, 2024
Published: June 27, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-35

Nino Sumbadze
PHD student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Economics and Busines
ORCID ID 0009-0006-1090-8604
E.Mail: nisumbadze@gmail.com
Cell: (+995) 591 446095

ABSTRACT

Social partnership as a system of institutional cooperation between government, trade unions and employers is a major phenomenon for continental Western Europe, which is a guarantee of inclusive development and establishment of peace.

Depending on the country's economic situation and changes in the world economy, the government can be more or less dependent on the behaviors imposed by the trade unions.

As the economic situation worsens, the government focuses more directly on the political situation and trade union proposals, and conversely, when the economic situation improves, the government is less dependent on the behavior of trade unions.

Keywords: *Social Partnership; Corporatism; Interest Groups; Trade Unions.*

REFERENCES:

1. Falkner,G.(1998).EU Social Policies in the 1990s. Towards a corporatist policy community. London: Routledge;

2..Greenwoo,J.(2007) Interest Representation in the European Union,2nd edn(bangstoke and New York:Palgrave Macmillan): p.6;

3. Hague,R and Harrop,M.(2010) " Comparative Government and Politics " an introduction Palgrave Macmillan.p237;

4. Hassel. A.(2009)."Policies and Politics in Social Pacts in Europe". European journal of Industrial Relations;

5. Armington, K.(2005) "Problems des Übergangs vom Korporatismus zum Pluralismus" in F. Karlhofer and E.Talos (eds): Sozialpartnerschaft:eine europäische Perspektive? LIT-Verlag: hamburg: pp.135-158;

6. Braun,A.R.(1974) "The role of incomes Policy in Industrial Countries Since World War II" IMF staff Papers;

7. Armington, K.(2005) "Problems des Übergangs vom Korporatismus zum Pluralismus" in F. Karlhofer and E.Talos (eds): Sozialpartnerschaft:eine europäische Perspektive? LIT-Verlag: hamburg: pp.135-158;

8. Braun,A.R.(1974) "The role of incomes Policy in Industrial Countries Since World War II" IMF staff Papers;

9. Molina, O. and M. Rhodes (2002) "Corporatism: The Past, Present, and Future of a Concept", Annual Review of Political Science 5, pp.305-331;

10. Pizzorno, A. (1978) "Political Exchange and Collective Identity in Industrial Conflict", in Colin Crouch and Alessandro Pizzorno (eds): The Resurgence of Class Conflict in western Societies since 1968. London,pp.227- 298.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სოციალური პარტნიორობა და მისი როლი ეკონომიკურ ზრდაში ევროკავშირის ქვეყნებში

ნინო სუმბაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
ORCID ID 0009-0006-1090-8604
ელ.ფოსტა: nisumbadze@gmail.com
ტელ: (+995) 591 446095

აბსტრაქტი

სოციალური პარტნიორობა, როგორც სისტემა ინსტიტუციონალური თანამშრომლობის მთავრობას, პროფკავშირებს და დამსაქმებელს შორის არის მთავარი ფენომენი კონტინენტურ დასავლეთ ევროპისთვის. რაც წარმოადგენს ინკლუზიური განვითარების და მშვიდობის დამკვიდრების გარანტს.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, მთავრობას შეუძლია მეტად ან ნაკლებად იყოს დამოკიდებული პროფკავშირების მიერ დაწესებულ ქცევებზე. რაც მეტად უარესდება ეკონომიკური სიტუაცია, მთავრობა მეტ ფოკუსირებას ახდენს უშუალოდ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და პროფკავშირების შეთავაზებებზე; და პირიქით, როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, მთავრობა ნაკლებად დამოკიდებული არის პროფკავშირების ქცევებზე.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური პარტნიორობა, კორპორატივიზმი, ინტერესთა ჯგუფები, პროფკავშირები.*

შესავალი

ევროკავშირის დონეზე, დიალოგზე ორიენტირებული პოლიტიკური სტილი განვითარდა და „სოციალური დიალოგი“ ევროპული სოციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი გახდა. წევრ ქვეყნებში სოციალური პარტნიორობის არსებულმა ფორმებმა განიცადეს ევროპეიზაცია. სექტორული და მრავალმხრივი დიალოგების პროცესების ინსტიტუციონალიზაციამ მოახდინა „მოლაპარაკების დაკანონება“ (Falkner,1998).

სოციალური პარტნიორობის ევროპული ტრადიციის მიხედვით ევროკავშირი ახალისებს ინტერესთა ჯგუფებს. ბრიუსელში დაახლოებით 20,000 ლობისტი მუშაობს და ამით ქალაქს ვაშინგტონის ევროპულ ექვივალენტად გარდაქმნიან. მთავარი პიკური (Peak) ასოციაციები არიან: ევროპის ინდუსტრიული და დამსაქმებელთა კავშირის კონფედერაცია (UNICE) და ევროპული სავაჭრო კავშირის კონფედერაცია (ETUC). ინდუსტრიალისტების ევროპული მრგვალი მაგიდა (დაახლოებით ინდუსტრიის 50 ევროპელი ლიდერის ფორუმი) უშვებს რეპორტს, რომელიც სასარგებლოა ბიზნესისთვის (Hague da Harrop,2010).

მართალია ევროპული პარლამენტის პოზიციის გაძლიერებით ლობისტების დარგიც გაფართოვდა, ბევრი სამუშაო მაინც კომისიაზე არის ფოკუსირებული. ევროკომისიამ დააფუძნა საკონსულტაციო კომიტეტების ფართო სისტემა, რომლის წევრებსაც წარმოადგენენ შესაბამისი ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები.

სოციალური პარტნიორობის მოდელი ევროკავშირში

ევროკომისიის როგორც მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციონირება წარმოუდგენელიც კი იქნებოდა იმ სპეციალისტების გარეშე, რომლებიც ინტერესთა ჯგუფებს წარმოადგენენ, რადგან კომისია ეროვნულ მთავრობებზე მეტად სწორედ მათ რჩევებს ითვალისწინებს და განიხილავს მათ შეთავაზებებს.

ლობიზმის სტილი ნაკლებ აგრესიულია ვიდრე აშშ-ში. რადგან ზოგიერთ ინტერესთა ჯგუფების კონფედერაციებს არ აქვთ საკმარისი რესურსები რომ ხმა მიაწვდინონ ევროკომისიას, სწორედ ამიტომ ევროკომისია გადართულია არამხოლოდ პიკური (Peak) ასოციაციების, არამედ ასევე ინდივი-

დუალური კომპანიების შეთავაზებებზე, რომელთაც უმნიშვნელოვანესი ცოდნა გააჩნიათ ამჟამინდელი ბაზრის განვითარებისთვის.

ბევრი ინდივიდუალური კომპანია, მათ შორის ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ევროკავშირის გარეთ, უფრო მეტად სურთ პირდაპირი ლობიზმი აწარმოონ ევროკომისიაზე.

- ევროკავშირის წევრ სახელმწიფოების მთავრობების ლობიზმს თუ შევადარებთ ევროკავშირში ინტერესების წარმომადგენლობას, მივიღებთ შემდეგ სამ განსხვავებას:
- პოლიტიკა უფრო მეტად არის გადახედილი და მიღებული, რადგან ის გადის ევროკავშირის ინსტიტუტების კომპლექსურ ფილტრს. ამ მიზნით ყველა ინიცირებული შეთანხმება რომელიც ევროკომისიამდე აღწევს რჩება გასათვალისწინებელ საკითხად.
- ბრიუსელში ფოკუსი კეთდება უფრო ინტერესთა ჯგუფებზე, ვიდრე სოციალურ მოძრაობებზე, დასაბუთებულ არგუმენტებზე და არა პოლიტიკურ მთავარ ტრიბუნაზე.
- რადგან ევროკავშირი არის სახელმწიფოთა კავშირი, ინტერესთა ჯგუფებს არჩევანი აქვთ მასზე გავლენა მოახდინონ ეროვნული მთავრობების გზით. ევროკომისია კი დამოკიდებული უნდა იყოს ეროვნული მთავრობების მიერ კანონების მიღებაზე და იმ პარტნიორ ინტერესთა ჯგუფებზე, რომლებმაც მონიტორინგი უნდა მოახდინონ წევრი სახელმწიფოების პოლიტიკაზე და რეგულაციებზე და განსაზღვრონ რეალურად შეესაბამება თუ არა ევროკავშირის მოთხოვნებს (Hague da Harrop,2010).

მაგალითად, ევროპის პროფკავშირების კონფედერაციას (ETUC) ევროპული სოციალური მოდელის შესახებ შემდეგნაირი მოსაზრება აქვს: „სოციალური დიალოგები, კოლექტიური შეთანხმებები და მუშათა დაცვა არის აუცილებელი ფაქტორები ინოვაციების, პროდუქტიულობის და კონკურენციის წახალისებისთვის. ეს არის რითაც განსხვავდება ევროპა (სადაც ომის შემდგომი სოციალური პროგრესი შეესაბამება ეკონომიკურ ზრდას) ამერიკული მოდელისგან(სადაც უმრავლესობის ინტერესების გამოხატვის ხარჯზე ინდივიდუალების მხოლოდ მცირე რაოდენობა იღებს სარგებელს). ევროპამ უნდა გააგრძელოს ამ სოციალური მოდელის შენარჩუნება,როგორც მაგალითი მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის“.

წყარო: ETUC (2006)

ინტერესთა კონსტალაცია ასოციაციებსა და მთავრობებს შორის

ნეო-კორპორატიულ ლიტერატურის თანახმად, სოციალურ პარტნიორობაში, ურთიერთობები და შეთანხმებები მთავრობებსა და პროფკავშირებს შორის ეფუძნება რესურსების გადანაწილებას. პროფკავშირები წარმოადგენენ დასაქმებულთა ინტერესებს და შეუძლიათ თავიანთი რესურსების მობილიზაციით დაბლოკონ მთავრობის პოლიტიკური მიზნები. ისინი თავიანთი შესაძლებლობების მობილიზაციას ახდენენ იმიტომ, რომ მიაღწიონ თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს და სანაცვლოდ მიიღონ თავიანთი წევრების ლეგალური და პოლიტიკური დაცულობა, ასევე სარგებელი თავიანთი ორგანიზაციებისთვის არსებულ პოლიტიკურ სისტემაში (Molina და Rhodes,2002; Pizzorno, 1978; Streeck, 1984). უფრო მეტიც, ისინი კომუნიკაციას ახდენენ თავიანთ წევრებთან და აცნობენ მთავრობის პოლიტიკურ მიზნებს (როგორიცაა სახელფასო პოლიტიკა) და ამით ახდენენ ლეგიტიმაციას (Hassel,2009). Rhodes,2002; Pizzorno, 1978; Streeck, 1984).

კლასიკურ კორპორატივიზმის დროს მთავრობებსა და პროფკავშირებს შორის ურთიერთობის შეფასებისას, შეგვიძლია სისტემატურად განვასხვავოთ პოლიტიკური ინტერესები და ძალაუფლების ინტერესები, როგორც ორი მამოძრავებელი ძალა ორივე მხრიდან. ურთიერთქმედება „გავლენის ლოგიკასა“ და „წევრობის ლოგიკას“ (Streeck, 1987) შორის მოცემულია ცხრილ 1-ში.

რადგან არანაირი პოლიტიკა არ შეიძლება გატარდეს ძალაუფლების გარეშე და ძალაუფლება რეგულარულად არის გამოყენებული პოლიტიკის გასატარებლად, მათ შორის განსხვავება უბრალოდ ანალიტიკურია და მხოლოდ ასახავს ორივე ასპექტის მნიშვნელობას. პრაქტიკაში, ორივე ინტერესი ბუნებრივად არის შერწყმული. სპეციფიკურ სიტუაციაში, სადაც მთავრობების წინაშე დგას საკითხი, გაიზიარონ თუ არა პროფკავშირების მოსაზრებები, შესაბამისად ორივე ინტერესი ხდება მნიშვნელოვანი (Hassel, 2009)

ამგვარად, როდესაც საქმე გვაქვს პროფკავშირებთან, მთავრობებს შეიძლება ჰქონდეთ ორი განსხვავებული მოტივაცია: ისინი ან ცდილობენ დაითანხმონ კავშირები, რათა შეწყვიტონ მათი ვეტო პოზიციები და ამგვარად გადაჭრან ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, ან ირჩევენ მათთან თანამშრომლობას, რათა გამოიყენონ ისინი როგორც პოლიტიკური მხარდამჭერები სა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 1.

ინტერესთა კონსტალაცია სოციალურ პარტნიორობის მოლაპარაკებებში

	პოლიტიკის ინტერესები	**ძალაუფლების ინტერესები**
მთავრობები	**a.** ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა	**b**. საარჩევნო დახმარება პროფკავშირისგან; მთავრობების ქმედებების ლეგიტიმაცია
პროფკავშირები	**c**. წევრების ინტერესები მაღალი ხელაფასების მიღების და უხვი სოციალური პოლიტიკის არსებობაში	**d.** ინსტიტუციონალური დაცულობა

ცხრილი 2.

სოციალური პარტნიორობის ტიპების ურთიერთქმედება

პროფკავშირები	**მთავრობები**	
	(a)პოლიტიკის ინტერესები	**(b)** ძალაუფლების ინტერესები
(c) პოლიტიკის ინტერესები	**პლურალიზმი** (*UK* 1979 -)	***ტაქტიკური ალიანსი*** (*გერმანია* 1998-2003)
(d) ძალაუფლების ინტერესები	**კლასიკური კორპორატივიზმი** *(დასავლეთ ევროპა* 1950-)	**მოჩვენებითი კორპორატივიზმი** *(აღმოსავლეთ ევროპა 1989-)*

არჩევნო კამპანიის დროს, ან სხვადასხვა საკითხების ლეგიტიმაციაში.

შესაძლებელია განვასხვავოთ სოციალური პარტნიორობის ოთხი განსხვავებული ტიპი,სადაც კლასიკურ კორპორატივიზმი არის ერთადერთი ვერსია, რომელიც კვლევების მიხედვით ღრმად არის შესწავლილი (იხ.ცხრილი 2.)

კლასიკური კორპორატივიზმი ეფუძნება მთავრობის ძლიერ პოლიტიკურ ინტერესების(a) და პროფკავშირების ძალაუფლების ინტერესების(d) კომბინაციას. მაღალი ინფლაციის პერიოდში, (1960-იანების შუა პერიოდიდან 1980-იანების შუა პერიოდამდე) მთავრობების უმრავლესობა დამოკიდებული იყო პროფკავშირებთან რიგ პოლიტიკურ საკითხებზე თანამშრომლობაზე. თუ კავშირები დათანხმდებიან მთავრობის პოლიტიკას და სანაცვლოდ მოითხოვენ ინსტიტუციონალურ დაცულობას, მაშინ ჩვენ მომსწრე ვართ კლასიკური კორპორატივიზმის არსებობის.

დასკვნა

როდესაც მთავრობის ძალაუფლების ინტერესები (b) ემთხვევა კავშირების პოლიტიკურ ინტერესებს (c) ჩვენ მომსწრე ვართ ტაკტიკური ალიანსის არსებობის, სადაც მთავრობა გაერთიანებებს პოლიტიკური სარგებლით აჯილდოვებს. მთავრობა ცდილობს შეინარჩუნოს პროფკავშირებთან კარგი ურთიერთობა, იმისათვის, რომ შეძლოს მათი გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის. სანაცვლოდ პროფკავშირები მთავრობისგან ითხოვენ პოლიტიკურ სარგებელს.

პლურალისტური წყობის დროს, მთავრობა არ ცდილობს პროფკავშირების საარჩევნო მხარდაჭერას, ასევე პროფკავშირები არ ცდილობენ მთავრობიდან ინსტიტუციონალური დაცულობის მოპოვებას. ორივე მხარე დამოუკიდებლად მიისწრაფვის თავიანთი საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებისთვის.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF GEORGIA'S TRADE WITH THE EUROPEAN UNION

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 27, 2024
Published: July 14, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-39

Shota Veshapidze
Doctor of Economic Sciences,
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: https://orcid. org/0000-0003-0933-3648
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge

Giorgi Megreladze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID ID: https://orcid.org/0009-0000-3772-0309
E-mail: giorgi.megreladze964@eab.tsu.edu.ge

ABSTRACT

The article focuses on the impact of Georgia obtaining EU candidate status on its international trade. The interest in this topic stems from the fact that Georgia's acquisition of candidate status marks a significant step towards integration with the European Union. Many people directly associate Georgia's development with integration into the European family and expect that along with this integration, welfare in Georgia will significantly improve. Therefore, we consider it important to investigate the potential impact of obtaining EU candidate status on Georgia's foreign trade.

The aim of the research is to determine the effects of obtaining candidate status, how it will impact Georgia, and how the situation of Georgia's foreign trade will change. The research subject is the assessment and analysis of the effects arising from the acquisition of candidate status, the analysis of positive and negative events that Georgia may face, and the opportunities and challenges that Georgia will encounter. The object of the research is the relationship between the European Union and Georgia and the regional influence that current events may have.

Among the methods used in the study, it should be noted the general scientific methods of analysis and synthesis, induction and deduction, as well as the method of systematic research.The research has practical significance in terms of creating favorable conditions for the long-term development of economic cooperation between Georgia and the European Union.

Keywords: *European Union, Georgia, candidate status, strategic partnership, foreign trade.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REFERENCES:

1. Archick, K., (2021). European Union Enlargement

2. Bevan, A., & Estrin, S., (2004), The determinants of foreign direct investment into European transition economies

3. Bruno, R. Luca, Campos, F. Nauro & Estrin, S. (2020), The Effect on Foreign Direct Investment of Membership in the European Union.

4. Dabrowski, M., (2022). Forwards a New Eastern Enlargement of the EU and Beyond.

5. European Commission, New Growth Plan for the Western Balkans. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/new-growth-plan-western-balkans_en

6. European Commission, Overview – Instrument for Pre-accession Assistance. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/overview-instrument-pre-accession-assistance_en

7. Gaghanidze, G. (2019), Export Growth: The Necessity of Creating New Export Products. (In Georgian).

8. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016a). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business. (1).* 40-46. (In Georgian).

9. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016b). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business, (1).* 35-39. (In Georgian).

10. Karchava, L., Veshapidze, S., & Chiabrishvili, K. (2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. The New Economist, 18(3), 7-2.

11. Mearsheimer. J,. (2018), The Great Delusions, Liberal Dreams and International Realities.

12. Nebulishvili, G., Keshelava, D., (2023), The Door of Opportunities Has Opened: What Economic Benefits Should We Expect from Obtaining EU Candidate Status? https://iset-pi.ge/ka/blog/3405-unlocking-opportunities-the-economic-benefits-of-eu-candidate-status-for-georgia. (In Georgian).

13. Papava, V. (2016). Georgia's Choice: The European Union or the Eurasian Economic Union. GFSIS, Expert Opinion, 57, https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-eng.pdf

14. Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, 3-4(98-99), 90-108

15. Papava, V. (2020a). Georgia's European Way During the Period of Pandemic Deglobalization. Rondeli Blog, August 6, https://gfsis.org.ge/blog/view/1091.

16. Papava, V. (2020b). Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century. *iUniverse.* Bloomington.

17. Shengelia, T., & Berishvili, K. (2024). World trends of small business development and the reality of Georgia. *Research Reviews*, (5).

18. Shengelia, T., & Gelashvili, M. (2020). Export potential of Georgia. In *World economy and international economic relations* (Vol. 3, pp. 29-33).

19. Silagadze, A. (2022). Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(3).

20. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(1).

21. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS).

22. Sulukhia, T., Tskhomelidze, E., Julakhidze, M., Papava, G., (2023), European Future and Your Expected Well-being. (In Georgian).

23. Veshapidze, S., Bakhtadze, L., Putkaradze, R., Kharitonashvili, J., Danelia, I., Lominashvili, M., & Chantladze, N. (2024). Modern international economic relations of Georgia. (In Georgian).

24. Veshapidze, S. (2017). The traditions orientated on European values in Georgia. Sciences of Europe 13-4 (13): 14-18.

25. Veshapidze, S. (2023). Modern priorities of ensuring foreign economic security of Georgia. (In Georgian).

26. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4), 152-157.

27. Veshapidze, S., & Putkatadze, R. (2023). International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. (In Georgian)

28. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5.* Kyiv – CUL. https://doi.org/10.5281/zenodo.5807500

29. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022b). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. *DOI: https://doi. org/10.5281/zenodo, 6373197.*

30. Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T.

(2015). Nobel Prize Laureate in Economy Simon S. Kuznets About Actual Problems of a Sustainable Development of National Economy. In Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in (p. 79).

31. Veshapidze, Sh., Putkaradze, R. (2023), Georgia's International Economic Relations at the Modern Stage of Globalization. Economist, Volume 19, 58-69. (In Georgian).

32. Welton, G., (2023). One Step Closer to Europe – What Does EU Candidate Status Mean for Georgia's Economic Development? https://georgiatoday.ge/one-step-closer-to-europe-what-does-eu-candidate-status-mean-for-georgias-economic-development/

33. Zoidze, G. (2021). Importance of Euro-Atlantic Integration: Democracy, Security and Economic Development. Three Seas Economic Journal, 2(3), 1-7

34. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. Cambridge Scholars Publishing. P. 125;

35. Zoidze, G., Abuselidze, G., & Veshapidze, S. (2023). Economic Vulnerability of Small Powers. *Journal of Geography, Politics and Society*, *13*(3), 1-12.

36. Naitonal Statistics Office of Georgia, https://www.geostat.ge/en

37. TBC Capital, anticipating EU candidate membership status. https://tbccapital.ge/ge/publications/all-publications/singleview/30006064-evrokavshiris-tsevrobis-kandidatis-statusis-molodinshi

38. World Bank Group, https://www.worldbank.org/en/home

საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: shota.veshapidze@ tsu.ge

გიორგი მეგრელაძე
დოქტორანტურის სტუდენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა:
giorgi.megreladze964@eab.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიის ინტერესის სფეროა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების გავლენა საქათველოს საერთაშორისო ვაჭრობაზე. თემით დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსის მიღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე და ბევრი ადამიანი საქართველოს განვითარებას პირდაპირ უკავშირებს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას და მოელის რომ ინტეგრაციის პარალელურად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კეთილდღეობა საქათველოში. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიღებას საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე.

კვლევის მიზანია განვსაზღვროთ რა ეფექტები ექნება კანდიდატის სტატუსის მიღებას, როგორ იმოქმედებს ის საქართველოზე და როგორ შეიცვლება საქართველოს საგარეო ვაჭრობის სიტუაცია.

კვლევის საგანია კანდიდატობის სტატუსის მიღების ეფექტების შეფასება და ანალიზი, რომელიც წარმოიშობა აღნიშნულით, გაანალიზება იმ დადებითი თუ უარყოფითი მოვლენებისა რომლის წინაშეც საქართველო შეიძლება დადგეს და ის შესაძლებლობები თუ გამოწვევები რომლის წინაშეც საქართველო აღმოჩნდება. კვლევის ობიექტია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა და რეგიონში არსებული გავლენა, რომელზეც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მიმდინარე მოვლენებს.

კვლევაში გამოყენებული მეთოდებიდან აღსანიშნავია ანალიზის და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის ზოგადი სამეცნიერო მეთოდები, ასევე სისტემორი კვლევის მეთოდი. კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირი, საქართველო, კანდიდატის სტატუსი, სტრატეგიული პარტნიორობა, საგარეო ვაჭრობა.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

2022 წლის მარტში საქართველომ შეიტანა განაცხადი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, 2023 წლის დეკემბერში აღნიშნული განაცხადი დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ სტატიაში შეეცდებით გავაანალიზოთ რა სარგებელს მიიღებს საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებით და რა გავლენა ექნება მას საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე. გავრცელებული შეხედულებით კანდიდატის სტატუსის მიღებას მნიშვნელოვანი სარგებელიც ახლავს თან, რაც შემდეგში გამოიხატება: ქვეყანა წვდომას იღებს ფინანსურ რესურსებზე, მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რაც სხვა ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, ასევე, კანდიდატის სტატუსი უკვე, თავისთავად, არის ძლიერი პოლიტიკური კატალიზატორი, რომელიც ხელს უწყობს ძირეულ ცვლილებებს თითოეულ სექტორში და აჩქარებს ქვეყნის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე. [10] ევროკავშირის ბაზარს დაახლოებით 450 მილიონი ადამიანი ჰყავს და მშპ 19,4 ტრილიონი დოლარია. საქართველოს მოსახლეობა 100-ჯერ ნაკლებია, ხოლო საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 1000-ჯერ ნაკლებია – ასე რომ, ევროკავშირის შიდა ბაზარზე მოკრძალებულ წარმატებასაც კი დიდი პოტენციალი აქვს. ეს კიდევ უფრო მეტი იქნება, თუ ევროკავშირის ქვეყნები დაიწყებენ საქართველოს ინტეგრაციას მიწოდების ჯაჭვებში. მაშინ, ინვესტიციების, სამუშაო ადგილების და ზოგადად ეკონომიკური ზრდის დადებითი მხარე შეიძლება იყოს უსაზღვრო. [31] ამ მიმართულებით გამოქვეყნებული კვლევების უმეტესობა ხაზს უსვამს ევროპულ მისწრაფებებს და სარგებელს, რომელსაც საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებით მიიღებს. ევროპული მომავალი არამარტო ქვეყნის ისტორიული მრავალსაუკუნოვანი სტრატეგიული არჩევანი, არამედ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის იმედი და მომავალი თაობების უკეთესი მომავლის პერსპექტივაა. [11] ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მიღებას არამხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებენ, არამედ, „ევროპულ ოჯახი"-ს წევრად გახდომის გზაზე გადადგმულ დიდ ნაბიჯად.

შესაბამისად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოვიკვლიოთ რისთვის შეიქმნა ევროკავშირი, რა მიზანს ემსახურება და როგორი იქნება ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობაზე და რა სარგებელს მიიღებს ქვეყანა.

საგარეო ვაჭრობის განვითარება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა, რომლებიც სხვადასხვა მიზნებს ისახავს. ამ პოლიტიკით უნდა გაიზარდოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლები, ხელი შეეწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ასევე, შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან, უნდა ჩამოყალიბდეს ჯანსაღი კონკურენტული გარემო და გაუმჯობესდეს ეკონომიკის სტრუქტურა. გარდა ამისა, ეს პოლიტიკა ხელს შეუწყობს საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას და საგარეო ვაჭრობის დიერსიფიცირებას. [25]

მიგვაჩნია, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებით, საქართველოს იღებს როგორც შესაძლებლობებს. გრძელვადიან პერიოდში, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივით, საქართველომ შესაძლოა მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი ნახოს, თუკი შეძლებს შექმნილი სიტუაციის სწორად გამოყენებას. პირველი, საქართველოს არ აქვს პროდუქცია, რომელიც დამატებით შეიძლება შესთავაზოს ევროპულ ბაზარს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოდან ექსპორტს, რასაც ადასტურებს 2014 წელს გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), აღნიშნულს არ მოჰყოლია ექსპორტის ხელშესახები ზრდა, რომელიც აღნიშნული შეთანხმებითა და ევროკავშირის ბაზრის გაზრდილი ხელმისაწვდომობით შეიძლება აიხსნას. შესაბამისად, ქვეყანას სჭირდება ეკონომიკის გაფართოება, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა. ამასთან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ევროკავშირში გაწევრიანება მართალია დადებითად მოქმედებს პირდაპირი ინვესტიციების ზრდაზე, მაგრამ აღნიშნულისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონში არსებული სიტუაციაა, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის უსაფრთხოებაზე. უახლოეს მომავალში, გამომდინარე საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, არ არის მოსალოდნელი რეგიონში სიტუაციის გაუმჯობესება და საქართველოში ინვესტიციების იმ სიდიდით ზრდა და აღნიშნულის ხარჯზე ეკონომიკის მნიშვნელოვანი გაფართოება, რასაც არსებითი ეფექტი ექნება ქვეყნის შიდა

წარმოების განვითარებაზე და, შესაბამისად, ექსპორტის ზრდაზე.

რისთვის შეიქმნა ევროკავშირი და რა არის მისი მიმდინარე მიზნები

1992 წლის 7 თებერვალს მაასტრიხტის შეთანხმებით ოფიციალურად შეიქმნა ევროკავშირი. 1993 წლის 1 იანვარს აღნიშნული შეთანხმება ოფიციალურად ძალაში შევიდა, რასაც თან ახლდა ერთიანი ბაზრის და მასთან ერთად ადამიანების, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობის გაჩენა.

ევროკავშირის მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდობას, მის ღირებულებების გავრცელებასა და მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდას. აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა ეკონომიკურ საშუალებებში, რომლის შექმნასაც ევროკავშირი ცდილობს. ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვაში, წევრი ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება და ხელშეწყობა, გლობალურ ასპარეზზე ერთიანი და ძლიერი პოზიციის შენარჩუნება და სხვა.

გზა, რომლითაც ევროკავშირი ცდილობს ხელი შეუწყოს მშვიდობის დამყარებასა და მისი ღირებულებების გავრცელებაში, არის ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება და გამყარება სხვადასხვა ქვეყნებში. ჯონ მიერშაიმერი თავის წიგნში (The Great Delusion) მიუთითებს, რომ ლიბერალური დემოკრატიის, რასაც სხვაგვარად ლიბერალური საერთაშორისო პოლიტიკას უწოდებს, გავრცელების სარგებლობის ახსნას მათი მომხრეები სხვადასხვა თეორიის საფუძველზე ცდილობენ: დემოკრატული მშვიდობის თეორია - აღნიშნულის საფუძველზე ლიბერალური დემოკრატული სახელმწიფოები ერთმანეთის წინაღმდეგ ომს არ იწყებენ. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების თეორია - ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად მცირდება ომის წამოწყების ალბათობა, გაზრდილი ეკონომიკური ხარჯების გამო, რასაც წარმოშობდა იმ ქვეყნებთან დაპირისპირება, რომლებთანაც ღრმა ეკონომიკური კავშირები გაქვს. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი კი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც უერთდებიან საერთაშორისო ინსტიტუტებს, უფრო მეტად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, რადგან ისინი შეზღუდულნი იქნებიან ორგანიზაციის წესებით, ხოლო მათი მორჩილება თითქმის ყოველთვის მათ გრძელვადიან ინტერესებშია. შესაბამისად, ევროკავშირის მცდელობა განამტკიცოს ლიბერალური დემოკრატია რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში, სასარგებლოა როგორც იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც არსებობს ლიბერალური დემოკრატია, რამდენადაც მცირდება გარე საფრთხეები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება დაემუქროს ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციას, ასევე, იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც მტკიცდება ლიბერალური დემოკრატია.

უსაფრთხოება კი უაღრესაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის. ინვესტორებისთვის გადამწყვეტი მაინც საინვესტიციო ქვეყნის უსაფრთხოებაა. ამის მაგალითია ჩეხეთი და რუმინეთი, სადაც ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანების წლებში (ჩეხეთი – 1999წ., რუმინეთი – 2004წ.). მაგალითად, პოლონეთსა და რუმინეთში ინვესტიციების რიცხვი გაიზარდა ნატოში გაწევრიანების მომდევნო წელს (2000წ. და 2005წ., შესაბამისად). [10]. ასევე, დემოკრატიის განვითარება, ადამინის უფლებების დაცვა და გარემოს შექმნა, სადაც ინვესტორები უსაფრთხო და სამართლიან გარემოში შეძლებენ მოქმედებას ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, როგორც შიდა წარმოების განვითარების გზით, ასევე გარე ინვესტიციების მოზიდვისთვის კარგი პირობების შექმნით.

რა სარგებელს მიიღებს საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებით

კანდიდატის სატუსის მიღება არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, მაგრამ მას ასევე ახლავს გარკვეული ეკონომიკური სარგებელიც, რაც გამოიხატება რესურსების ხელმისაწვდომობაში. გაწევრიანების წინასწარი დახმარების ინსტრუმენტი (IPA) არის საშუალება, რომლითაც ევროკავშირი 2007 წლიდან მხარს უჭერს რეფორმებს რეგიონში. IPA ფონდები აძლიერებს ბენეფიციართა შესაძლებლობებს გაწევრიანების პროცესში.

2007-2013 წლებისთვის, გაწევრიანების წინასწარი დახმარების ინსტრუმენტის (IPA) ბიუჯეტი 11,5 მილიარდი ევრო იყო. მის მემკვიდრეს, IPA II-ს 2014-2020 წლებისთვის 12,8 მილიარდი ევრო გამოეყო. ხოლო 2021-2027 წლებში, IPA III საბიუჯეტო ფონდი 14,162 მილიარდ ევროს შეადგენს. [6]

2021-2027 წლებისთვის გამოყოფლილი რესურსები ნაწილდება შემდეგ მიმართულებებზე: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია (15.13%), დემოკრატიული მართველობა,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ევროკავშირთან შესაბამისობა, კარგი მეზობლური ურთიერთობები და სტრატეგიული კომუნიკაცია (16.59%), მწვანე დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა (42.25%), კონკურენციისა და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა (22.31%), ტერიტორიული და ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება (3.51%). [6]

გარდა IPA-ს რესურსებისა, საქართველო უკვე სარგებლობს მეზობლობის, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტით (NDICI) [10]. გრძელვადიან სესხებზე, გრანტებსა და ევროკავშირის ეკონომიკური დახმარების სხვადასხვა პროგრამებზე ხელმისაწვდომობა კიდევუ უფრო ზრდის კანდიდატი ქვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებს. მაგალითად, 2022 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებულმა მთლიანმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 819 მილიონ ევროს მიაღწია. მეტიც, 2021 წელს დამტკიცებული აღმოსავლეთის პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (EIP) მიზნად ისახავს, საერთასორისო ფინანსური ინსტიტუტებთან თანამშრომლობით 17 მილიარდი ევრო მოიზიდოს რეგიონისათვის 2027 წლისთვის. EIP-ის ფარგლებში, ევროკავშირმა საქართველოში უკვე უზრუნველყო 1.7 მილიარდი ევროს ინვესტიცია, მათ შორის, 194 მილიონი ევროს გრანტები. [6]

მოსალოდნელია პირდაპირი ინვესტიციების ზრდა, ბრუნოს, კამპოს-ისა და ესტრინ-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით EU-ს წევრობა ზრდის ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს 60%-ით, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინვესტიციებს 50%-ით. გარდა ამისა, მათი გამოკვლევის მიხედვით EU-ს გავლენა უფრო დიდია ვიდრე NAFTA, EFTA ან MERCOSUR-ის და ერთიანი ბაზარი არის ამ განსხვავების ძირითადი განმსაზღვრელი.

ბევანისა და ესტრინის (2004) მიხედვით, ევროკავშირის გავლენა FDI-ზე ორი ძირითადი გზით ხორციელდება: (1) ევროკავშირში ინტეგრაცია ძველ წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, თავიანთი წარმოება წევრობის კანდიდატ ქვეყანაში გადაიტანოს, სადაც შრომის ანაზღაურება უფრო დაბალია, და (2) ინტეგრაცია ამცირებს ქვეყანასთან დაკავშირებულ რისკებს.

კითხვაზე პასუხის გასაცემად, რა სარგებელი ნახეს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე სხვადასხვა ევროკავშირის წევრმა და კანდიდატობის სტატუსის მქონე ქვეყნებმა, გადავხედოთ მათ განვითარებას. გამოკვლეული იქნა 15 ქვეყანა. ამ ქვეყნების ნაწილი ევროკავშირის წევრია, ნაწილს კი კანდიდატის სტატუსი აქვს. მოცემული ქვეყნების კანდიდატობის პერიოდში მცირდება განსხვავება ევროკავშირის საშუალო მშპ-სა და კანდიდატი ქვეყნის მშპ-ს შორის. გაწევრიანების შემდეგ კი ეს ეფექტი უფრო თვალშისაცემია. თუკი იგივე ეფექტი ექნება საქართველოსთვის, კონომიკის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელი იქნება საერთაშორისო ვაჭრობის ზრდაც. [37]

გრაფიკზე 1 მოცემულია 15 ქვეყნის მსპ-ს საშუალო მაჩვენებლის გადახრა ევროკავშირის

გრაფიკი 1 - ერთ სულ მოსახლეზე მსპ-ს გადახრა ევროკავშირის იმავე მაჩვენებლიდან (PPP, USD)



წყარო: მსოფიო ბანკი

გრაფიკი 2 - ევროკავშირში ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

საშუალო დონიდან, რაც დროთა განმავლობაში მცირდებოდა. (ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ალბანეთი, მონტენეგრო ჩრდილოეთ მაკედონია და სერბეთი).

როგორც გრაფიკზე ვხედავთ მოცემული ქვეყნების ეკონომიკა ნელ-ნელა უახლოვდება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებებს, ანალოგიურად ISET ის კვლევით ინსტიტუტში გამოქვეყნებულ კვლევით ანგარიშში [22] გამოკვლეულია, რა წინსვლა ექნებოდა საქართველოს თუკი ის გახდებოდა ევროკავშირის წევრი ადრეულ ეტაპზევე. ირკვევა, რომ დადებით ეფექტები აშკარაა. აღნიშნული კვლევის თანახმადაც საქართველოს ეკონომიკა მიიღებს დადებით ზეგავლენას ევროკავშირში ინტეგრაციით.

თუკი გადავხედავთ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ეფექტებს, აღმოჩნდება, რომ მას უთუოდ ჰქონდა დადებითი გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, თუმცა ეს გავლენა სასურველობისგან საკმაოდ შორსაა (იხ. გრაფიკი 2).

ცხრილში 1 მოცემულია პროდუქციის პოზიციის მიხედვით ექსპორტი, რის მიხედვითაც ყველაზე დიდი წილი ექსპორტში უკავია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს (რეექსპორტს), შემდეგ კი მოდის ყურძნის ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები, მინერალური და მტკნარი წყლები, სპრიტიანი სასმელები და ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის წილი ჯამურად მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის წილის ნახევარია. აღნიშნული

ცხრილი 1 - საქართველოს ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

პოზიციის დასახელება	2021	2022	2023
მსუბუქი ავტომობილები	456,567	905,732	2,126,576
მადნები და კონცენტრატები სპილენძის	815,504	1,024,183	479,281
ყურძნის ნატურალური ღვინოები	239,245	252,549	259,035
სპირტიანი სასმელები	155,724	138,545	195,978
ფეროშენადნობები	477,433	459,803	180,682
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	119,505	281,421	158,389
მინერალური და მტკნარი წყლები	141,808	112,518	131,542

წყარო: საქსტატი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მნიშვნელოვნად გაიზარდა 2023 წელს და 2024 წელს ბოლო 5 თვის მონაცემით 739,663.4 ათასი აშშ დოლარია. [36]. მხოლოდ რეექსპორტის მეშვეობით სავაჭრო ბალანსის დეფიციტის პრობლემების გადაწყვეტა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან განსხვავება ექსპორტსა და იმპორტს შორის ძალიან მაღალია, ამდენად რეექსპორტის განხილული უნდა იყოს როგორც დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიება და არა როგორც განვითარების ძირითადი მიმართულება. [7] შესაბამისად, თუკი შევხედავთ ექსპორტის შემადგენლობას, არც არის გასაკვირი, რომ ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა და დეფიციტის შემცირების მიმართულებით წინსვლა არ ყოფილა, რადგან არ არის საკმაო რაოდენობის პროდუქცია, რითიც ევროკავშირის ბაზრის ათვისებას შევძლებთ (იხ. გრაფიკი 3).

საქართველოს ექსპორტში ევროკავშირის წილი 2015 წელს შესამჩნევად გაიზარდა, 7 პროცენტული პუნქტით 2014 წელთან შედარებით. მაგრამ შემდეგ კვლავ შემცირება დაიწყო და 2023 წელს 2012 წლის მაჩვენებელს ჩამოცდა, რაც 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. როგორც ცრილში 2 ჩანს, საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან ის ქვეყნები, რომლებთნაც სახმელეთო საზღვარი გვაქვს, რაც ბუნებრივი მოვლენაა. ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 2024 წლის ბოლო 5 თვის განმავლობაში იყო 206,622 ათასი აშშ დოლარი, რაც მხოლოდ სომხეთში ექსპორტის მაჩვენებელსაც ჩამორჩება. რაც შეეხება ყირგიზეთსა და ყაზახეთს, ამ ქვეყნებში ექსპორტი 2022 წლის შემდეგ გაიზარდა მნიშვნელოვნად (რაც ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებით შეიძლება აიხსნას).

ცხრილი 2 - საქართველოს ექსპორტი ქვეყნებისა და ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (2024 წლის პირველი 5 თვის მონაცემი, ათასი აშშ დოლარი)

ქვეყანა/ქვეყნების ჯგუფები	ექსპორტი
1. ყირგიზეთი	360,163
2. ყაზახეთი	274,769
3. რუსეთი	273,096
4. აზერბაიჯანი	253,618
5. სომხეთი	225,008
6. ევროკავშირი	206,622
7. თურქეთი	176,275
8. ჩინეთი	113,728
9. უკრაინა	48,187
10. უზბეკეთი	43,762

წყარო: საქსტატი

ასევე მზარდია უარყოფითი სალდო, იმპორტის მოცულობა უფრო და უფრო მეტად აჭარბებს ექსპორტს. მართალია განვითარებადი ქვეყნისთვის უარყოფითი სალდო შესაძლოა დამახასიათებელი იყოს, მაგრამ უარყოფითი სალდოს გამოსწორების არავითარი ტენდენცია არ ვლინდება. არსებული რეგულატორის პირობებში საქართველოსათვის ექსპორტი ვერასოდეს გაუტოლდება იმპორტს. ამდენად აუცილებელია რეგულატორის ცვლილება, ანუ ახალი საექსპორტო პროდუქტების გამოშვება. რეგულატორის მნიშვნელობის ზრდა განხორციელდება, თუ საქართველოში შეიქმნება მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქცია. [7] (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 3 - საქართველოს ექსპორტში ევროკავშირის წილი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 4 - საგარეო ვაჭრობის სალდო (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ საქართველო მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე წვდომის შედეგად ამ ეტაპზე იღებს მცირე სარგებელს. მომავალში თუკი მას თან მოყვა ქვეყანაში წარმოების განვითარება და შეესაბამისად გაჩნდა ან გაიზარდა წარმოება იმ პროდუქციისა, რისი გატანაც ევროკავშირის ბაზარზე შეგვეძლება, . აღნიშნულს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსმა შესაძლოა ხელი შეუწყოს რესურსებზე ხელემისაწვდომობისა და პირდაპირი ინვესტიციების გაზრდით, შეიქმნას რა დადებითი ეფექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინვესტიციების ზრდას. მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ინვესტიციების ზრდისთვის არის უსაფრთხოება, ამიტომ რეგიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრას არ უნდა ველოდოთ. შესაბამისად, ასეთ პირობებში ნაკლებ მოსალოდნელია, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაზე. ჩვენ ხაზს ვუსვამთ მნიშვნელოვანი გავლენას, თუმცა, რა თქმა უნდა ეს არ გულისხმობს იმას, რომ დადებით შედეგებს საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაზრისით საქართველო არ მიიღებს კანდიდატის სტატუსის მიღებით.

დასკვნა

საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება, თავისთავად, ძლიერი პოლიტიკური კატალიზატორია, რომელიც უპირობოდ ხელს უწყობს ძირეულ ცვლილებებს ქვეყნის განვითარების თითოეულ სექტორში და აჩქარებს ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაციას. საქართველოს ეზრდება როგორც რესურსებზე წვდომა, ასევე უმჯობესდება პირობები ინვესტიციების ზრდისთვის. საბოლოო ჯამში, კანდიდატის სტატუსის მიღება, ევროკავშირის ბაზარზე წვდომასთან ერთად, დადებითად აისახება საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია წარმოების გაფართოება, რაც არის უმთავრესი დეტერმინანტი საგარეო ვაჭრობის სწრაფი ზრდისთვის. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებამ, ამ გზით შეიძლება საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და ინვესტიციების ზრდის როლი შეასრულოს.

გრძელვადიან პერიოდში, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივით, საქართველომ შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებელი ნახოს, თუკი შეძლებს შექმნილი სიტუაციის სასიკეთოდ გამოყენებას. ამისათვის ქვეყანამ უნდა გაზარდოს პროდუქციის წარმოება ევროკავშირის ბაზარზე ეფექტიანად დასამკვიდრებლად. საჭიროა დამატებით შევთავაზოთ ევროპულ ბაზარს ისეთი პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოდან ექსპორტს. სასაქონლო პროდუქციით ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის აღმოსაფხვრელად ძირითადი მიმართულება უნდა იყოს მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქციის შექმნა, რაც დეფიციტის დაძლევას განაპირობებს.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), ჯერ–ჯერობით ექსპორტის ხელშესახები ზრდა, არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება გამოიყენოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბური ზრდის და ახალი საექსპორტო პროდუქციის შესაქმნელად, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოს ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის მასშტაბურ და ეფექტიან ზრდაზე. გამოკვლეულია, რა წინსვლა ექნებოდა საქართველოს თუკი ის გახდებოდა ევროკავშირის წევრი ადრეულ ეტაპზეევ. ირკვევა, რომ დადებითი ეფექტები აშკარაა.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

LEGAL AND PRACTICAL ASPECTS OF CARTEL DETECTION AND PREVENT

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 29, 2024
Published: July 16, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-48

Davit Basiashvili
Doctor of Economics (PhD), Professor
ORCID-ID - 0009-0005-8129-5764
E-mail: dbasiashvili@yahoo.com

Slava Fetelava
Doctor of Economics (PhD), Associate Professor
at Grigol Robakidze University
ORCID-ID-0009-0000-7120-1844
E-mail: slava.petelava@gruni.edu.ge
slavafetela@gmail.com

ABSTRACT

The work deals with the practical aspects of cartels, both the legal regulation of actions restricting competition and their detection and prevention. Emphasis is placed on the role and importance of competition law in assessing the total economic damage caused by the disregard of competition law by economic agents in the relevant markets and the concerted actions of cartels. The discussion for horizontal (agreement/concerted action between competing economic agents operating in the same product market) and vertical (agreement/concerted action between non-competing economic agents operating in different product markets) cartels is carried out. It is also mentioned that the agreement between the competing economic agents, on the one hand, can reduce, eliminate, or strengthen the competition. However, on the other hand, individual agreements can increase the effectiveness of competition. As for vertical agreements, such an anti-competitive act may occur when a dominant producer/service economic agent offers products/services under preferential conditions to a participating seller/service-receiving economic agent, while discriminating against other economic agents. However, it is also a fact that such an action creates a risk of restriction of competition only if the parties to the agreement (separately or taken together) occupy a dominant position and have market power.In the research, an important place is given to international and local legal mechanisms for detecting cartels, and advanced foreign and Georgian practices are presented in this regard. Finally, the conclusion is made that, in order to detect and prevent concerted actions, the provisions included in the competition law in force in Georgia today (detection and prevention of cartels as actions restricting competition) are in full compliance with advanced international practice and, first of all, with similar norms of the EU countries. However, it is also clear that in the background

of the development of contemporary digital technologies, when the specifics of the work of many companies are rapidly changing, which diversifies the ways of making concerted commercial strategic decisions - making the issues of detection and detection of concerted actions by competition agencies even more noteworthy. In this direction, the enforcement institutions of the competition of Georgia, as The Agency of Competition and Consumer Protection of Georgia as well as the supervisory bodies of the regulated sector (enforcing the competition legislation in the regulated sector) will have to make more efforts.

Key Words: *Cartel, Agreement, Terms of Trade, Restriction of Competition, Sanction, Pricing Algorithm, Agency, Regulated Sector, Business Environment*

REFERENCES:

1. Gogiashvili Sh., Fetelava S., Agreement between non-competing entrepreneurs, a collection of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU named after Ivane Javakhishvili, dedicated to the 100th anniversary of academician Avtandil Gunia's birth ((In Georgian Language), Tbilisi, 2012 , p. 127-141.

2. Gogiashvili Sh., Fetelava S., Agreements of Competing Economic Agents ((In Georgian Language), Journal „New Economist", 2012, №2, p.7-10.

3. Lortkifanidze R., "Theory of perfect competition", Scientific Researchers Group to Strengthen UN and INTERPOL, TBILISI, 2024, https://dx.doi.org/10.13140/RG.2.2.26544.98567

4. Fetelava S., Theory of competition and antimonopoly regulation in Georgia (In Georgian Language), „Loi", Tbilisi. 2007, p. 189, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf

5. Fetelava S., Janjgava J., 2023. State Aid: Defects, Ways of Regulation. DOI: 10.36962/NEC18022023 https://www.researchgate.net/publication/373359081_STATE_AID_DEFECTS_WAYS_OF_REGULATION

6. Fetelava S., Economic Fundations of Competition. The New Economist, 3-4 (2019), vol 14, Issue 2, https://neweconomist.com.ge/journal/article/konkurenciis-ekonomikuri-sapuZvlebi-1594468243

7. Explanatory dictionary of competition terms (compilers: Keti Zukakishvili, Keti Lafachi, Yueate Soviene, Liana Japaridze), second edition, (In Georgian Language), Tbilisi, Georgia, 2023, UDC 330.342.141, K-731.

8. Georgian Competition and Consumer Protection Agency, 2023 activity report, (In Georgian Language).

9. DIRECTIVE 2014/104/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104

10. UNLAWFUL TRADE COMBINATIONS IN HISTORY Thomas W. Shelton American Bar Association Journal, Vol. 12, No. 2 (FEBRUARY, 1926), pp. 123-128 (6 pages) https://www.jstor.org/stable/25709475 Contribution from American Bar Association

11. OECD (2017), Algorithms and Collusion: Competition Policy in the Digital Age www.oecd.org/competition/algorithms-collusion-competition-policy-in-the-digital-age.htm

12. https://en.wikipedia.org/wiki/Cartel#:~:text=The%20Italian%20word%20became%20cartel,prisoners%20from%20the%201690s%20onward.

13. https://competition-policy.ec.europa.eu/document/download/b19175c3-c693-410b-b669-27d4360d359c_en?filename=cartels_cases_statistics.pdf

14. https://www.linkedin.com/pulse/competition-law-roman-era-in-depth-look-antitrust-laws-parimal-wagh

15. https://en.wikipedia.org/wiki/Edict_on_Maximum_Prices

16. https://en.wikipedia.org/wiki/Mitchel_v_Reynolds

17. https://en.wikipedia.org/wiki/Nordenfelt_v_Maxim_Nordenfelt_Guns_and_Ammunition_Co_Ltd

18. https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-3055/pdf/COMPS-3055.pdf

19. Horizontal agreements and cartels in competition law, Frank Wijckmans & Filip Tuytchaever, Oxford 2015. P. 8

20. Case COMP/C.37.750/B2-Brasseries Kronenbourg, Brasseries Heineken

21. Case T-240/07 Heineken Nederland BV, Heineken NV

22. www.gcca.gov.ge

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კარტელის გამოვლენის და აღკვეთის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები

დავით ბასიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი (PhD),
პროფესორი
ORCID-ID - 0009-0005-8129-5764
E-mail: dbasiashvili@yahoo.com

სლავა ფეტელავა
ეკონომიკის დოქტორი (PhD),
ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
ORCID-ID-0009-0000-7120-1844
E-mail: slava.petelava@gruni.edu.ge
E-mail: slavafetela@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება კარტელების, როგორც კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების სამართლებრივი რეგულირების, ისე მათი გამოვლენისა და აღკვეთის პრაქტიკულ ასპექტებს. ხაზგასმულია კონკურენციის სამართლის როლსა და მნიშვნელობაზე, შესაბამის ბაზრებზე ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის კანონმდებლობის უგულებელყოფისა და კარტელების მიერ შეთანხმებული ქმედებებით გამოწვეული მთლიანი ეკონომიკური ზიანის შეფასების პროცესში. ნამსჯელია, ჰორიზონტალურ (შეთანხმება/შეთანხმებული ქმედება, ერთ და იგივე სასაქონლო ბაზარზე მოქმედ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის) და ვერტიკალურ (შეთანხმება/შეთანხმებული ქმედება, სხვადასხვა სასაქონლო ბაზარზე მოქმედ არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის) კარტელებზე. იქვე აღნიშნულია, რომ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებას ერთის მხრივ, შეუძლია შეამციროს, გამორიცხოს ან გააძლიეროს კონკურენცია. თუმცა, მეორეს მხრივ, ცალკეულ შეთანხმებებს შეუძლიათ აამაღლონ კონკურენციის ეფექტიანობა. რაც შეეხება ვერტიკალურ შეთანხმებებს, აქ შეიძლება, ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, როდესაც დომინანტური მდგომარეობის მქონე მწარმოებელი/მომსახურეობის გამწევი ეკონომიკური აგენტი შეთანხმების მონაწილე რეალიზატორ/მომსახურეობის მიმღებ ეკონომიკურ აგენტს პრდუქციას/მომსახურეობას სთავაზობს შეღავათიან პირობებში, ხოლო სხვა ეკონომიკურ აგენტებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილეებს (ცალ-ცალკე ან ერთად აღებულთ) უკავიათ დომინანტური მდგომარეობა და გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება.

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, კარტელების წინააღმდეგ ბრძოლის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სამართლებრივი მექანიზმებს და წარმოჩენილია ამ კუთხით არსებული მოწინავე უცხოური და ქართული პრაქტიკა.

საბოლოოდ კეთდება დასკვნა, რომ შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საქართველოში დღეს მოქმედ კონკურენციის სამართალში ჩადებული დებულებები (კარტელების, როგორც კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების გამოვლენა და აღკვეთა), სრულ შესაბამისობაშია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან და პირველ რიგში ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ ნორმებთან. თუმცა, ისიც ცხადია, რომ თანამდეროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, როდესაც სწრაფად იცვლება ბევრი კომპანიის მუშაობის სპეციფიკა, რაც ამრავალფეროვნებს შეთანხმებული კომერციული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების გზებს - კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის შეთანხმებული ქმედებების კონკურენციის სააგენტოების მიერ აღმოჩენის და გამოშკარავების საკითხებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით უფრო მეტი ძალისხმევის წარმართვა მოუწევთ საქართველოს კონკურენციის აღმასრულებელ ინსტიტუტებს, როგორც მთავარ/ ძირითად ორგანოს - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, ისე რეგულირებადი სექტორის ზედამხედველ (რეგულირებად სექტორში კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელ) ორგანოებს, რომლებსაც ცალ-ცალკე, თუ ერთობლივად კოორდინაციაში, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება დაუგროვდათ, როგორც ზოგადად კონკურენციის სამართლის აღსრულების, ისე უშუალოდ კარტელებთან ბრძოლის საქმეში, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო დაცული და წარმატებული იქნება ბიზნეს გარემო საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *კარტელი, შეთანხმება, სავაჭრო პირობები, კონკურენციის შეზღუდვა, სანქცია, ფასების ალგორითმი, სააგენტო, რეგულირებადი სექტორი, ბიზნეს გარემო.*

შესავალი

ქვეყნების ეკონომიკური მაშტაბის მიუხედავად, შესაბამის ბაზრებზე ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის კანონმდებლობის უგულებელყოფა და კარტელების მიერ შეთანხმებული ქმედებებით გამოწვეული მთლიანი ეკონომიკური ზიანის შეფასება, ყოველთვის იქნება კონკურენციის სამართლის აღსრულების არსებითი განხილვის საგანი. ტერმინი "კარტელი"[1] წარმოიშვა მე-19 საუკუნის ბოლოს იტალიური სიტყვიდან „cartello", რაც ნიშნავს "ქაღალდის ფურცელს" ან "პლაკატს" და თავად მომდინარეობს ლათინური charta-დან, რაც ნიშნავს "ბარათს"[2]. კარტელების კონცეფცია წარმოიშვა ბიზნესისა და ეკონომიკის კონტექსტში, რაც გულისხმობს შეთანხმებებს/გარიგეგებს ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის ფასების კონტროლის, კონკურენციის შეზღუდვისა და წარმოების დონის რეგულირებისთვის კონკრეტულ ინდუსტრიაში. დროთა განმავლობაში, ტერმინმა „კარტელი" (ინგლისურად Cartel) მოიცვა მეწარმე სუბიექტებს შორის შეთანხმებული პრაქტიკის უფრო ფართო სპექტრი, მათ შორის: ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირებით, წარმოების ან გაყიდვების კვოტების დაწესებით, ბაზრების განაწილებით, იმპორტის ან ექსპორტის შეზღუდვით ან/და კონკურენციის შემზღუდველი ქმედებით კარტელის გარეთ დარჩენილი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების წინააღმდეგ[3].

კარტელი იქმნება მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ საბაზრო ძალაუფლების მოპოვების მიზნით. შედეგად, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, შეზღუდონ წარმოება, გაზარდონ ფასები და მიიღონ მეტი შემოსავალი. ამ პირობებში, მომხმარებლები იძულებულნი არიან, გადაიხადონ უფრო ძვირი და მიიღონ უფრო დაბალი ხარისხის საქონელი და მომსახურება, ვიდრე კონკურენტული ბაზრის პირობებში. ამავდროულად, კარტელი აზარალებს ეკონომიკასაც, რადგან კონკურენციის შეზღუდვის პირობებში ფერხდება შესაბამისი ბაზრის საერთო მოცულობის ზრდა და ბაზარზე ახალი ეკონომიკური აგენტების შემოსვლა. ასევე, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კარტელში არმონაწილე კონკურენტების ბაზრიდან განდევნას, ინოვაციების კლებას და შედეგად, მომხმარებლებს ნაკლებად უჩნდებათ სურვილი, შეიძინონ შესაბამისი პროდუქტი, ან ფასის მატების გამო, ნაკლებად აქვთ ამის შესაძლებლობა.

ძირითადი ტექსტი

მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის ქვეყნების კონკურენციის სამართალი, კარტელურ შეთანხმებებს არალეგალურად მიიჩნევს. შესაბამისად, საქართველოში, ისე როგორც აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში, კარტელი მიიჩნევა ერთ-ერთ უმძიმეს კანონდარღვევად და ისჯება ძირთადში ადმინისტრაციული სანქციებით (ჯარიმებით). ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგალითად, აშშ, დიდ ბრიტანეთი) კარტელისათვის დაწესებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. უფრო მეტიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალისწინებდა კონკრეტულ სანქციებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, როგორიცაა - მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენება, აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელება და ფალსიფიკაცია, რაც რიგ საკითხებში თავისუფლების 2 წლამდე აღკვეთასაც ითვალისწინებდა. თუმცა ისიც, ფაქტია, რომ საქართველოში 2005 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლით განსაზღვრული სანქციები არ შეესაბამებოდნენ საქართველოს ახალ კონკურენციის ჩარჩო კანონს - მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვის ნაწილში, რის გამოც, მოგვიანებით კოდექსიდან ეს მუხლი საერთოდ ამოღებულ იქნა[4].

ცხადია, კანონის დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კონკურენციის ორგანოს მნიშვნელოვანი მტკიცების ტვირთი აკისრია. ამასთან მათი ფარული ხასიათის გამო, კარტელების გამოვლენა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და კონკურენ-

1 კარტელის განმარტება საქართველოს და ევროპის გაერთიანების საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს. თუმცა სიტყვა „Cartel" გვხვდება ევროკავშირის დირექტივაში - DIRECTIVE 2014/104/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union.

https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104

2 https://cutt.ly/oeIpj65F.

3 კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (შემდგენლები: ქეთი ზუკაკიშვილი, ქეთი ლაფაჩი, იურატე სოვიენე, ლიანა ჯაფარიძე), მეორე გამოცემა, საქართველო, 2023, გვ. 73

4 ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქარეთველოში, „ლოი", თბ. 2007, გვ. 189, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ციის ორგანოები სხვადასხვა გზებს მიმართავენ, რათა წაახალისონ ეკონომიკური აგენტების თანამშრომლობა საქმის შესწავლის პროცესში[1].

ზოგადად, არსებობს ორი სახის კარტელი: ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ჰორიზონტალურის დროს ერთ და იგივე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ერთიანდებიან კარტელში, ხოლო ვერტიკალურის დროს კი სხვადასხვა სასაქონლო ბაზარზე მოქმედი არაკონკურენტი ეკონომიკური აგენტები უთანხმებენ ერთმანეთს საქონლის გაყიდვისა და წარმოების პროცესებს სხვადასხვა დონეზე.

ამასთან, ფაქტია, რომ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებას შეუძლია შეამციროს, გამორიცხოს ან გააძლიეროს კონკურენცია. მაგალითად, შეთანხმებები ფასების ან მყიდველების დანაწილების შესახებ, ამცირებენ კონკურენციას და ეს ყოველთვის იკრძალება. თუმცა, მეორეს მხრივ, ცალკეულ შეთანხმებებს შეუძლიათ აამაღლონ კონკურენციის ეფექტიანობა. მაგალითად, კონკურენტებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ერთობლივ ინვესტიციებზე ან კვლევებზე, რომელთა განხორციელებასაც ეკონომიკური აგენტები ცალ-ცალკე ვერ შეძლებდნენ. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება საწარმოო ხარჯების შემცირებას იწვევს და დასაშვებ შეთანხმებათა კატეგორიას მიეკუთვნება.

რაც შეეხება ვერტიკალურ შეთანხმებებს, აქ შეიძლება, ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, როდესაც დომინანტური მდგომარეობის მქონე მწარმოებელი/მომსახურეობის გამწევი ეკონომიკური აგენტი შეთანხმების მონაწილე რეალიზატორ/მომსახურეობის მიმღებ ეკონომიკურ აგენტს პრდუქციას/მომსახურეობას სთავაზობს შეღავათიან პირობებში, ხოლო სხვა ეკონომიკურ აგენტებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილეებს (ცალ-ცალკე ან ერთად აღებულთ) უკავიათ დომინანტური მდგომარეობა და გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის ორგანოებისათვის შეთანხმებული ქმედებების გამოვლენა და სანქცირება დიდი მნიშვნელობისაა იმის გამო, რომ აშკარაა მათი პოტენციური ზიანის დადგენა და შესაბამისად მათი შეკავების პოტენციური სარგებელის გააზრება. ბაზრის მოვაჭრეების, გილდიებისა და მთავრობების ბიზნეს პრაქტიკა ყოველთვის ექვემდებარებოდა შემოწმებას და არცთუ ისე მსუბუქ სანქციებს, რაც ნათლად ჩანს ევროკომისიის მიერ 2019–2023 წწ. გამოვლენილი და დაკისრებული ჯარიმების მოცულობიდან - 3,7 მილიარდი ევრო[2].

კონკურენციის სამართლებრივ საფუძვლებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ის ფაქტიურად ძველი რომიდან იწყება. "Lex Julia de Annona"', "Edict on Maximum Prices"[3] და „Constitution of Zeno"[4] მტკიცებულებაა იმისა, რომ ჯერ ჯიდევ უძველეს პერიოდში, აქტუალური იყო სამართლიანი ვაჭრობისა და კონკურენციის მნიშვნელობა წარმატებული ეკონომიკის შესანარჩუნებლად. ეს ადრეული კანონები იყო მოდელი შემდგომი სამართლებრივი რეფორმებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავდა მონოპოლიების შეზღუდვას, ფასების ზრდის შეჩერებას და ჯანსაღი ბაზრის კონკურენციის ხელშეწყობას. რომის იმპერიის მემკვიდრეობა არის შეხსენება იმის, რომ სამართლიანობისა და კონკურენციის ცნებები დროული და მდგრადია, როდესაც ჩვენ ვიკვლევთ თანამედროვე ბიზნესისა და ეკონომიკის სირთულეებს[5]. კერძოდ, რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (301 წელი) დეკრეტი "Edict on Maximum Prices" („Edictum de Pretiis Rerum Venalium")[6], გმობდა სიხარბეს და ადგენდა მაქსიმალურ ფასებს და ხელფასს ყველა მნიშვნელოვან საქონელსა (განსაკუთრებით მარცვლეულზე) და მომსახურებაზე. დეკრეტის ბოლო მესამედი, რომელიც დაყოფილია 32 ნაწილად, აწესებს ფასის ზღვარის - მაქსიმუმების სიას - ათასზე მეტი პროდუქტისთვის. ეს პროდუქტები მოიცავდა სხვადასხვა საკვებ პროდუქტს (საქონლის ხორცი, მარცვლეული, ღვინო, ლუდი, ძეხვეული და ა.შ.), ტანსაცმელს (ფეხსაცმელი, მოსასხამი და ა.შ.), საზღვაო მოგზაურობის ტვირთის გადასახადს და ყოველკვირეულ ხელფასს. დეკრეტის მიხედვით

1 კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, (შემდგენლები: ქეთი ზუკაკიშვილი, ქეთი ლაფაჩი, იურატე სოვიენე, ლიანა ჯაფარიძე), მეორე გამოცემა, თბილისი, საქართველო, 2023, გვ. 73.

2 https://competition-policy.ec.europa.eu/document/download/b19175c3-c693-410b-b669-27d4360d359c_en?filename=cartels_cases_statistics.pdf

3 https://www.linkedin.com/pulse/competition-law-roman-era-in-depth-look-antitrust-laws-parimal-wagh

4 UNLAWFUL TRADE COMBINATIONS IN HISTORY, By Thomas W. Shelton, https://www.jstor.org/stable/25709475?seq=1

5 https://www.linkedin.com/pulse/competition-law-roman-era-in-depth-look-antitrust-laws-parimal-wagh

6 https://en.wikipedia.org/wiki/Edict_on_Maximum_Prices

სიკვდილით ისჯებოდა, ვინც დაარღვევდა საფასო და სატარიფო სისტემას და იქნებოდა ჩართული ყოველდღიური მოხმარების საქონლის ყიდვის, დამალვის ან დეფიციტის შეწყობაში. ამასთან, კონკურენციის სამართლებრივი ნორმად, რომელშიც თვით ტერმინი „მონოპოლია“ პირველადაა მოხსენიებული, ითვლება ბიზანტიის იმპერატორ ზენონის კონსტიტუცია ფასების შესახებ (483 წელი). ამ აქტში ნათქვამი იყო: „ჩვენ ვბრძანებთ, რომ არც ერთმა პირმა ვერ უნდა გაბედოს განახორციელოს მონოპოლია რომელიმე სახეობის ტანსაცმელზე ან თევზზე, ან რომელიმე სხვა საგანზე, რომელიც წარმოადგენს სურსათს ან განკუთვნილია სხვა გამოყენებისათვის“[1].

ფაქტია, რომ, საერთო სამართლის პრინციპები ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი განვითარება მოხდა მე-17 საუკუნეში, როდესაც ინგლისში მიღებული იქნა ზოგადი კანონი „ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ“, რომელიც შემდგომ გახდა კონკურენციის თანამედროვე სამართლის პირდაპირი წინამორბედი. სამართლიანი ვაჭრობის კონცეფციამ ამ დროის განმავლობაში სხვადასხვა ინტერპრეტაციით დაიწყო ფორმირება. ერთი თვალსაჩინო შემთხვევა, რომელმაც ხელი შეუწყო კონკურენციის დოქტრინის განვითარებას, იყო 1613 წლის საქმეზე Mitchel v Reynolds, სასამართლომ აღიარა ვაჭრობის გონივრული შეზღუდვების აღსრულება[2].

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ სამართალში ვაჭრობის შეზღუდვის ელემენტები უკვე მე-17 საუკუნიდან არსებობდა, ვაჭრობის შეზღუდვის მარეგულირებელი სამართლებრივი პრინციპები, უფრო ფორმალურად ჩამოყალიბდა და დაიხვეწა სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი პრეცედენტების მეშვეობით. თუმცა, დოქტრინის თანამედროვე გაგებას ფართო გასაგანი მიეცა ძირითადად მე-18 საუკუნის შუა წლებიდან და განსაკუთრებით მე-19 საუკუნიდან (Nordenfelt v Maxim, Nordenfelt Guns and Ammunition Co Ltd 1894) [3].

ასევე, ფაქტია ისიც, რომ სრულყოფილი თეორიული მიდგომები კონკურენციული ბრძოლის მამოძრავებელ ძალებზე უკავშირდება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენლებს ა. სმითს და დ. რიკარდოს, რომელთა შეხედულებების ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ გარკვეული შეთანხმებები და ბიზნეს პრაქტიკა შეიძლება ყოფილიყო არაგონივრული შეზღუდვა მოვაჭრეების ინდივიდუალური თავისუფლების გასატარებლად.

მოგვიანებით, უკვე მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო კონკურენციის სამართლებრივ ნორმების უფრო ჩამოყალიბებული, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ფორმით მიღება. ის პირველად მიღებულ იქნა კანადაში - „ვაჭრობის შეზღუდვის მიზნით ჩამოყალიბებული კომბინაციების პრევენციისა და აღკვეთის აქტი“-ს სახელწოდებით, 1889 წელს, ანუ ერთი წლით ადრე, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები ფედერალურ დონეზე მიიღებდა საყოველთაოდ ცნობილ - „შერმანის აქტს“ (1890 წ.), რომლის მიხედვითაც - „ყოველი კონტრაქტი, კომბინაცია ნდობის ფორმით ან სხვაგვარად, ან კონსპირაცია შტატებს ან უცხო ქვეყნებთან ვაჭრობის ან კომერციის შეზღუდვის მიზნით, გამოცხადებულია უკანონოდ. ამასთან, ყველა პირი[4] რომელიც დადებს რაიმე კონტრაქტს ან ჩაერთვება რაიმე კომბინაციაში ან კონსპირაციაში, გამოცხადდება უკანონოდ, ჩაითვლება დამნაშავედ მძიმე დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულის ცნობის შემთხვევაში დაისჯება ჯარიმით“[5].

ცხადია, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს აქვს შიდა კონკურენციის სამართალი, რომელიც განვითარებული სახელმწიფოების აბსოლიტური უმრავლესობის მსგავსად კრძალავს კარტელებს. ამასთან, ევროკავშირის ფარგლებში კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების (ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებები შეთანხმებები) გამოვლენა და აღკვეთა ხორციელდება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლებით. 101(1) მუხლი კონკრეტულად კრძალავს შეთანხმებებს, გადაწყვეტილებებს და შეთანხმებულ პრაქტიკებს, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას.

თავის მხრივ, კარტელისათვის დამახასიათებელი ელემენტებია: უნდა იყოს გარიგება ან

1 UNLAWFUL TRADE COMBINATIONS IN HISTORY Thomas W. Shelton American Bar Association Journal, Vol. 12, No. 2 (FEBRUARY, 1926), pp. 123-128 (6 pages), https://www.jstor.org/stable/25709475 Contribution from American Bar Association

2 https://en.wikipedia.org/wiki/Mitchel_v_Reynolds

3 https://en.wikipedia.org/wiki/Nordenfelt_v_Maxim_Nordenfelt_Guns_and_Ammunition_Co_Ltd

4 „შერმანის აქტის“ განმარტების მიხედვით „პირი“ იგულისხმება, შეერთებული შტატების, ნებისმიერი ტერიტორიის, შტატების და უცხო ქვეყნების კანონით დადაგენილი კორპორაცია ან ასოციაცია.

5 https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-3055/pdf/COMPS-3055.pdf

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შეთანხმებული პრაქტიკა; ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტი და კონკურენციის სარწმუნო კვალიფიციური შეზღუდვის მიზანი[1].

გარიგება. მას აქვს ადგილი იმ მომენტიდან, როდესაც ორმა ან ორზე მეტმა ბიზნეს სუბიექტებმა ერთად განიზრახეს ბაზარზე ემოქმედათ კონკრეტული და სპეციფიკური ქმედებებით. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს შეთანხმებულ ქმედებათა მრავალი მაგალითი. ერთ-ერთ ასეთ საქმეს წარმოადგენს ევროკომისიის მიერ 2001 წელს განხილული საქმე, რომელიც ეხება ლუდსახარში კომპანიების - Brasseries Kronenbourg SA და Heineken France SA მიერ ლუდის შესაბამის ბაზარზე განხორციელებულ ქმედებას. როგორც საქმიდან ჩანს - Groupe Danone Brasseries Kronenbourg SA მეშვეობით აკონტროლებდა საფრანგეთის ლუდის ბაზრის - 40 პროცენტს, ხოლო Heineken France SA - 30 პროცენტს. ევროკომისიის მიერ მოძიებული მტკიცებულებების მიხედვით საფრანგეთის ლუდის სარეალიზაციო ბაზარზე 1996 წლის მარტიდან 2001 წლამდე კრონენბურგის და ჰეინეკენის დედა კომპანიები იყვნენ შეთანხმებულნი, რომ ერთობლივად ემოქმედათ სასტუმროების, რესტორნების და კაფეების ქსელში. საბოლოოდ, ევროკომისიამ ორივე შეთანხმებაში მონაწილე კომპანია ჯამურად დააჯარიმა 2.5 მილიონი ევროთი (Groupe Danone და Brasseries Kronenbourg SA - 1,5 მილონი ევროთი, ხოლო Heineken NV და Heineken France SA - 1 მილონი ევროთი). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკომისიას არანაირი პირდაპირი მტკიცებულება არ გააჩნდა ხელშეკრულების განხორციელების შესახებ[2].

შეთანხმებული ქმედება. შეთანხმებული ქმედება არის ორი ამ მეტი ეკონომიკური აგენტის კოორდინირებული ქმედება, რომელიც ამცირებს კონკურენციას. შეთანხმებული ქმედება შეთანხმებისგან იმით განსხვავადება, რომ შეთანხმებული ქმედება უკვე არის პრაქტიკულად განხორციელებული ქმედება, მაშინ როდესაც შეთანხმება შეიძლება არსებობდეს სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით.

ეკონომიკური აგენტების ასოციაციების გადაწყვეტილებები. ასოციაციები და მსაგავსი სხვადასხვა გაერთიანებები გამოხატავენ მასში მონაწილე ეკონომიკური აგანტების კომერციულ ინტერესებს, რომელთა გადაწყვეტილებებიც გავლენას ახდენენ ასოციაციაში გაერთიანებული ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევაზე. საქმზე[3], ევროკომისამ დააჯარიმა „Centraal Brouwerij Kantoor"-ის ქოლგის ქვეშ მოქმედი ოთხი ლუდსახარში კომპანია. „Centraal Brouwerij Kantoor"-ის სტრუქტურა შედგებოდა საერთო კრებისა და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებისგან. მმართველი საბჭო მისივე სამდივნოს მეშვეობით ათანხმებდა და უგზავნიდა მონაწილე წევრებს მოსაწვევებს და თანმიმდევრულად დანომრილ ოფიციალურ ოქმებს.

რაც შეეხება საქართველოს, აქ კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება (იგივე ანტიმონოპოლიურ რეგულირება), გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან, კერძოდ, 1992 წლიდან იღებს სათავეს. თუმცა, ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები (კარტელური გარიგებების გამოვლენისა და აღკვეთის მიმართულებით), საკანონმდებლო დონეზე გაჩნდა მხოლოდ 2012 წლის მეორე ნახევრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რედაქცია. ამასთან, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის დებულებების კანონში ასახვის მიუხედავად, მისი პრაქატიკაში აღსრულების სამართლებრივი მექანიზმები შეიქმნა მხოლოდ 2014 წლის 21 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ.

ამდენად, საქართველოში დღეს მოქმედი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად - აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება); ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა; გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება; დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

1 Horizontal agreements and cartels in competition law, Frank Wijckmans & Filip Tuytchaever, Oxford 2015. P 8
2 Case COMP/C.37.750/B2-Brasseries Kronenbourg, Brasseries Heineken
3 Case T-240/07 Heineken Nederland BV, Heineken NV

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

ამასთან, კანონითვეა განსაზღვრული ის, თუ რა კონკრეტულ შემთხვევებში არ გავრცელდება ზემოაღნიშნული აკრძალვები ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებებზე. კერძოდ, ის არ გავრცელდება, თუ: ა) შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური შეთანხმების მხარეთა ერთობლივი წილი 10 პროცენტს არ აღემატება; ბ) შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 15 პროცენტს არ აღემატება; გ) შეთანხმება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური შეთანხმების, ისე ვერტიკალური შეთანხმების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ შეთანხმებად ან ვერტიკალურ შეთანხმებად კლასიფიკაცია, და შესაბამის ბაზარზე შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს არ ეხება - 1) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას (ფიქსირებას) და 2) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას, რაც ყველა შემთხვევაში აკრძალული შეთანხმებებია, როგორც მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის ქვეყნების, ისე საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით.

გარდა ამისა, ქართული კონკურენციის სამართალი, რომელიც ცალკეული გამონაკლისების გარდა (სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურული საკითხების გარდა) სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, უშვებს კონკურენციის შემზღუდველი შეთნხმებებიდან გამონაკლისებს (რეგულირდება - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილებით დამტკიცებული - „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ"), რომლის ფარგლებშიც ზემოაღნიშნული დებულებები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას, თუ ეს დებულებები: ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან; ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე და გ) ექცევა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილებით განსაზღვრულ შეთანხმებათა ჯგუფებში (ვერტიკალური შეთანხმებების ნაწილში - შეთანხმება დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის; შეთანხმება ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის, ხოლო ჰორიზონტალური ან/და ვერტიკალური ხელშეკრულებების შემთხვევაში - ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებაზე; სპეციალიზაციის შესახებ ხელშეკრულებაზე; საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულებაზე)[1].

რაც შეეხება, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს პრაქტიკული საქმიანობის შედეგებს, აქ, როგორც ჰორიზონტალური ისე ვერტიკალური შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის მიმართულებით, არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. კერძოდ, კონკურენციის საწინააღმდეგო ჰორიზონტალურ შეთანხმებების ნაწილში - 1) ფარმაცევტული (ონკოლოგიური მედიკამენტების) და 2) ნავთობპროდუქტების იმპორტის/რეალიზაციის საქმეები, სადაც ადგილი ჰქონდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" - ქვეპუნქტის დარღვევას, რაც გულისხმობს - შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას (ფიქსირებას) [2] და წარმოადგენს „კონკურენიის მძიმე ფორმით შეზღუდვას" (hard-core restriction)[3]. ხოლო, კონკურენციის საწინააღმდეგო ვერტიკალური შეთანხმებების მაგალითს წარმოადგენს - კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმე.

ამ კონკრეტული საქმეების ფარგლებში, სააგენტომ ონკოლოგიური მედიკამენტების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 4 კომპანიის მიერ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (შეთანხმებული

1 Fetelava S., Janjgava J., 2023. State Aid: Defects, Ways of Regulation. DOI: 10.36962/NEC18022023 https://www.researchgate.net/publication/373359081_STATE_AID_DEFECTS_WAYS_OF_REGULATION

2 საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, https://cutt.ly/CeIpzXIS

3 კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, (შემდგენლები: ქეთი ზუკაკიშვილი, ქეთი ლაფაჩი, იურატე სოვიენე, ლიანა ჯაფარიძე), მეორე გამოცემა,, თბილისი, საქართველო, 2023, გვ. 86

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ქმედება) დარღვევა დაადგინა. კერძოდ, სააგენტოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2021-2023 წლებში (აგვისტოს ჩათვლით), შესაბამის ბაზარზე მოქმედი 4 მსხვილი კომპანიის მიერ ადგილი ჰქონდა ონკოლოგიური მედიკამენტების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში შეთანხმებულ ფასებს, ფასების ფიქსაციას. შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, კომპანიებს დაეკისრათ 53 მილიონ ლარამდე ჯარიმის გადახდა[1].

ნავთობკომპანიების მესამე საქმეზე სააგენტომ საავტომობილო საწვავის საცალო ბაზარზე მაღალი ფასების შენარჩუნების გამო მოკვლევის შედეგად - შესაბამისი ბაზრის 5 მსხვილ კომპანიას - „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა დაუდასტურა და ჯამში, 4 მილიონ ლარამდე ჯარიმა დააკისრათ[2].

კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმეზე სააგენტომ კინოთეატრების ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება) დარღვევა დაადგინა. სააგენტოს გადაწყვეტილებით, ჯამურად მილიონ ექვსასი ათას ლარზე მეტი ოდენობით სანქცია დაეკისრა, როგორც მომჩივან, ასევე მოპასუხე მხარეებს[3].

ამჟამად, სააგენტოს ზემოთ აღნიშნული სამივე გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში და მიმდინარეობს დავა.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს მოქმედ კონკურენციის სამართალში ჩადებული დებულებები - კარტელების, როგორც კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიმართულებით, სრულ შესაბამისობაშია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის და პირველ რიგში ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ ნორმებთან. ასევე, ისიც ფაქტია, რომ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი სახელმწიფო ორგანო - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკას რეგულირებად სექტორებში აღასრულებენ მარეგულირებელი ორგანოები), ყოველწლიურად აუმჯობესებს კვლევის შედეგებს და წარმატებით უმკლავდება იმ გამოწვევებს, რასაც არარეგულირებადი ბაზრის სუბიექტთა შეთანხმებული ქმედებები იწვევს. ამის ნათელი მაგალითია, სააგენტოს მიერ დასრულებული და მიმდინარე მოკვლევების სტატიტიკა ამ მიმართულებით[4].

ამასთან, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და ტექნოლოგიურად მოწინავე ინსტრუმენტები, როგორიცაა ფასების ალგორითმის მოდელების შემუშავება და განვითარება, რომელშიც ბევრი კომპანია მუშაობს, დღეს სულ უფრო მეტად და სწრაფად ცვლის კონკურენტულ ლანდშაფტს და ამრავალფეროვნებს შეთანხმებული, კომერციული, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების გზებს[5]. თუმცა, ალგორითმების ფართო გამოყენება სულ უფრო და უფრო ხდება კონკურენციის სააგენტოების თვალსაწიერში, რადგანაც ამ მოდელებს შეუძლიათ გააადვილონ სუბიექტებს შორის გარიგებების მიღწევა და მისი შენარჩუნება ყოველგვარი ფორმალური შეთანხმების ან/და ადამიანური ფაქტორის და ურთიერთობის გარეშე, რაც კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის შეთანხმებული ქმედებების კონკურენციის სააგენტოების მიერ აღმოჩენის და გამოშკარავების საკითხებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით უფრო მეტი ძალისხმევის წარმართვა მოუწევთ საქართველოს კონკურენციის აღმასრულებელ ინსტიტუტებს, როგორც მთავარ/ძირითად ორგანოს, ისე რეგულირებადი სექტორის ზედამხედველ ორგანოებს, როგორც სექტორში კონკურენციის პოლიტიკის წარმმართველ უწყებებს, რომლებსაც ცალ-ცალკე, თუ ერთობლივად, კოორდინაციაში, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება დაუგროვდათ, როგორც ზოგადად კონკურენციის სამართლის აღსრულების, ისე უშუალოდ კარტელებთან ბრძოლის საქმეში, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო დაცული და წარმატებული იქნება ბიზნეს გარემო საქართველოში.

1 https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdll2xm.pdf
2 https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpa0YwRM.pdf
3 https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf
4 საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, წლიური ანგარიში, 2023, https://cutt.ly/peIpxDno
5 OECD (2017), Algorithms and Collusion: Competition Policy in the Digital Age www.oecd.org/competition/algorithms-collusion-competition-policy-in-the-digital-age.htm

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

NIKO NIKOLADZE ABOUT THE PROBLEMS AND PRINCIPLES OF STATE MANAGEMENT

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: August 17, 2024
Published: September 14, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-57

Vaja Shubitidze
Doctor of Political Science,
GTU Professor.
ORCID ID: https://orcid.org/0000-0002-1928-8310
Email: va.shubitidze@gmail.com

ABSTRACT

The article analyzes the views of the great Georgian thinker, "man of business" Niko Nikoladze on the problems and principles of state management. Most of these 16 principles of state management were based on the rich personal experience and vision of Niko Nikoladze - from 1875, Nikoladze was first the member of the Tbilisi City Council, and then, from 1894 to 1912, he was the elected head of the city of Poti 5 times in a row. This unique vision and great experience of Niko Nikoladze is still of great importance for the state building of modern Georgia, for the rapid elimination of its backwardness with the Western countries, for the creation of the state program of the country's management and for the correct personnel policy.

Key Words: *state, governance, pragmatism, realism, autocracy, democracy.*

REFERENCES:

1. Niko Nikoladze Takhzulebani, Volume VIII, Kutaisi, 2009.
2. Niko Nikoladze Rcheuli, Georgian literature, vol. XIV, tb; 1997.
3. Niko Nikoladze -160, anniversary collection, Tb; 2003.
4. Akaki Bakradze Niko Nikoladze, TB; 1989.
5. Vazha Shubitidze Political Science, Tb; 2006.
6. Zbigniew Brzezinski Great Changes, Almanac "Society and Politics", N 1, Tb; 1996.
7. Niko Nikoladze's works, vol. IV, tb; 1964.
8. Niko Nikoladze's works, Vol. X, Kutaisi, 2023.
9. Vazha Shubitidze Niko Nikoladze - Man-State, TB; 2013
10. Vazha Shubitidze, the greatest Georgian of the 19th century, Tb; 2023.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფო მართვის პრობლემებისა და პრინციპების შესახებ

ვაჟა შუბითიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
სტუ პროფესორი
Email: va.shubitidze@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0000-0002-1928-8310

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია დიდი ქართველი მოაზროვნის, „ულმობელი საქმის კაცის“ ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი სახელმწიფო მართვის პრობლემებზე და პრინციპებზე. სახელმწიფო მართვის ამ 16 პრინციპის უმეტესობა ნიკო ნიკოლაძის მდიდარ პიროვნულ გამოცდილებას და ხედვას ეყრდნობოდა- ნიკოლაძე 1875 წლიდან იყო ჯერ თბილისის საკრებულოს ხმოსანი, მერე კი, 1894 წლიდან 1912 წლამდე , ქალაქ ფოთის ზედიზედ 5-ჯერ არჩეული ქალაქის თავი. ნიკო ნიკოლაძის ამ უნიკალურ ხედვას და დიდ გამოცდილებას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობისთვის, დასავლეთის ქვეყნებთან მისი ჩამორჩენის სწრაფად აღმოფხვრისთვის, ქვეყნის მართვის სახელმწიფო პროგრამის შექმნისა და სწორი საკადრო პოლიტიკისათვის.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო, მართვა, პრაგმატიზმი, რეალიზმი, ავტოკრატია, დემოკრატია.*

ძირითადი ტექსტი

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ მართვა უნდა დაემყაროს მკაცრ რეალიზმს და უნდა გამოირიცხოს არარეალური მოლოდინები, ყალბი ილუზიები და უაზრო ოცნებები. იგი სწორად ჩააგონებდა მაშინ საამისოდ მოუმზადებელ ქართველობას, რომ „სანამ სურვილს გამოთქვამდე, აწონ-დაწონილი უნდა გქონდეს თავისი და მოპირისპირე გარემოება, რომ სირცხვილში არ ჩავარდე, რაც გაბადია, ისიც არ დაკარგო... დროა, ჩვენც ავახილოთ თვალი სინამდვილეზე, სიზმრის თვალთმაქცობიდან თავი ავიხსნათ, ამის გარჩევა ვისწავლოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენ ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია.“[1]

ნიკო ნიკოლაძის მეორე უმთავრესი პრინციპი ქვეყნის სამართავად არის ის, რომ მმართველობა ადგილობრივ კადრებს უნდა დაეყრდნოს და არა გამოცდილ უცხოელებს, რომლებიც ქართული სპეციფიკის და იდენტობის არაფერი გაეგებათ. მხარს უჭერდა რა განვითარების ეროვნულ მოდელს უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით, ნიკო თვლიდა, რომ ეს მოდელი ადგილობრივ მკვიდრებს უნდა შეემუშავებინათ: „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისინიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებენ და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებას და საჭიროებას ვერ გაგაცნობს.“[2](ასეთი ძიძები გვაჩეჩებდნენ ბოლშევიკურ, კომუნისტურ იდეოლოგიას, გვაჩეჩებენ დღესაც სხვადასხვა გლობალურ და კოსმოპოლიტურ, ნეოლიბერალურ მოძღვრებას, რადგანაც უვიცებად და სუსტებად გვთვლიან ბოლო 30 წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე).

თავის საინტერესო ანალიტიკურ სტატიაში „ბულგარია“(დაიბეჭდა „მოამბეში“ 1894 წელს), ნიკო ნიკოლაძემ გამოჰყო მმართველობის ორი საპირისპირო ფორმა:

ბიზანტიური (აზიური) - ავტოკრატული

ევროპული - დემოკრატიულ-პლურალისტული

ნიკო ხაზს უსვამს, რომ ქართველების, რუსების, სომხების, მაჰმადიანი ხალხების და სხვათა ჩამორჩენის მიზეზი რელიგია კი არ იყო (რწმენით და ერთგულებით ისინი ევროპელებს არათუ ჩამოუვარდებოდნენ, სჯობდნენ კიდეცო), არამედ მმართველობის დრომოჭმული სისტემა და ფორმები. როგორც ბიზანტიაში, ასევე ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებში მმართველობის სისტემა დესპოტურ-ტირანული (ავტორიტარული) იყო, სადაც ყველაფერი დესპოტის (იმპერატორი, მეფე, მთავარი,

1 ნიკო ნიკოლაძე ქართული მწერლობა, ტ.XIV, გვ 292-293
2 ნიკო ნიკოლაძე - 160 საიუბილეო კრებული, თბ; 2003, გვ.45

სულთანი) ნება-სურვილს ექვემდებარებოდა, მათ შორის ეკლესიასაც. ხოლო „ევროპაში კი დაარსდა სხვადასხვაგვარი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, სისტემა და ბოლოს მეცნიერებაც. მათი შემწეობით სუსტი მეფეც რომ მჯდარიყო ტახტზე, ეს გარემოება თითქმის არც-კი დაემჩნეოდა ქვეყნის საქმეებს; ისტორია, ისტორიული პროგრესი, მაინც თავისებურად, აუჩქარებლად, მაგრამ დაუხევლადაც წინ მიდიოდა.“[1]

ვინაიდან საქართველოში არ არსებობდა დემოკრატიული მმართველობის არცერთი ინსტიტუტი - სენატი, პარლამენტი ან სხვა რამ (ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნით ორპალატიანი პარლამენტის - დარბაზი+ისნის კარავი, - შემოღების მცდელობა 1185 წელს ჩაიშალა), ცხადია, ადგილი ვერ იქნებოდა პლურალიზმის, აზრთა პაექრობისა, სიტყვის თავისუფლებას, ოპოზიციის გარანტირებულად და ხელშეუხებლად არსებობას, ერთი სიტყვით, აზროვნების და ქმედების თავისუფლებას.

ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა იმასაც, რომ ავტოკრატიულ და დესპოტურ მმართველობას სძულს წარსული, წინაპართა ნაღვაწი და ნაშრომი. ყველა დიქტატორი ისტორიას თავიდან იწყებს, მიაჩნია, რომ ყველაფერი მისგან იღებს სათავეს. რაც მანამდე იყო, უარყოფითი და დასაგმობია.“[2] ერთი სიტყვით, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის არარსებობა და არდანახვა აფერხებდა მართვასაც და საზოგადოების ნორმალურ განვითარებას.

ევროპაში ამ საკითხს თავიდანვე სულ სხვანაირად უდგებოდნენ, რამაც ხელი შეუწყო მის სწრაფ განვითარებას და აღმავლობას შუა საუკუნეებში: „ევროპული წესის თვისება, წერდა ნიკოლაძე, - ის არის, რომ ყოველი ახალი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს, ისე, რომ დღევანდელ თაობას, მაგალითად, მარტო თავის ნაშრომი და შენაძენი კი არ უკავია ხელში, მთელი ათი თუ ოცი საუკუნის სიკეთით და საუნჯით არის მდიდარი. ბიზანტიაში, და საზოგადოდ აზიაში, სადაც ყველას დედა-აზრი ის არის, რომ „მე ვარ და სხვა არავინო“ ყოველი ახალ თაობა, ყოვლად უაზრო, აუზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს. აქ ნიადაგი შინაგანი ბრძოლაა ერთი თაობისა მეორის, უწინდელის წინააღმდეგ, ბრძოლა მარტო პირად მადაზე დამყარებული. ყველაფერი ერთ კაცზე ტრიალებს და არა დაწესებულებაზე. ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ მე ვარ, სხვა არავინო, ყველა მე უნდა მემსახუროს, და არა ქვეყანასო. ქვეყნის, ერის, იდეის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. დესპოტის სამსახური და ქვეყნის ან იდეალის სამსახური დიდად განსხვავდებიან ერთი-ერთმანეთისგან.“[3]

როცა თაობებს შორის დაკარგულია ურთიერთკავშირი და მემკვიდრეობა, ეს თავის მხრივ, ძალზე ართულებდა ერის გამოხსნის, გადარჩენის და განვითარების პროცესს. ამიტომ უსვამდა ხაზს ამ ფაქტს, რომ „ერის შველა ხანგრძლივ, მრავალრიცხოვანს მეცნიერულ მზადებას თხოულობს, მაგრამ ერთი თაობა რომ ამას იგნებს მწარე გამოცდილებით, მეორე, ახალი, ისევ გზით ძველ შეცდომებს იმეორებს, ირლანდიურ მელოდიებს მღერის, სანამ საკუთარი ცდით არ გაიცნობს ადვილად ნასწავლი ფორმულების ამაოებას. ასე ჩვენი ინტელიგენციის სხვადასხვა მოდგმა, ყველა ცალ-ცალკე, ტრიალა გალიაში ჩამწყვდეულ თრითინასავით, ნიადაგ ერთ და იმავე წერტილზე ფხაკუნობს. საბრალოს კი გონია, ვითომ მიუწვდომელ სისწრაფით წინ მიხტის.“[4]

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ საზოგადოებისა და ლიტერატურის ნორმალური ზრდის დროს ყოველი ახალი თაობა იმით არის უფრო ნაყოფიერი წინამორბედზე, რომ პირველი ნაბიჯისთანავე სარგებლობს წინაპრების შრომის ნაყოფით, მომარაგებულია ამათი დაგროვილი ცოდნით, გამდიდრებულია იმათი მემკვიდრეობით და შემდგომ გზას იწყებს იმ პუნქტიდან, სანამდეც მამებმა მიაღწიეს: „წერა კითხვის უცოდინარ ველურებში კი ყოველი ახალი თაობა ასპარეზზე ტიტველი, დედიშობილა გამოდის, სრულებით უცოდინარი წინაპართა საქმეების, ამოცანების და გამოცდილებისა. გამოდის მხოლოდ იმ ღატაკი მარაგით არეულ-დარეული ცნებებისა, რაც ზეპირგადმოცემით ერგოთ მამებთან საუბრებში თუ უფრო მეტად ბებიების ზღაპრებით. ამის შემდეგ მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ მემკვიდრეობითი პროგრესი.“[5]

მცირე ერების მართვის საქმეში მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ნიკოს დებულებას იმის შესახებ, რომ ასეთმა ქვეყნებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ საშინაო საქმეებს და საშინაო პოლიტიკის მართვას და არა იმდენად

1 ნიკო ნიკოლაძე ქართული მწერლობა, ტ.XIV, გვ.221
2 აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძე;თბ; 1989, გვ.174
3 ნიკო ნიკოლაძე ქართული მწერლობა, ტ.XIV, გვ.223
4 აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძე, გვ.237
5 იქვე, გვ.239

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საგარეო პოლიტიკას, რომელსაც დღესაც კი მათ არავინ რეალურად არ ეკითხება და არც უთანხმებენ (რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა ეს თეზა კარგად დაადასტურა): „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელი საშიშროების აშორებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდაც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებანი, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს შინაგან წესებს არ ავიყვანთ საგარეო დიდების სიმართლეზე, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდავოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს.“[1]

დაპყრობილი ერის შემთხვევაშიც კი, ნიკოს თქმით, „გონიერი კაცი და ერი თავისუფლებას, თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკური საქმეების გადაწყვეტით იგროვებს უმაღლესი სახელმწიფო საკითხის (ე.ი დამოუკიდებლობის - ვ.შ.) საწყვეტად.“[2]

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფო მართვის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ზომიერებას და თანდათანობით განვითარებას. მისი დაჟინებით მტკიცებით „ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიწევნება... ქართველობის საქმე მარტო ლოიალურ ნიადაგზე იქნება დაცული. მას საძალადო სრულიად არა აქვს-რა.“[3] სადამდე შეიძლება მისულიყო უკიდურესობის, რადიკალიზმის ზღვარი და წითელი ხაზები? ნიკოს განმარტებით „უკიდურესობა მარტო მანამდეა შესანდობი, სანამ ხალხის დაბალი, უმეცარი წრეების ღვიძებას, წვრთნას, ამაღლებას ემსახურება, სანამ მოსამზადებელი შკოლის როლს ასრულებს ერის პოლიტიკურ ზრდაში, ისიც იმ პირობით, თუ მონაფეს საყასბოსკენ არ იტყუებს... სულ სხვაა უკიდურესობის ატანა საზოგადოების მაღალ წრეებში, რომელთა დანიშნულებაა ქვეყანას ჭკუით, ზნეობით ემსახურონ, და არა მუსკულებით. ამ წრეების უკიდურესობა ნიშანია, რომ ღირსი არ ყოფილან მაღალი დანიშნულებისა, ხალხს უთავოდ სტოვებენ. მათი უკიდურესი მიმართულება ერს ამდაბლებს, კიდეც რყვნის, რადგანაც პოზა, ტყუობა მალვაა საკუთარი უვარგისობის.“[4]

რადიკალებისაგან განსხვავებით, ნიკო ნიკოლაძე მოვლენებისა და პროცესების, ყოველი ხალხის თანდათანობითი, ევოლუციური განვითარების მომხრე იყო („მე ყოველთვის ვიყავი და დღემდეც ვრჩები, უბრალო „მეთანთანობითედ“, ძველი ყაიდის ლიბერალად, ინგლისური დინასტიკური გაგებით“).

მართვის პროცესში იგი დასაშვებად თვლიდა, რომ ზოგიერთმა ხალხმა განვითარების გზა შედარებით სწრაფი ნაბიჯებით გაიაროს, ზოგიერთმა ტაატით (ამასვე ამტკიცებდა ცნობილი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი (აშშ), როცა წერდა 1993 წელს თავის ნაშრომში „დიდი ცვლილებები“, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნები უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდს გაცილებით სწრაფად გაივლიან, ვიდრე პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, მაგრამ მათაც საკმაო დრო დასჭირდებათ გერმანია-ავსტრიის დასაწევად. იმ შემთხვევაში, თუ მათი განვითარების ტემპი 2-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე ავსტრია-გერმანიის - ჩეხეთს 31 წელი, უნგრეთს - 46, პოლონეთს კი 63 წელი).[5]

ნიკოს თქმით „ნაბიჯ-ნაბიჯ იდგამს ფეხს კაცობრიობა და წინ მიდის... მართალია ზოგი ხალხი ადვილად ან უცბად გაირბენს ამ ნაბიჯებს, ზოგი კი ლოკოკინასავით ფორთხვით გაჩოჩდება ამ გზაზე. ზოგი ამ ერთ-ორი ნაბიჯის გადადგმას ოცს, ოცდაათ წელიწადს მოასწრებს, ზოგი კი ორ-სამ საუკუნეებსაც მიალევს ამ გავლას, მაგრამ ეს კია ყოველთვის, რომ აღნიშნული გზა და ნაბიჯები აუცილებლად გასავლელი აქვს ყოველ ხალხს, რომელიც გონებითს ცხოვრებას ეჩვევა ან საზოგადოებრივ ჩვეულებას ითვისებს.“[6]

მართვის პროცესი ნიკო ნიკოლაძე აუცილებელ ნორმად მიიჩნევს პოლიტიკურ პლურალიზმს, ღიაობა-გამჭირვალობას და აზრთა შეტაკებას, რომელიც სრულიადაც არ სპობს ნამდვილ დისციპლინას. მისი მოწოდებაა „ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონაწილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა, და მერე თუ ნამდვილად მა-

1 ვაჟა შუბითიძე პოლიტოლოგია, თბ; სტუ, 2006, გვ.85
2 ნიკო ნიკოლაძე ქართული მწერლობა, ტ.XIV, გვ.297
3 იქვე, გვ.299-300
4 იქვე, გვ.301
5 ზბიგნევ ბჟეზინსკი დიდი ცვლილებები, ალმანახი „საზოგადოება და პოლიტიკა, N1, თბ; 1996, გვ.169-187
6 აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძე, გვ.77

მული გვიყვარს, თუ მისი სიკეთე კერძო თავმოყვარეობაზედ უფრო დიდად მიგვაჩნია, ყველა იმ გადაწყვეტილებას დავადგეთ, რაც უმრავლესობამ მიიღოს. ამ უმრავლესობისაგან მიღებული გადაწყვეტილების ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გამოსადეგ დისციპლინას და არა ფელდფებელური მონობა ერთის რომელისამე კერპისა, - და არა თვალდახუჭული დაჯერება იმის, რასაც ეს კერპი წამოროტავს ან ბრძანებს.“[1]

სახელმწიფო მართვის საკითხებიდან ნიკო ნიკოლაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სხვისი მოიმედეობისა და აზიური ინერტულობის, იოლი გამდიდრების განწყობილებით დაძლევას ერში, რაც მაშინაც და ახლაც გამეფებულია ჩვენს ხალხში. ნიკომ საგანგებოდ დაწერა სტატია „ჩვენი ნაკლოვანებანი“ (1876წ.), რომელშიც ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ჩვენს საზოგადოებაში ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენ ერთს მშვენიერ დილას ზეციდან ჩამოგვიფრინდება ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის.“[2] ნიკოლაძეს ასეთი მიდგომა და სხვისი მოიმედეობა ქვეყნისათვის დამღუპველად მიაჩნდა. საქართველოს და მსოფლიოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იგი დაბეჯითდებით ამტკიცებდა, რომ „ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა თავისი საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადობას; კაცისთვის და ქვეყნისათვის მარტო ის არ არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია... ნაპოვნი და ნაწყალობევი კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნი იყო.“[3]

ნიკოლაძის ამ არაჩვეულებრივი და პრაგმატული თეზის დასადასტურებლად დღევანდელი საქართველოც იკმარებდა, რომელმაც ქარს გაატანა 1993-2023 წლებში უცხოეთიდან ვალად და საჩუქრად მიღებული მილიარდები.

ნ.ნიკოლაძე ყოველთვის აქცენტს აკეთებდა საკუთარი შრომით და რესურსებით ქვეყნის განვითარებასა და აღორძინებაზე და არა მხოლოდ უცხოელთა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებაზე, რაც არაოდეს უანგაროდ არ მომხდარა და არ ხდება დღესაც: „დროა თვალი გავახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს გვეღირსება.“[4] ამის შესაბამისად, უნდა დავიწყოთ ახლებურად აზროვნება და ქმედება, ხელ-ფეხი გავანძრიოთ: „ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ და მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი, თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.“[5] ხოლო თუ ჩვენ ძველებურად ცხოვრებას და აზიურ ინერტულობას გავაგრძელებთ, „თუ ჩვენ დოყლაპიასავით პირადული სხვის შემწეობას შევჩერდებით, მაშინ, ბევრი რამეც რომ მოგვანიჭონ, ჩვენ იმით ვერ ვისარგებლებთ. მაშინ ამ მონიჭებულსაც ჩვენ სხვა ვინმე მეზობელი, ჩვენზე უფრო ჭკვიანი და მოხერხებული ხელიდან გამოგვტაცებს და თავისთვის მოიხმარს, იმიტომ, რომ ის ჩვენზე უფრო გამოცდილი და დახელოვნებული იქნება ყოველი სიკეთის და საუნჯის შეძენაში და, განსაკუთრებით, გამოყენებაში.“[6] საქართველოში არსებულმა რთულმა და მკაცრმა რეალობამ ათქმევინა ნიკოს საოცარი სიმართლით სავსე სიტყვები: „მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიშრომოთ - მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც... მაშინ ჩვენდა-თავად არც ტირილი დაგვჭირდება, არც გოდება, არც ზლუქუნი და არც ჩურჩული...“[7]

სახელმწიფო მართვის საქმეში ნიკო ნიკოლაძე უმნიშვნელოვანეს იარაღად თვლიდა სიმართლეს, ნაკლისა და ჭირი არ დამალვას, თვითმკურნალობას და ოინობის უარყოფას. ნიკოს მიაჩნდა, რომ „ეშმაკობა სულელების „ჭკუაა“, ამიტომ ანდერძივით დაგვიბარა ცხოვრებაში გასატარებლად, რომ: „ჩვენ რიცხვით, ძალით, ოინობით, ვერაფერს ვერასოდეს ვერ გავიტანთ... ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი, - აზრის სისწორე, სინდისის სიმართლე, გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვი-

1 ნიკო ნიკოლაძე ქართული მწერლობა, ტ.XIV, გვ.175-176
2 იქვე, გვ.98
3 იქვე, გვ.99
4 ნიკო ნიკოლაძე ქართული მწერლობა, ტ.XIV, გვ.100
5 იქვე, გვ.101
6 იქვე, გვ.101
7 იქვე, გვ.183

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ძლია ჩვენ გავიმარჯვოთ, შემდეგში, მომავალში, როდესმე. მაშ ჩვენ უმანკოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდი იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენ საწინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურად და ზნეობრივადაც დაღუპული იქნება."[1] ნიკოს კარგად ესმის, რომ დღეს იოლად ვეღარავის მოატყუებ, საკუთარი თავის გარდა, ამიტომ მკაცრად მოითხოვდა ჭირის არ დამალვასა და ჩვენი ნაკლოვანებების ჩვენითვე გამოსწორებას: „ქვეყანა იმდენად ბრმა და ყრუ როდია, რომ ჩვენი შეცდომები, ან ხეირობა ვერ დაინახოს თვითონ, რომ ჩვენ ამაებზე მუნჯებსავით გავჩუმდეთ. სირაქლემასავით ჩვენ რომ თავი ბუჩქებში დავმალოთ, მტერი მაინც დაგვინახავს და მაინც დაგვამარცხებს. ათასჯერ და ათიათასჯერ სჯობია, რომ ჩვენ ჩვენი თავი გავიცნოთ, ჩვენი სიმრუდე თვითონვე გავისწოროთ და მაშინ უფრო ძლიერნი ვიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვიდრე დღესა ვართ."[2]

ნიკო ნიკოლაძე მართვის საკითხებში თეორიტიკოსებზე და მეცნებეებზე მეტად პრაქტიკოსებს აფასებს იმიტომ, რომ „პრაქტიკული მოღვაწენი სწორედ იმით განსხვავდებიან მეცნებეთაგან, რომ პირველნი საქმეებს და საკითხებს დროულად სწავლობენ. ყველასთვის ცნობილია, რომ „მართვა განჭვრეტას ნიშნავს". ევროპელები ქოლერას მაშინ კი არ „სწავლობდნენ", როცა იგი მოედებოდა მათ, არამედ წინასწარ, როცა ის ჯერ კიდევ ეგვიპტეში, არაბეთსა და ინდოეთში ბუდობდა. პრუსტი და ბრუარდელი აფრიკაში გაგზავნეს მის 'შესასწავლად", კოხი-ინდოეთში, ბევრად ადრე, ვიდრე ევროპის ეპიდემია გაღვივდებოდა, ხოლო როცა სწავლის დრო არაა, მაშინ ძალაუფლება უნდა გამოიყენო."[3] ნიკოლაძე ხსნის, რომ მოუმზადებლობას, უმწიფრობას მუდამ მივყავართ დამარცხების, გულგატეხილობისა და აუნაზღაურებელი დანაკლისისაკენ. გარკვეული ხნის შემდეგ, ათწლეულების მერე, მთელი რიგი პრაქტიკული წარუმატებლობისა და უბედურების შემდეგ ადამიანები სწავლობენ ცოდნის დაფასებას და ჭკუის, შორსმჭვრეტელობის წინ წამოწევას. თავის საკვირაო მიმოხილვაში „მართვის შესახებ" („ნოვოე ობოზრენია". 22/03/1891წ/) ნიკო ნიკოლაძე ეთანხმება არისტოტელეს, რომელიც წერდა რომ ერთნი იბადებიან იმისთვის, რომ იმბრძანებლონ, მეორენი კი - დაემორჩილონ. ნიკოს თქმით, ახლო -მხედველებმა ეს თვალსაზრისი რაც უნდა მასხრად აიგდონ, მაინც „ჭეშმარიტებად რჩება ის, რომ ხალხის ნებისყოფისა, ჭკუისა და ძალების უნარიანი მართვის დიდი საქმე რამდენიმე რჩეული ადამიანის სპეციალური ჯილდოა და ეს „სპეციალობა" თხოულობს სრულიად განსაკუთრებულ ნიჭსა და ცოდნას."[4]

აქ ნიკოლაძეს მოაქვს ერთი საინტერესო მაგალითი თავად ბარიატინსკის ცხოვრებიდან. ფელდმარშალ ბარიატინსკის ვ.კოკორევმა აუდიენციის დროს აცნობა პ.მენშიკოვის გზათა მიმოსვლის მინისტრად დანიშვნის შესახებ. კითხვაზე, რა კაცია გენერალი მენშიკოვი, კოკორევმა უპასუხა: „ძალიან საქმიანი, შრომისმოყვარე კაცია, მთელი დღე ქაღალდებს ჩაჰკირკიტებს". - ეს იმას ნიშნავს, შენიშნა თავადმა ბრიატინსკიმ, რომ „ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი კაცია, ქაღალდებში ქექვა დირექტორებისა და მოხელეების საქმეა, მინისტრს კი უნდა ჰქონდეს თავისუფალი დრო, იწვეს ტახტზე, იფხანდეს კეფას და ფიქრობდეს თავის სამინისტროს მოქმედების გეგმაზე."[5]

ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ „დიახ, „მოქმედების გეგმაზე", მისი შედგენა, მისი განხორციელებისათვის უნარიანი ხელმძღვანელობა - აი, რა არის მმართველთა ალფა და ომეგა, - საერთოდ ყველაფრისა, რასაც არ უნდა განაგებდნენ: პატარა მამულს, დიდ ქალაქს თუ ვრცელ სახელმწიფოს."[6]

ნიკო თვლის, რომ მართვის საკითხი უმრავლესობისათვის იმდენად ბნელია, რომ ჯერ კიდევ ძალზე ცოტას ესმის, როგორ შეიძლება იყო გულმოდგინე, პატიოსანი და მცოდნე მუშაკი და ამავე დროს არაფრად ვარგოდე განმკარგულებლის თანამდებობაზე. გამოცდილების საფუძველზე ჩვენ მივედით იმის შეგნებამდე, რომ ყველა კალატოზი ან დურგალი როდია კარგი არქიტექტორი... ყველა მამაცი ოფიცერი როდია კარგი არქიტექტორი, ყველა მამაცი ოფიცერი როდი ვარგა მხედართმთავრად, ყველა კარგ ბუღალტერს როდი შეუძლია აღასრულოს ფინანსისტის დანიშნულება.[7]

სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი ცენტრალურ

1 ნიკო ნიკოლაზე თხზულებანი, ტ.IV,თბ; 1964, გვ.455
2 იქვე
3 ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.X, გვ.419-420
4 ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.X,გვ.224
5 იქვე, გვ.226
6 იქვე
7 ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.X, გვ.222

ატრიბუტად ნიკო ნიკოლაძე თვლიდა გონივრულ და დაბალანსებულ საკადრო პოლიტიკას. იხილავდა რა თბილისის ქალაქის მმართველობის საკითხებს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 1893 წლის 9 მაისის ნომერში ნიკო ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ქალაქის თვითმმართველობის სათავეში უნდა დავაყენოთ არა თავგამოდებული ფორმალისტები, კეთილსინდისიერად და აკურატულად რომ ნომრავენ შემოსულ და გასულ ქაღალდებს, არამედ ცინცხალი ადამიანები, რომელთაც ძალა შესწევთ ენერგიულად მოჰკიდონ ხელი შემოქმედებით შრომას ჩვენი ქალაქის ეკონომიური როლის ასამაღლებლად.“[1]

ნიკოს მიაჩნდა, რომ პროფესიონალების დეფიციტი საქართველოში გზას უხსნიდა უნიჭო კარიერისტების და ვიგინდარების თარეშს ყველა სფეროში: „განა კარგია -წერდა ის, - რომ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, საითაც არ გაიხედავ, სადაც უნდა ეჩქეფა „ნამდვილ საქმეს“, სწორედ ეს „ნამდვილი საქმე“ ვიღაც ვიგინდარას უპყრია ხელთ, ხოლო პატიოსანი, ძლიერი, მცოდნე, უანგარო და მართალი ადამიანები იღუპებიან გარკვეული საქმის უქონლობის გამო... როგორ უნდა მიაღწიოს განვითარებასა და წარმატებას ხალხმა, რომლის საუკეთესო შვილებიც უსაქმურობაში არიან ჩაფლულნი და რომელთაც მოღვაწეთა როლი არარაობათა და მდაბალთათვის დაუკისრებია.“[2]

საზოგადოების განვითარების და სწორი საკადრო პოლიტიკის გატარების შემაფერხებლად ნიკოლაძე თვლიდა დელენგატიზმსა და ხელმოცარულთა პარპაშს, მოჩვენებით მრავალმხრივობას, ყველგან ცხვირის ჩაყოფას და სადღაც იოლად გაძვრომის მცდელობას ნებისმიერი ხერხით. ნიკოს თქმით, „ყოველი ჩვენგანი გამალებული ისწრაფვის მოკალათდეს რაიმე თანამდებობაზე და არავის ადარდებს, მზადაა თუ არა ამ საქმისათვის, შეუძლია თუ არა მისი შესრულება, აქვს თუ არა ნიჭი და ღონე მის გასაძღოლად? „არის ვაკანსია? - რატომ არ უნდა დაიკავოს?“ აი, ჩვენი საყოველთაო დევიზი, ჩვენ ყოველგან მივძვრებით, საქმე კი ოდნავადაც არ გვაღელვებს. ყველგან და ყოველთვის მხოლოდ საკუთარი თავი გვახსოვს. ჩვენში, ხშირად ერთი და იგივე კაცი, რომელსაც არაფერი შეუსწავლია, ისეთ თანამდებობას იკავებს, რომლის შესრულების ძალაც არ გააჩნია. დღეს ის მოსამართლეა, ხვალ პედაგოგი, ზეგ ფინანსისტი, შემდეგ ორატორი, ტექნიკოსი, რედაქტორი და ა.შ. მზადაა მეანობაც კი დაიწყოს, არჩევითი რომ იყოს ეს თანამდებობა“.[3]

ნ.ნიკოლაძის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ერმა კარი გაუღოს ტალანტიან და უნარიან პიროვნებებს, მოაზროვნეებს და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულებს, თუ უნდა რომ დაძლიოს ჩამორჩენილობა და წინ წავიდეს: „დიდი ადამიანებიც, მხოლოდ თავისი გენიის გამო კი არ იყვნენ დიდები, არამედ მათი თანამედროვე ყველაზე ნიჭიერი და გამოჩენილი ადამიანების გარშემო შემოკრების გამოც.“[4]

დასკვნა

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ნიკო ნიკოლაძის სახელწმიფო მართვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, ისინი ასე გამოიყურება:

1. მკაცრი რეალიზმი და პრაგმატიზმი;
2. განვითარების ეროვნული მოდელის (ეროვნული იდეის) შექმნა;
3. დაყრდნობა ადგილობრივ და არა უცხოელ ლიდერებსა და კადრებზე;
4. პლურალიზმი და დემოკრატიულობა
5. თაობათა მემკვიდრეობა მართვაში;
6. პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი;
7. ზნეობრიობა და მაღალი იდეალები;
8. მოწინავე უცხოური გამოცდილების დაუფლება და გამოყენება;
9. ზომიერება რადიკალიზმის გასანეიტრალებლად;
10. დაყრდნობა მეცნიერების მიღწევებზე;
11. საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტულობა;
12. ღიაობა, გამჭირვალობა და სიმართლე;
13. თანდათანობითობა;
14. ევოლუციურობა რევოლუციურობის ნაცვლად;
15. სხვისი მოიმედოობის დაძლევა;
16. სწორი საკადრო პოლიტიკა, პროტექციონიზმის უარყოფა;

ეს პრინციპები ნებისმიერ ქართულ მთავრობას და მმართველობას სჭირდება და მას უნივერსალური ხასიათი აქვს. მისი ცხოვრებაში გატარება მხოლოდ პოლიტიკურ ნებას მოითხოვს და უდავოდ წაადგება ქვეყნის სწორ გზაზე დაყენებასა და განვითარებას.

1 იქვე,გვ.579
2 ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.VIII, გვ.501
3 ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი,ტ.VIII,გვ.85
4 იქვე, გვ.503

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

PPLY OF LABOR RESOURCES IN THE DEFENSE FORCES UNDER THE INFLUENCE OF THE CONCEPT OF TOTAL DEFENSE

DEMAND AND SU Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: July 20, 2024
Published: August 22, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19022024-64



Levan Shubitidze
Akaki Tsereteli State University, Faculty of Business,
Law and Social Sciences, Doctoral student in Economics
E-mail: Shubitidze.levan@atsu.edu.ge
Cell: +995 577-39-20-89.

ABSTRACT

The concept of Total Defense necessitates the mobilization of all national resources, including labor, to ensure comprehensive national security. This study examines the demand and supply dynamics of labor resources within the defense forces under the Total Defense framework. It explores how Total Defense influences recruitment, training, and retention strategies in the defense sector, particularly in the context of the Georgian Defense Forces. The analysis delves into the factors driving the demand for military and civilian personnel, such as heightened security threats and technological advancements, and evaluates the supply side, considering demographics, labor market conditions, and societal attitudes towards military service. Explores examples of total defense concepts developed by various countries, while assessing supply-side demographics, labor market conditions, and public attitudes toward military service. The interplay between these factors is critical in shaping effective human resource strategies to maintain a robust and responsive defense force. This research aims to provide insights into optimizing labor resource management to support Total Defense objectives, thereby enhancing national resilience and security readiness.

Key words: *Total Defense, Military Economy, National Security, Georgian Defense Forces, Resources, Recruitment, Deterrence, Resilience.*

REFERENCES:

1. National Security Concept of Georgia, Tbilisi 2018;
2. Ministry of Defense of Georgia, "Concept of Human Resources Management and Professional Development", Tbilisi, 2013.
3. Defense Strategic Review 2017-2020;
4. Surmava Giorgi, about total defense, 2021.
5. Paichadze Nugzar, "Human Resource Management", Tbilisi 2018.
6. Giorgi Shaishmelashvili, Total Defense: A Strategy to Defeat the Strong, Tbilisi, 2023
7. Kistauri Nunu, Melashvili Medea, Ketevan Ketevan, Economic Security and Factors Affecting It, International Scientific Internet Conference: Global and National Problems of Economic Security, Tbilisi, 2018.
8. Berchuk Olena, Military Conscription and Higher Educational Attainment in Ukraine, University of Delaware, January 18, 2024
9. Bodovskyi Oleksandr, Obodovskyi Yurii, On the

Economic Support of the State's Defense Capability: Problem Statement, Baltic Journal of Economic Studies, Vol. 9, No. 5. 2023.

10. Bruusgaard Ven Kristin, "Russian Strategic Deterrence", Norwegian Institute for Defense Studies, vol. 58 no. 4 August–September 2016.

11. Galeotti Mark, "I Am Sorry for Creating 'the Gerasimov Doctrine,'" Foreign Policy, March 5, 2018.

12. Eitan Shamir, Eyal Ben-Ari, Elisheva Rosman, neither a Conscript Army nor an All-Volunteer Force: Emerging Recruiting Models, Armed Forces & Society 2023;

13. Hakon Lunde Saxi, Sandelius Bengt, and Swaney Brett, Baltics Left of Bangs: Nordic Total Defense and Implications for The Baltic Sea Region, National Defense University, January 2020.

14. Herrman John, "If Everything Can Be Weaponized, What Should We Fear?" New York Times, March 14, 2017.

15. Hill Daniel, "Military Budgets and Defense Spending", RAND Europe, Feb. 2024.

16. Hitch J. Charles and McKean N. Roland, Elements of Defense Economics, Industrial College of the Armed Forces, Washington D.C. 1967.

17. Kiliptari Luka, "Georgia's New Defense Code", Civil Georgia, 28 Feb. 2024

18. Korkmaz Suna, "The Effect of Military Spending on Economic Growth and Unemployment in Mediterranean Countries", International Journal of Economics and Financial Issues Vol. 5, No. 1, 2015.

19. Kosiak M. Steven, "Military Manpower for the Long Haul", Center for Strategic and Budgetary Assessments, Washington DC, Sep. 2008.

20. Mazarr J. Michael, "Struggle in the Gray Zone and World Order," War on the Rocks, December 22, 2015.

21. Raitasalo Jyri, "Finnish Defense "Left of Bang", Institute for National Strategic Security, National Defense University, Vol. 10, No. 2, 2023.

22. Raitasalo Jyri, "Hybrid Warfare: Where's the Beef?" War on the Rocks, April 23, 2015;

23. Shaishmelashvili Giorgi, Total Defense: The Strategy on How to Defeat Strong, PMC Research Center, Tbilisi, 2023.

24. Stroiko Tetiana, Burkun Vitaly, Medvedov Roman, Strategic Aspects of Human Resources Management in the Context of Military Operations: Ukrainian Experience;

25. Wintermans Frederik, 2022. The Role of Non-Strategic nuclear weapons in Russian Deterrence, U.S. Army Command and General Staff College.

თავდაცვის ძალებში შრომითი რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდება ტოტალური თავდაცვის კონცეფციის გავლენით

ლევან შუბითიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: Shubitidze.levan@atsu.edu.ge.
ტელ: +995 577-39-20-89.

აბსტრაქტი

ტოტალური თავდაცვის კონცეფცია ხელს უწყობს შრომითი რესურსის მოზიდვას თავდაცვის ძალებში. ყოვლისმომცველი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ტოტალური თავდაცვის კონცეფცია მოითხოვს ყველა ეროვნული რესურსის, და მათ შორის შრომის, მობილიზებას, მათ შორის. განიხილავს შრომითი რესურსების მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკას თავდაცვის ძალებში ტოტალური თავდაცვის ფარგლებში. ის იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს ის თავდაცვის სექტორში გაწვევაზე, წვრთნასა და შეკავების სტრატეგიებზე, განსაკუთრებით საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში. იკვლევს სხვადასხვა ქვეყნების მიერ შემუშავებულ ტოტალური თავდაცვის კონცეფციების მაგალითზე სამხედრო და სამოქალაქო პერსონალზე მოთხოვნის გამომწვევ ფაქტორებს, როგორიცაა უსაფრთხოების გაზრდილი საფრთხეები და ტექნოლოგიური წინსვლა, ამასთანავე აფასებს მიწოდების მხარეს დემოგრაფიის, შრომის ბაზრის პირობების და სამხედრო სამსახურის მიმართ საზოგადოების

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დამოკიდებულებას. მიზნად ისახავს შრომის რესურსების მართვის ოპტიმიზაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ტოტალური თავდაცვის მიზნების მხარდასაჭერად, რითაც გაზრდის ეროვნულ მდგრადობას და უსაფრთხოების მზაობას.

საკვანძო სიტყვები: *ტოტალური თავდაცვა, სამხედრო ეკონომიკა, ეროვნული უსაფრთხოება, საქართველოს თავდაცვის ძალები, შრომითი რესურსები, რეკრუტირება, შეკავება, მედეგობა.*

შესავალი

ისტორიულად ქვეყნების ეკონომიკური განვითარების წინაპირობად უსაფრთხოება და სტაბილურობა გვევლინება. უსაფრთხო გარემოსა და სტაბილურობის გარანტად კი პირველ რიგში ქვეყნის თავდაცვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებები გვევლინება, რომელთაგან, პირველ რიგში, ჯარია. ბოლოდროინდელი გამოწვევებისა და რეგიონში განვითარებული კრიზისები ცხადყოფს, რომ ეკონომიკური აღმავლობა ან შენარჩუნება დამოკიდებულია უსაფრხო გარემოზე. ვინაიდან და რადგან თანამედროვე მსოფლიო სწრაფი ტემპით ვითარდება, შესაბამისად იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებები და საჭიროებები, ხოლო ამის უზრუნველსაყოფად რესურსი ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი. აქედან გამომდინარე კი თავს იჩენს ხოლმე ძალისმიერი მეთოდებით საკითხს მოგვარების მცდელობა რაც იწვევს სოციალური დაძაბულობას.

რუსეთის ხისტმა საგარეო პოლიტიკამ, რომელმაც პრიორიტეტი მიანიჭა საბრძოლო ძალის მენეჯმენტს ბირთვული მიწოდების სისტემების სახით, შექმნა უფრო მისაღები სამხედრო თანაფარდობა დასავლეთთან. გარდა ამისა, ასეთი ნაბიჯები უზრუნველყოფენ მოსკოვის ესკალაციის მართვის ზომებს ნატოსთან სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში.[1]

რუსეთის შეკავების პოლიტიკის სტრატეგია და მცდელობა, შეინარჩუნოს თავისი გეოპოლიტიკური გავლენა რეგიონში და არ დაუშვას დასავლეთთან, განსაკუთრებით NATO-სთან და ევროკავშირთან დაახლოება მის მთავარ მიზნათ რჩება. რუსეთის ასეთმა აგრესულმა პოლიტიკამ გამოიწვია 2008 წლის აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ღია, ფართომაშტაბიანმა სამხედრო ინტერვენციამ ნათელი გახადა, რომ თანამდეროვე მსოფლიოშიც კი ამგვარი აგრესია ზოგიერთი ქვეყნისათვის პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად რჩება.[2] ამ ვითარებაში თვალსაჩინო გახდა რამდენად მნიშვნელოვანი არის უსაფრთხოება მისი მეზობელი ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით ყირიმის ანექსიის შემდეგ.[3]

ძირითადი ტექსტი

1. ტოტალური თავდაცვის არსი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა აჩვენა, რომ რუსეთი მზად იყო სამხედრო ძალის გამოყენებისათვის თავისი სტრატეგიული ინტერესების დასაცავად. ნატოს წევრმა ქვეყნებმა ბოლომდე ვერ შეაფასეს რუსეთის მზაობა და აგრესიული მიდგომა პოსტ საბჭოთა ქვეყნების მიმართ. რაც შეეხება რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას 2014 წელს, ნატოს ქვეყნების რეაგირება არაერთგვაროვანი იყო თუმცა, უმეტესმა მათგანმა ფოკუსირება გააკეთეს ეკონომიკურ სანქციებზე, დიპლომატიურ ზეწოლაზე და ნატოს სამხედრო პოზიციების გამყარებაზე.

ამ კონფლიქტებმა სული ხელახლა შთაბერა საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ბლოკის დაშლის შემდეგ გარკვეულწილად მივიწყებულ „ტოტალურ თავდაცვას". ტოტალური თავდაცვის სისტემა ცივი ომის პერიოდში ნატოს არაწევრ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა.[4] ზოგადად ტოტალური თავდაცვა თავისი შინაარსით არ არის ახალი რამ – საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული დიდი სამამულო ომი წარმოადგენდა სახელმწიფოს ყველა რესურსის მობილიზების მაგალითს ომის მოსაგებად. თუმცა, ცივი ომის პერიოდის

1 Wintermans Frederik, „The Role of Non-Strategic Nuclear Weapons in Russian Deterrence", U.S. Army Command and General Staff College, 2022. file:///C:/Users/Levanshubitidze/Downloads/p4013coll2_4068.pdf

2 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თბილისი 2018. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

3 Shaishmelashvili Giorgi, Total Defense: The Strategy on How to Defeat Strong, PMC Research Center, Tbilisi, 2023. p.6. https://www.pmcresearch.org/policypapers_file/ce7f64ca107fbebdb.pdf

4 შაიშმელაშვილი გიორგი, ტოტალური თავდაცვა: სტრატეგია ძლიერის დასამარცებლად, თბილისი, 2023წ. https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf

და განსაკუთრებით, ამ საუკუნის 10-იანი წლების გამოწვევები, საფრთხეები და კონცეპტუალური მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრინდელისაგან.[1] ეს კონცეფცია გულისხმობს ქვეყნის მაქსიმალურ მზადყოფნას სამხედრო შემოტევის დროს. ეს მოიცავს არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების მომზადებას, არამედ მთლიანად ეკონომიკისა და საზოგადოების მობილიზებას სამხედრო მიზნებისათვის. თანამედროვე ტოტალური დაცვა არის მთელი საზოგადოების მიდგომა ეროვნული უსაფრთხოების ჩართულობითა და კოორდინირებული მოქმედებებით ქვეყნის სამხედრო, გასამხედროებული საზოგადოებების, პოლიციური ძალების, ხელისუფლების სამოქალაქო შტოების, კერძო სექტორისა და ზოგადად მოსახლეობით, რითაც გაძლიერდება კონვენციური თავდაცვა და გატარდება შემაკავებელი ზომები.[2]

ცნება „ტოტალური თავდაცვა“ დაფიქსირებულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს თავდაცვის დაგეგმვა ეფუძნება „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპს, რომლის წარმატებით განხორციელება მოითხოვს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის დანერგვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების და სამხედრო რეზერვის სისტემის შექმნას“. [3] 2017 წლიდან საქართველოს მთავრობამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით დააანონსა და დაამტკიცა „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფცია.

ტოტალური თავდაცვის კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალური გახადა რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანმა ინტერვენციამ უკრაინაში 2022 წელს რამაც მსოფლიო ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. საქართველოს ტოტალური თავდაცვის სტრატეგია არის პასუხი რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი მოსახლეობის დაცვის მიზანს ისახავს. ეს მოიცავს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სექტორის მობილიზაციასა და მომზადებას.

2. ტოტალური თავდაცვა და შრომითი რესურსები

ტოტალური თავდაცვა ნიშნავს მთლიანი ეროვნული რესურსის ყოვლისმომცველ და ინტეგრირებულ გამოყენებას არსებული ასიმეტრიის კომპენსაციისთვის მოწინააღმდეგესთან, რომელსაც აქვს ბევრად მეტი სამხედრო შესაძლებლობები.[4] ამ კონცეფციის ფარგლებში შრომითი რესურსების მოთხოვნა-მიწოდება ფინეთმა ჩამოაყალიბა და დანერგა ცივი ომის შემდგომ ეპოქაში. შემდგომ წლებში ეს მოდელი განიცდიდა ცვლილებებს საფრთხეების შეფასებისა და რეგიონაური გამოწვევების პირობებში რის შედგომაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც „ყოვლისმომცველი უსაფრთხოების მოდელი“. ეს მოდელი ფინეთში პირველად გაფორმდა 2003 წელს - დასავლეთის ქვეყნებზე ათი წლით ადრე, სანამ ისინი შეპყრობილი გახდნენ რუსეთის გერასიმოვის დოქტრინით,[5] ჰიბრიდული ომით,[6] ნაცრისფერი ზონით,[7] და ინფორმაციული გადაიარაღებით.[8] ამ მოდელის დამუშავების შემდეგ, ფინეთის მთავრობამ გამოსცა ოფიციალური სტრატეგიის განახლებები 2006, 2010 და 2017 წლებში.[9] ფინური მოდელი მოიცავს სავალდებულო გაწვევას რაც არის მთავარი ფაქტორი ფინური საზოგადოების ძლიერების. ფინეთის მოსახლეობის

1 სურმავა გიორგი, ტოტალური თავდაცვის შესახებ, 2021წ. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian--2992.pdf

2 Hakon Lunde Saxi, Sandelius Bengt, and Swaney Brett, Baltics Left of Bangs: Nordic Total Defense and Implications for The Baltic Sea Region, National Defense University, January 2020.

https://www.proquest.com/openview/3558227a37e4981bb2bf124fa2bac0a9/1?pqorigsite=gscholar&cbl=1036427

3 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თბილისი 2018. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

4 Shaishmelashvili Giorgi, Total Defense: The Strategy on How to Defeat Strong, PMC Research Center, Tbilisi, 2023. p.6. https://www.pmcresearch.org/policypapers_file/ce7f64ca107fbebdb.pdf

5 Galeotti Mark, "I Am Sorry for Creating 'the Gerasimov Doctrine,'" Foreign Policy, March 5, 2018, available at https://foreignpolicy.com/2018/03/05/im-sorry-for-creating-the-gerasimov-doctrine.

6 Raitasalo Jyri, "Hybrid Warfare: Where's the Beef?" War on the Rocks, April 23, 2015, avail-able at https://warontherocks.com/2015/04/hybrid-warfare-wheres-the-beef.

7 Mazarr J. Michael, "Struggle in the Gray Zone and World Order," War on the Rocks, December 22, 2015. https://warontherocks.com/2015/12/strug-gle-in-the-gray-zone-and-world-order.

8 Herrman John, "If Everything Can Be Weaponized, What Should We Fear?" New York Times, March 14, 2017. https://www.nytimes.com/2017/03/14/magazine/if-everything-can-be-weaponized-what-should-we-fear.html

9 Raitasalo Jyri, „Finnish Defense "Left of Bang", Institute for National Strategic Security, National Defense University, Vol. 10, No. 2, 2023. https://www.jstor.org/stable/48718174

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მამრობითი სქესის 70% მსახურობს 6 თვიდან 1 წლამდე სავალდებულო სამსახურში. [1]

რაც შეეხება რუსეთის შეკავების პოლიტიკას მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში რომ, ახდენს მყისიერ რეაგირება ბრძოლის ველზე ნატოს კონვენციური თავდასხმის დროს და ორიენტირებულია მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების მასიურად განადგურებაზე.[2]

ამ მიდგომების შეფასებით ტოტალური თავდაცვის კონცეფცია გავლენას ახდენს შრომითი რესურსების მობილიზებასა და გადანაწილებაზე თავდაცვის მიზნებიდან გამომდინარე. ეს მოითხოვს შრომის ბაზრის მართვას და საჭირო კვალიფიციური კადრების უზრუნველყოფას თავდაცვითი სექტორისთვის. არსებითი ასპექტი და შემადგენელი ელემენტი თავდაცვისუნარიანობის არის მოქალაქეების ნება დაიცვან ქვეყანა. ყველანაირი ძალისხმევა მიმართულია იმისათვის რომ, ეს ნება შენაჩუნდეს მაღალ დონეზე.[3]

სამხედრო წარმატება ბრძოლის ველზე ავტომატურად არ იწვევს სასურველ პოლიტიკურ შედეგს. ძველი გამოთქმა „ბრძოლების მოგება, მაგრამ ომის წაგება“ ხაზს უსვამს სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას, რომელიც ითვალისწინებს რა უნდა გაკეთდეს და შემდეგ ჩამოაყალიბებს სამოქმედო გეგმებს, რაც გამოიწვევს სასურველ საბოლოო შედეგს.[4] ასევე მნიშვნელოვანია რომ, თავდაცვის ძალებში რეკრუტირებისათვის მოხდეს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. მაგალითად ისრაელის თავდაცვის ძალებში განწვევაში ჩადებული პრინციპია სავალდებულო სამსახურის შემდეგ ჯარში სამსახური მოხალისეობის (რეზერვისტი) პრინციპით. პოტენციურმა ახალწვეულებმა კონკურენცია უნდა გაუწიონ სხვა კანდიდატებს, წვევამდელებმა უნდა გამოიჩინონ თავი მათი ფიზიკური და მორალური მდგრადობით, რომ მიიღონ ელიტარულ ქვეითები ბრიგადებსა და სპეციალური ოპერაციების ძალებში. ზოგიერთი უმაღლესი დონის ქვედანაყოფები მოითხოვს ვალდებულებას განწვევის შემდგომი სამ წლიან სავალდებულო სამსახურს შესაბამისი ანაზღაურებით. პარალელურად შეუძლია ისწავლოს ოფიცერთა სკოლაში ან უნივერსიტეტში.[5]

თავდაცვის ძალებში შრომითი რესურსის მოზიდვა წარმოადგენს თავდაცვის ძალებში შრომითი რესურსებზე მოთხოვნისა და ამ რესურსების მიწოდების თანაფარდობის შედეგს. საქართველოს პირობებში ეს თანაფარდობა განიცდის „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის მნიშვნელოვ გავლენას. შრომითი რესურსების მიზიდვა ჯარში სავალდებულო სამსახურის მეშვეობით ტოტალური თავდაცვის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სავალდებულო სამხედრო სამსახური უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და ახალგაზრდების მომზადებას სამხედრო და სამოქალაქო კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური რეაგირებისთვის. რამდენიმე ქვეყანაში ამჟამად მოქმედებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონი, რომელის მხოლოდ მონახაზია ამ ეტაპზე ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი განიხილავს ამ კანონების გაუქმებას, სხვა ქვეყნები ფიქრობენ და მსჯელობენ, აღადგინონ თუ არა სავალდებულო სამსახური, განსაკუთრებით კონფლიქტის ფონზე, როგორიცაა მიმდინარე ომი რუსეთსა და უკრაინას შორის.[6]

ამ გამოწვევების ფონზე არც საქართველოა გამონაკლისი რომელმაც დაამტკიცა ახალი თავდაცვის კოდექსში 2023 წელს რომლის ძირითადი მუხლები ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან. ეს ცვლილება მოიცავს სამხედრო სავალდებულო სამსახურის რეფორმას. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, ყველა წვევამდელი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება.[7]

1 Raitasalo Jyri, „Finnish Defense "Left of Bang", Institute for National Strategic Security, National Defense University, Vol. 10, No. 2, 2023. https://www.jstor.org/stable/48718174

2 Bruusgaard Ven Kristin, „Russian Strategic Deterrence", Norwegian Institute for Defence Studies, vol. 58 no. 4 August–September 2016. https://www.almendron.com/tribuna/wp-content/uploads/2017/09/Russian-Strategic-Deterrence.pdf

3 Raitasalo Jyri, „Finnish Defense "Left of Bang", Institute for National Strategic Security, National Defense University, Vol. 10, No. 2, 2023. https://www.jstor.org/stable/48718174

4 Raitasalo Jyri, "Hybrid Warfare: Where's the Beef?" War on the Rocks, April 23, 2015, avail-able at https://warontherocks.com/2015/04/hybrid-warfare-wheres-the-beef.

5 Eyal Ben-Ari, Rosman Elisheva, Shamir Eitan, neither a Conscript Army nor an All-Volunteer Force: Emerging Recruiting Models, Armed Forces & Society 2023, Vol. 49(1) p.144, 2001

6 Berchuk Olena, Military Conscription and Higher Educational Attainment in Ukraine, University of Delaware, 18 January, 2024. https://olenaberchuk.com/documents/Berchuk_JMP.pdf

7 Kiliptari Luka, "Georgia's New Defense Code", Civil Georgia, 28 Feb. 2024. https://civil.ge/archives/527877

3. ტოტალური თავდაცვისა და სამხედრო ეკონომიკის კავშირი

როდესაც ვსაუბრობთ ტოტალური თავდაცვაზე აუცილებელია განვიხილოთ ამავე ჭრილში საქართველოს თავდაცვის მიერ დაანონსებული მედეგობა და სამხედრო ეკონომიკა. მედეგობა სამოქალაქო მზადყოფნის გამართული სისტემისა და ძლიერი სამხედრო შესაძლებლობების მეშვეობით მიიღწევა.[1] ტოტალური თავდაცვას, მედეგობასა და სამხედრო ეკონომიკას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ძირითადი მახასიათებელი როგორებიცაა: ა) რესურსების მობილიზება; ბ) ეკონომიკის მილიტარიზაცია; გ) სახელმწიფოს როლის გაზრდა; დ) საომარი მზადყოფნა.

სამხედრო ეკონომიკისა და ტოტალური თავდაცვის კონცეფციამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მედეგობა რაც გამოიხატება ბუნებრივი კატასტროფების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩავარდნის, ჰიბრიდული შეტევისა თუ სამხედრო თავდასხმისგან გამოწვეული შოკების შემთხვევაში სამოქალაქო მზადყოფნის გამართული სისტემის უზრუნველყოფაში. სამხედრო ეკონომიკაში ადამიანური რესურსების მენეჯმენტი უნიკალურ გამოწვევებს აწყდება კრიზისული ვითარების დროს, რადგან მუშახელის ნაწილი სამხედრო ძალებში მობილიზებულია, რაც ზრდის კვალიფიციური კადრების დეფიციტს სამოქალაქო სექტორში.[2] ასევე, წარმოების პროცესები ხშირად საჭიროებს სპეციალიზირებულ უნარებსა და ტექნოლოგიურ ცოდნას, რაც ართულებს სწორი მუშახელის მოძიებას და ტრეინინგს. ამავდროულად, სამუშაო პირობები შეიძლება იყოს განსაკუთრებით სტრესული და საშიში, რაც ზრდის ფსიქოლოგიური დახმარების და სოციალური დაცვის მოთხოვნებს.

ეროვნული უსაფრთხოება დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც სხვადასხვაგვარად არის განმარტებული და განსაზღვრული.[3] ნებისმიერი ომის საწარმოებლად ეკონომიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს და ტოტალური თავდაცვის დროსაც, საბოლოო მიზნის წარმატებით მისაღწევად, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ეკონომიკური ფაქტორებიც.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული ყველა თავდაცვითი ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ქვეყანაზე ნეგატიური შიდა და გარე ფაქტორების გავლენა.[4] ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც საომარ ვითარებაშია, მზად უნდა იყოს, რომ თავისი რესურსი მიმართოს ამ ომის წარმოებაზე რადგან როგორც ყოველთვის თავდაცვისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის.

სამხედრო ეკონომიკა პირველ რიგში დამოკიდებულია თავდაცვის ხარჯებთან. თავდაცვის ხარჯები არის სახელმწიფოების მიერ გამოყოფილი წილი მათი ეროვნული შემოსავლისგან რათა უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება შიდა და გარე საფრთხეებისგან.[5] სამხედრო ეკონომიკა და სამხედრო ხარჯები ისეთ პატარა ქვეყანაში როგორიცაა საქართველო, აუცილებელია რესურსების შეზღუდვის ნავიგაცია, სპეციფიკურ საფრთხეებზე რეაგირება და მოდერნიზაციის ძალისხმევის დაბალანსება ოპერატიული საჭიროებებთან გამომდინარე. სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა, რეგიონული თანამშრომლობა და რესურსების ეფექტური განაწილება სამხედრო ეკონომიკის არსებითი ასპექტებია ამ კონტექსტში. ეროვნული ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც არის გამოყოფილი სამხედრო ბიუჯეტისათვის, მოიცავს ხელფასებს, სწავლებას და ჯანდაცვას; ინახავს და ყიდულობს იარაღს, აღჭურვილობას, აფინანსებს

1 შაიშმელაშვილი გიორგი, ტოტალური თავდაცვა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად, თბილისი, 2023წ. https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf

2 Stroiko Tetiana, Burkun Vitaly, Medvedov Roman, Strategic Aspects of Human Resources Management in the Context of Military Operations: Ukrainian Experience, Three Seas Economic Journal, Vol. 5 No. 1, 2024. http://baltijapublishing.lv/index.php/threeseas/article/view/2388/2385

3 Charles J. Hitch and Roland N. McKean, Elements of Defense Economics, Industrial Collage of The Armed Forces, Washington D.C. 1967. https://www.google.ge/books/edition/Elements_of_Defense_Economics/dOhXAAAAMAAJ?hl=en&gbpv=1&printsec=frontcover

4 ქისტაური ნუნუ, მელაშვილი მედეა, ყველაძე ქეთევან, ეკონომიკური უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები, საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენცია: ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები, თბილისი, 2018წ.
https://www.researchgate.net/publication/330637847_ekonomikuri_usaprtkhoeba_da_masze_mokmedi_paktorebi

5 Korkmaz Suna, "The Effect of Military Spending on Economic Growth and Unemployment in Mediterranean Countries", International Journal of Economics and Financial Issues Vol. 5, No. 1, 2015, p.273. https://dergipark.org.tr/en/download/article-file/362992

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სამხედრო ოპერაციებს და ინფრასტრუქტურას, მოიცავს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას და რეკრუტირებას.[1]

სამხედრო ეკონომიკა და რეკრუტირება მჭიდროდ არის დაკავშირებული გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვასთან. სამხედრო ძალის მოთხოვნების წარმატებით დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადეკვატური რესურსები იქნება მობილიზებული რეკრუტირების შესანარჩუნებლად, მათ შორის კომპენსაციის ჩამოყალიბებული სახეები და დონეები.[2] აქ აუცილებელია მოვიპოვოთ ინფორმაცია დემოგრაფიული ტენდენციების, შრომის ბაზრის დინამიკის და სოციალური ფაქტორების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ სამომავლო რეკრუტირების საჭიროებებზე და სამხედრო ძალების შემადგენლობაზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2013 წელს შემუშავდა ადამიანური რესურსის მართვის კონცეფცია რომელიც უზრუნველყოფს „ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკა, ორგანიზაციული ანალიზის საფუძველზე, სამუშაოთა კლასიფიკაციის (მართვის დონეებისა და ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით), პერსონალის სტრატეგიული დაგეგმვის, მოზიდვის, შერჩევის, დანიშვნის, პროფესიული განვითარების, კარიერის მართვის და შენარჩუნების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს, რაც თითოეული მოსამსახურის პოტენციალის და შესაძლებლობების ეფექტიან და მიზნობრივ რეალიზაციას უწყობს ხელს“.[3] შრომითი რესურსების კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები დაკომპლექტებული უნდა იყოს როგორც პროფესიონალი სამხედროებით, ასევე სამოქალაქო პირებით, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვებიან ქვეყნის თავდაცვაში თავიანთი სპეციალობების შესაბამისად. შეიარაღებული ძალების მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის რეკომენდირებულია არმიის რეზერვის, ტერიტორიული რეზერვის და სპეციალისტების რეზერვის პერსონალის ჩამოყალიბება.[4] ამისათვის საჭიროა სამხედრო ძალებისათვის შრომითი რესურსების მუდმივი მომარაგების უზრუნველყოფა, რეზერვის მზადყოფნის დონის შენარჩუნება და სამოქალაქო სექტორის ჩართვა წვრთნებში.

დასკვნა

ტოტალური თავდაცვის კონცეფციის მოქმედებისათვის შრომითი რესურსები წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ასევე ეკონომიკური განვითარებისთვის. ადამიანური კაპიტალი, როგორც შრომითი რესურსების მაღალკვალიფიციური და განათლებული ნაწილი, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასა და ინოვაციების სტიმულირებაში. საქართველოს მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალიან აქტუალურია უსაფრთხოებისადმი მრავალმხრივი მიდგომის მოწინავე გამოცდილების შესწავლა და დანერგვა.[5]

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ეკონომიკური მხარდაჭერა არ ხორციელდება ცალკე, სხვა ღონისძიებებისგან იზოლირებულად, არამედ მათთან ერთად.[6] ამრიგად, შრომითი რესურსების სწორი მართვა, განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება და მათი ეფექტური გამოყენება განსაზღვრავს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ წარმატებას გლობალურ ასპარეზზე.

შრომითი რესურსების განვითარება და მოწოდებისა და მოთხოვნის რეგულირება ამ სფეროში უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეების საჭირო რაოდენობის რეკრუტირებას, სამხედრო ტექნოლოგიების ათვისებასა და ინოვაციების დანერგვას, რაც საბოლოოდ განაპირობებს ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას.

1 Daniel Hill, "Military Budgets and Defense Spending", RAND Europe, Feb. 2024. https://www.rand.org/topics/military-budgets-and-defense-spending.html

2 Kosiak M. Steven, "Military Manpower for the Long Haul", Center for Strategic and Budgetary Assessments, Washington DC, Sep. 2008. https://apps.dtic.mil/sti/tr/pdf/ADA522246.pdf

3 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, „ადამიანური რესურსების მართვისა და პროფრსიული განვითარების კონცეფცია", თბილისი, 2013წ. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/hrconcept.pdf

4 თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2017 წ. https://mod.gov.ge/uploads/archive/pdf/SDR-GEO.pdf

5 სურმავა გიორგი, ტოტალური თავდაცვის შესახებ, 2021წ. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian--2992.pdf

6 Obodovskyi Oleksandr, Obodovskyi Yurii, On the Economic Support of the State's Defense Capability: Problem Statement, Baltic Journal of Economic Studies, Vol. 9, No. 5. 2023. http://www.baltijapublishing.lv/index.php/issue/article/view/2274/2273

The New ECONOMIST ახალი ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge